პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

7 ივლისი **ხუთშაბათი** 2011

№ 157 (13454) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ლიგა. I საკვალიფიკაციო რაუნდი. საპასუხო მატჩები

## დღეს ასეთი განწყობაა

# ბანანცი აქ მოგებას უნდა გადავაჩვიოთ



2

მეტალურგის გუშინდელი ვარჯიში ფოლადზე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# მილსამისგან სამი არ შეიძლება!




დინამო-მილსამი 2:0

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო




# მესამე ცდაზე

16

## პიონჩანგს თეთრი ოლიმპიადა ელირსეს

6




# პრიმერა დერბით იხსნება

**11 დეკემბერი**
**რეალი-ბარსა**

**22 აპრილი**
**ბარსა-რეალი**

| I ტური | |
|---|---|
| 21 აგვისტო | |
| ოსასუნა-ვალენსია | ესპანიოლი-გრანადა |
| სოსიედადი-ატლეტიკო | ვალეკანო-მალიორკა |
| ვილიარეალი-სპორტინგი | რეალი-ბილბაო |
| მალაგა-ბარსელონა | ლევანტე-სარაგოსა |
| ბეტისი-სევილია | რასინგი-ხეტაფე |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● მეტალურგი-ბანანცი. ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი მატჩის წინ



არმაზ ჯელაძე



რაფაელ ნაზარიანი

# ძველ-ახალის იმედიანი დებიუტი

**შარშანდლის მსგავსად, რუსთავის გუნდს ევროტურნირების საწყის ეტაპზე მეტოქედ კვლავაც ყოფილი საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი შეხვდა: ყაზახური „აქტობე“ ამჯერად ჩვენმა „კარის მეზობელმა“, სომხურმა „ბანანცმა“ ჩაანაცვლა. საერთოდ, ევროტურნირებზე ქართულ-სომხური კლუბების ურთიერთდაპირისპირებაში აშკარა უპირატესობას კი ვფლობთ (მით უფრო, რუსთავის „მეტალურგის“ ერთი კვირის წინანდელმა გამარჯვებამ ეს უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა), მაგრამ იმავე „ბანანცთან“ არცთუ სასიამოვნო მოგონებებიც გვაკავშირებს. შეგახსენებთ, რომ ეს გუნდი ორჯერ შეხვედრია ჩვენს კლუბებს ევროტურნირებზე და საქართველოში ჩატარებულ ორივე მატჩში... გაუმარჯვია! თანაც, პირველ შემთხვევაში (2005 წელს) ამ მოგებით „ბანანცმა“ შემდეგ ეტაპზე გააღწია: თბილისის „ლოკომოტივთან“ საშინაო მარცხს (1:3), თბილისში ყველასთვის მოულოდნელი გამარჯვება (2:0) „მოაყოლა“! ერთი წლის შემდეგ „ბანანცი“ კვლავაც გვესტუმრა და, როგორც უკვე ალვნიშნეთ, მაშინაც შეძლო თბილისში გამარჯვება: „ამერს“ 1:0 სძლია. საბედნიეროდ, განმეორებით მატჩში გიორგი ჩიხრაძის გუნდმა ერევანში მოიგო (2:1) და შემდეგ ეტაპზეც „ამერი“ გავიდა. და აი, „ბანანცის“ მესამე სტუმრობაც — იმედი დავიტოვოთ, რომ რუსთაველები ახლა მაინც დაძლევენ ჩვენებისთვის დამახასიათებელ „ბანანცის“ სინდრომს და ამ სომხურ გუნდს საქართველოდან დამარცხებულს გაისტუმრებენ. ეგაც რომ არ იყოს, „ძველ-ახალ“ სახელდაბრუნებული მასპინძელთა გუნდი ახალ სეზონში პირველად წარდგება რუსთაველი ქომაგის წინაშე და მართლაც ძნელი დასაჯერებელია, „მეტალურგმა“ პირველ მატჩში მოპოვებული უპირატესობა რომ გაფლანგოს.**

## რუსთაული ხვატი

გუშინ რუსთავის „ფოლადის“ სტადიონზე მართლაც საქმიანი ატმოსფერო სუფევდა: ჯერ „მეტალურგის“ მთავარი მწვრთნელის პრესკონფერენცია იყო, რასაც მასპინძელთა გუნდის ვარჯიში მოჰყვა; ამასობაში სტადიონს სომხების ავტობუსიც მოადგა და ვიდრე სტუმართა მწვრთნელი მოკლე პრესკონფერენციას ჩაატარებდა, „ბანანცის“ წარმომადგენლებმა დღევანდელი მეტოქის ვარჯიშის დასკვნით ნაწილსაც თვალი შეავლეს; მერე კი, არცთუ კმაყოფილი სახეებით სტუმრები ვარჯიშსაც შეუდგნენ — გუშინ რუსთავში ჰაერის ტემპერატურა მაღალი იყოო, მართლაც რბილად ნათქვამი გამოგვივა! *„ჩვენთან საკმაოდ ცხელა, მაგრამ აქ ძალიან დახუთული ჰაერი დაგვხვდა; წარმოგვიდგენია, თამაშის დროს რა იქნება“*, — წუხდნენ სტუმრები ვარჯიშის დაწყების წინ...

## პასუხისმგებლობაც, მაქსიმალიზმიც

ქართული მედიის წინაშე თავდაპირველად „მეტალურგის“ მთავარი მწვრთნელი **არმაზ ჯელაძე** წარდგა:

- 5 ივლისიდან გუნდი შეკრებაზეა გადასული და საპასუხო მატჩისათვის მაქსიმალურად ვემზადებით. იმის მიუხედავდ, რომ პირველ შეხვედრაში გავიმარჯვეთ, საბოლოოდ გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. გუნდის თითოეულ წევრს კარგად აქვს გათვითცნობიერებული, თუ რაოდენ საპასუხისმგებლო შეხვედრა გველოდება. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ სასურველი შედეგის მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებთ. ვერ ითამაშებენ **დენის დობროვოლსკი** და **გიორგი მურველაშვილი**, ხოლო **ირაკლი ქობალია** დისკვალიფიცირებულია. რაც შეეხება ახალწვეულებს, „მეტალურგთან“ ადაპტაცია არავის გასჭირვებია — ზოგიერთს რუსთავში ადრეც უთამაშია. ქობალიას არყოფნაში, შესაძლოა, გარკვეული ტაქტიკური გადაადგილებაც მოვახდინოთ; არ არის გამორიცხული, საერთოდაც, განსხვავებული ტაქტიკით ვითამაშოთ და თითოეულ ფეხბურთელს კონკრეტული დავალებაც ექნება. ბოლოს გუნდში ახლახან ჩარიცხულ კიდევ სამ ფეხბურთელზეც: **ირაკლი ბერაია, ლაშა ჩადუნელი** და **გიორგი ახვლედიანი** „მეტალურგის“ სრულუფლებიანი წევრები გახდნენ“.




პრესკონფერენციის დასასრულს „მეტალურგის“ პრესატაშემ **შოთა შერმადინმა** „ბანანცთან“ მატჩის დაწყების დროზეც ისაუბრა: „სამწუხაროდ, „ფოლადის“ სტადიონის განათება უეფას მოთხოვნებს ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს და იძულებული ვიყავით თამაში 17 საათზე დაგვენიშნა. შემდეგ ეტაპზეც რუსთავში ჩავატარებთ საშინაო მატჩს, აი, მერე კი თბილისში მოგვიწევს თამაში, რადგან საერთაშორისო ლიცენზია ჩვენს სტადიონს 15 ივლისამდე აქვს.

## ქართული სიხალისე და სომხური ოპტიმიზმი

„მეტალურგის“ ვარჯიში ხალისიანად წარიმართა და მსუბუქი მოთელვის შემდეგ გუნდმა... რაგბისა და ხელბურთის ნაზავ სპორტის სახეობაშიც წაივარჯიშა; ოღონდ, გუნდის დირექტორმა **თორნიკე მაისურაძემ**, მთავარმა მწვრთნელმა **არმაზ ჯელაძემ** და მწვრთნელმა **ბორის გონჩაროვმა** ფეხბურთელებს „აუცილებელი“ პირობაც წაუყენეს: ორ გუნდად გაყოფილებს „სარაგბო-სახელბურთო“ ყველა შეტევა თავური დარტყმით უნდა დაეგვირგვინებინათ! ამას უკვე ტრადიციული სავარჯიშო პროცესი მოჰყვა და ამასობაში, როგორც უკვე ალვნიშნეთ, „ბანანციც“ გვესტუმრა. სტუმართა თავკაცმა, 36 წლის **რაფაელ ნაზარიანმა** მოკლედ და ამომწურავად უპასუხა ქართველი ჟურნალისტების კითხვებს; თუმცა, ყველაზე მთავარი რაც გვენიშნა, „ბანანცის“ მთავარი მწვრთნელის ოპტიმისტური განწყობა იყო: *„მოხარული ვარ, საქართველოში ჩამოსვლამ რომ მოგვიწია; ვიცით, რომ ძალიან რთული მატჩი გველოდება. მაგრამ გარწმუნებთ, ბოლომდე ვიბრძოლებთ. პირველ მატჩთან შედარებით ჩვენს გუნდში გარკვეული ცვლილებები იქნება; ვიმეორებ, პირველი შეხვედრის ჩვენთვის არასასურველი ანგარიშით დამთავრების მიუხედავად, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს მაინც ვინარჩუნებთ. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ხელოვნურ საფარზე მოგვიწევს თამაში, ამას დიდ ყურადღებას არ ვაქცევ; სხვათა შორის, იმასაც დავძენ, რომ პირველ მატჩში ჩვენი დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მეტოქემ ორგანიზებული და აგრესიული თამაში მოგვახვია; ამას გარდა, „მეტალურგის“ შემადგენლობაში რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელიც ასპარეზობდა და ეს ფაქტორიც არცთუ უმნიშვნელოდ მიმაჩნია“.*

პრესკონფერენციის შემდეგ სომხურმა გუნდმა „ფოლადზე“ ივარჯიშა; „ბანანცი“ რუსთავს ოპტიმალური შემადგენლობით ესტუმრა და დიდი შანსია, რომ სომხური გუნდის ოთხივე ლეგიონერი დღეს ძირითადში ვიხილოთ: 23 წლის უკრაინელი მეკარე **დიმიტრი ნეპოგოდოვი**, 24 წლის **ბეტო**, 30 წლის **დუ ბალა** და **ბრუნო კორეა** (სამივე - ბრაზილია).

ბოლოს იმასაც შეგახსენებთ, რომ „მეტალურგი“-„ბანანცის“ მატჩის პირდაპირი ტელეტრანსლაცია 17 საათზე საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე გადაიცემა.

**გია ტუხაშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

**საფეხბურთო კლუბი ცხინვალის „სპარტაკი“ აცხადებს 1996 წელს დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა შერჩევას. 1996 წელს დაბადებული ჭაბუკები ტესტირების გასავლელად, შაბათს, 9 ივლისს, 18 საათზე უნდა გამოცხადდნენ „ნორჩი დინამოს“ სპორტკომპლექს „შატილის“ (ყოფილი „სიხარულის“) სტადიონზე.**

*საფეხბურთო კლუბი ცხინვალის „სპარტაკი“*

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ ნიკა გელაშვილთან



# ბომბარდირს შეხსენება არ სჭირდება: უნდა გავიტანო!

**საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ნიკოლოზ გელაშვილი მაისის ბოლოს, სანაკრებო შეკრებაზე დაშავდა, თუმცა მწყობრში მალე ჩადგა, "ზესტაფონს" ავსტრიაშიც გაჰყვა და იქ ჩატარებულ ბოლო ორ მატჩშიც მიიღო მონაწილეობა, სადაც გოლიც გაიტანა.**

**გელაშვილი ფეროელთა ერთ-ერთი ლიდერია და მისი დაბრუნება გუნდის შემტევ პოტენციალს უთუოდ გააძლიერებს. მას ავსტრიული შეკრებიდან დაბრუნებისთანავე შევეხმიანეთ.**

**- როგორ ვითარებაში მიიღე ტრავმა?**

- საერთოდ არავინ შემხებია, ისე დავიჭიმე კოჭის მყესები. გარკვეული დრო გამიცდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მდგომარეობა საგანგაშო არ აღმოჩნდა და ახლა უკვე სრული დატვირთვით ვვარჯიშობ.

**- ხომ არ არის ტრავმის განმეორების საშიშროება?**

- არა, რადგან ვარჯიშის განახლება არ მიჩქარია, უბრალოდ, მალე გამოვჯანმრთელდი. დეტალური გამოკვლევები ჩამიტარეს და დაადგინეს, რომ ყველაფერი რიგზე მაქვს. დიდ მადლობას ვუხდი "ზესტაფონის" ფიზმომზადების ახალ მწვრთნელ ივან ვუჩეტიჩს, რომელიც ჩემს მდგომარეობას დიდი გულისხმიერებითა და პროფესიონალიზმით მოეკიდა და ინდივიდუალური სავარჯიშო პროგრამა შემიდგინა.

**- დღეისთვის უკვე მზად ხარ 90 წუთის სათამაშოდ?**

- იმის მიუხედავად, რომ ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არ ვარ, ფიზიკურად კარგად მოვემზადე და სრული მატჩის ჩატარება უკვე შემიძლია. 13 ივლისისთვის, ანუ "დაჩიასთან" პირველი შეხვედრისთვის უკვე კარგ კონდიციებში ვიქნები. მიხარია, რომ "ზესტაფონის" ლაზარეთი ცარიელდება, ჩემ გარდა ხომ ზაალ ელიავა და ალექსი ბენაშვილიც გამოჯანმრთელდნენ.

**- ავსტრიულ შეკრებაზე "ზესტაფონმა" მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო.**

- თავიდან იმას გავუსვამ ხაზს, რომ ავსტრიაში ძალიან ნაყოფიერი შეკრება გავიარეთ და გუნდი ჩემპიონთა ლიგაში დებიუტს კარგ ფორმაში მყოფი ხვდება. ურიგოდ არც ერთი შეხვედრა არ ჩაგვიტარებია. ამხანაგური მატჩის შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა ნამდვილად არ აქვს, მთავარია, თამაშიდან თამაშამდე გუნდმა უკეთ წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები, რასაც, ვფიქრობ, თავი წარმატებით გავართვით. მხოლოდ ერთი შეხვედრა მოვიგეთ, მაგრამ ეს მატჩი შეკრებაზე ბოლო იყო, რაც უდავოდ მიუთითებს "ზესტაფონის" პროგრესზე. ამას გარდა, კლუჟის "უნივერსიტატიას" დამარცხებით საკუთარი ძალების რწმენაც გაგვიძლიერდა. ყოველთვის კარგია, როცა ოფიციალურ მატჩს მოგებული ამხანაგური უძღვის წინ. თავდამსხმელის მთავარი მოვალეობა გოლია და მიხარია, მოედანზე დაბრუნებიდან ასე მოკლე ხანში რომ შევძელი გატანა. მთლიანობაში, შეკრება ძალიან ნაყოფიერი გამოდგა, ვეთამაშეთ ძლიერ გუნდებს და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ევროტურნირებზე ბრძოლა ყველასთან შეგვიძლია.

**- "ზესტაფონს" ევროთასებზე ასპარეზობის საკმაო გამოცდილება აქვს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაზე პირველად ითამაშებს. ეს გარკვეულ ფსიქოლოგიურ წნეხში ხომ არ გაქცევთ?**

- რაღა დაგიმალოთ და, ყველა ვღელავთ, ჩვენ ხომ საქართველოს ჩემპიონები ვართ და ჩემპიონთა ლიგაზე ჩვენს ქვეყანას წარმოვადგენთ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, თამაშის დაწყებისთანავე ყოველგვარი წნეხისგან გავთავისუფლდებით და ჩვენს საუკეთესო თვისებებს წარმოვაჩენთ. ნებისმიერ მეტოქეს პატივი უნდა სცე და არც "დაჩიაა" ხელწამოსაკრავი გუნდი, მაგრამ გვწამს, ამ ბარიერის გადალახვის ძალა შეგვწევს. შეკრებებზე მასზე ძლიერ გუნდებთან ვატარებთ სპარინგებს, სადაც დიდ გამოცდილებას ვიღებთ. ამას გარდა, წინა წლებში ევროთასებზე "დაჩიაზე" არანაკლებ გუნდებთან გვითამაშია და წარმატებებისთვისაც ხშირად მიგვიღწევია.

**- მედიისთვის "დაჩიაზე" ცნობების მოპოვება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. "ზესტაფონის" სამწვრთნელო შტაბს ხომ არ აქვს მეტოქეზე რაიმე ინფორმაცია?**

- სამწუხაროდ, "დაჩიაზე" ბევრს ვერაფერს მივაკვლიეთ, მხოლოდ გადმოცემით ვიცით, როგორი სტილის გუნდია. ცნობების ნაკლებობაზე ბევრს არ ვნერვიულობთ, ამ წყვილში აუცილებლად უძლიერესი გაიმარჯვებს და მჯერა, ეს "ზესტაფონი" იქნება. ევროტურნირებზე დიდი მიზნები გვაქვს და ვალდებულები ვართ, ეს ეტაპი გადავლახოთ.

**- პირველ მატჩს "ზესტაფონი" შინ ატარებს. ამას თუ აქვს რაიმე მნიშვნელობა?**

- ბევრი ამბობს, რომ პირველი შეხვედრის გამართვა სტუმრად სჯობს, მაგრამ ჩემთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ნამდვილად არ აქვს. შეიძლება უკეთესიც იყოს, პირველად ზესტაფონში რომ ვითამაშებთ. დიდი იმედი გვაქვს, გულშემატკივართა ენერგიული მხარდაჭერით სოლიდური ანგარიშით გავიმარჯვებთ და კიშინიოვში კომფორტული უპირატესობით გავემგზავრებით.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ზესტაფონი

# ზესტაფონი ევროპელებს დღეს დაასახელებს

## ვინც ალპები გადალახა, დაჩიაც გადალახოს!

"ზესტაფონი" ავსტრიული შეკრებიდან გუშინ, გამთენიისას დაბრუნდა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ** ფეხბურთელები ორი დღით შინ გაუშვა, რის შემდეგაც საქართველოს ჩემპიონები ჩემპიონთა ლიგაზე დებიუტისთვის ზესტაფონში, საკუთარ ბაზაზე მოემზადებიან.

შეგახსენებთ, "ზესტაფონმა" ავსტრიაში ორი კვირა დაჰყო და ოთხი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა – ბუქარესტის "სტიაუასთან" 0:1 დამარცხდა, ლვოვის "კარპატის" 0:0-ზე დაუზავდა, "ბაზელთან" 0:4 წააგო, კლუჟის "უნივერსიტატიას" კი 3:2 სძლია.



"ზესტაფონის" საევროთასო განაცხადი დღეისთვის დაზუსტდება, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ იქ ავსტრიაში ნამყოფი ფეხბურთელები მოხვდებიან. თუმცა არის გამონაკლისებიც - **კახა ალადაშვილმა**, რომელმაც "ზესტაფონი" ჯერ დატოვა, მერე კი დაბრუნდა, დუბლშემადგენლობაში ივარჯიშა და გეგუჩაძის გადაწყვეტილებას ელის; **ზურაბ მენთეშაშვილი და გოგი ფიფია კი**, რომლებიც მწყობრში მალე ჩადგებიან, განაცხადში, ალბათ, "დაჩიას" ბარიერის გადალახვის შემთხვევაში თუ მოხვდებიან.

მოკლედ, ჩემპიონთა ლიგის სამეორეეტაპო განაცხადში მოხვედრის შანსი ამ ფეხბურთელებს აქვთ:

მეკარეები: **როინ კვასხვაძე, ზურაბ მამალაძე, კახაბერ მეშველიანი;**

მცველები: **გიორგი ხიდეშელი, გიორგი ონიანი, ზაალ ელიავა, მამუკა კობახიძე, თეიმურაზ ღონღაძე, მალხაზ გაგოშიძე, კახა ალადაშვილი;**

ნახევარმცველები: **მურთაზ დაუშვილი, ალექსი ბენაშვილი, თორნიკე გორგიაშვილი, ირაკლი ძარია, შოთა გრიგალაშვილი, შოთა ბაბუნაშვილი, თორნიკე აფციაური, გიორგი ჭანკოტაძე, როსტომ გეწაძე, მიხეილ სარდალიშვილი.**

თავდამსხმელები: **ნიკოლოზ გელაშვილი, ჯაბა დვალი, საბა ლომია, რატი წინამძღვრიშვილი.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

შეკრება თამაშამდე

# გაგრამ შესაკრები გადაანაცვლა



საქართველოს თასის მფლობელი "გაგრა" ევროპის ლიგაზე ფამაგუსტას "ანორთოსისთან" 14 ივლისის მატჩისთვის მეტოქის ქვეყანაში მოემზადება. გაგრელები კვიპროსში დღეს, გამთენიისას თბილისი-პრაღა-ლარნაკას ავიარეისით გაემგზავრნენ, საიდანაც ლიმასოლამდე ავტობუსით ერთ საათში ჩავლენ და სასტუმრო "ეპისკოპიანეში" დაბინავდებიან.

"გაგრას" უსაფრთხოების სამსახურის უფროსის **მიხეილ აფხაზავას** თქმით, გუშინ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ანატოლი პისკოვეცმა** დაასახელა წასაყვან ფეხბურთელთა 22-კაციანი სია:

მეკარეები: **კოკა სეფიაშვილი, გიორგი ბეგაშვილი**

მცველები: **გელა ხუბუა, ჯემალ გაბუნია, გიორგი ტყეშელაშვილი, ნიკა ჯიშკარიანი, ლაშა კალანდაძე, ზვიად ჩხეტიანი.**

ნახევარმცველები: **ირაკლი ხუციძე, გიორგი ზვიადაძე, დავით გიგაური, მიხეილ კობერიძე, მიკოლა ნაკონეჩნი, ვოლოდიმირ ორდინსკი, ლევან შარიქაძე, ნიკა ჭკუასელი, ბექა ქართველიშვილი, გიორგი ყურულაშვილი.**

თავდამსხმელები: **შალვა კვანტალიანი, დათა სიჭინავა, გიორგი გაბედავა, დავით ციცხვაია.**

კვიპროსში გუნდი ერთი კვირა გაჩერდება, მაგრამ ევროდებიუტამდე საკონტროლო შეხვედრას არ გეგმავს. "ანორთოსისი" "გაგრას" 14 ივლისს ლარნაკას "ანტონის პაპადოპულოსზე" ჩვენი დროით 21 საათდან უმასპინძლებს. საპასუხო შეხვედრა ზესტაფონის „დავით აბაშიძეზე" 21 ივლისს 21 საათზე დაიწყება.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერი

# ფოფხაძის შტურმი კარგად დამთავრდა

**გიორგი ფოფხაძემ** გუშინ ავსტრიის ჩემპიონ „შტურმთან", სადაც შარშან ზაფხულშიც ისინჯებოდა, სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ზამთარში დანიური "ვიბორგის" დატოვების შემდეგ 24 წლის მცველმა რამდენიმე კლუბი მოიარა, იყო თბილისის „დინამოში", შემდეგ „ზესტაფონში" ჩაირიცხა, მაგრამ ზაფხულში კლუბი დატოვა.

ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, ლუგანსკის „ზარიაში" აღარ გაჩერდა და გრაცის "შტურმში" აღმოჩნდა. ძირითადში ითამაშა საკონტროლო მატჩი ხარკოვის "მეტალისტთან", ბოსნიურ "ჟელეზნიჩართან" და "კოპენჰაგენთან", ავსტრიელთა თავკაც **ფრანკო ფოდას** თავი მოაწონა და გუშინ კონტრაქტიც გაიფორმა.



**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



● სამეგრელო

# კოლხეთი სადამკვირვებლო რეჟიმში

გუშინ ფოთის "კოლხეთმა" ოზურგეთში "მერცხალს" 3:0 მოუგო. ამ სპარინგში ზღვისპირელთა სამწვრთნელო შტაბმა უმეტესად გასასინჯი ფეხბურთელები ათამაშა და სოლიდური ანგარიშის მიუხედავად, მათი უმეტესობის გარჯით უკმაყოფილო დარჩა. სავარაუდოდ, ამ კონტინგენტიდან "კოლხეთში" მხოლოდ ორ-სამ ფეხბურთელს დაიტოვებენ.

"მერცხალთან" ამ შემადგენლობამ ითამაშა: **ნადირაშვილი, კილასონია, თედიაშვილი, ქაჯაია, თურქია, ლომაშვილი, ცხადაია, ჯოხაძე, ვარდოსანიძე, შავგულიძე, ჭკადუა.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ჯინჭარაძე, ხარშილაძე, გეგელია, ლემონჯავა, რუსია, ცანავა.**

ცხადაიამ პირველ ტაიმში დუბლი შეასრულა, მეორე ნახევარში კი გურულებს ჯოხაძემ გაუტანა.

გიორგი ცხადაია, რომელმაც წინა სეზონში ჯერ "ზესტაფონის", მერე კი "სამტრედიას" ღირსება დაიცვა, თითქოს ზუგდიდის "ბაიაში" უნდა გადასულიყო, მაგრამ ბოლო მომენტში გეზი შეიცვალა.

"კოლხეთი" შეკრებას ურეკში მოაწყობს, სადაც 16-დან 30 ივლისამდე დარჩება. მანამდე **სოსო ფილიას** გუნდი სამ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს – 10 ივლისს ქუთაისის "ტორპედოს" შეხვდება, 12-ში "ბათუმს" გაეჯიბრება, 14-ში კი ლანჩხუთის "გურიას" დაუპირისპირდება. ეს შეხვედრები ფოთში იყო დანიშნული, მაგრამ რაკი იქ სტადიონის რეკონსტრუქცია უკვე დაიწყო, სპარინგებს, სავარაუდოდ, გრიგოლეთში გადაიტანენ.

ურეკულ შეკრებაზე კი 18 ივლისს "კოლხეთი" ბათუმის "ადელს" შეხვდება, 22-ში - მარტვილის "მერანს", გასარკვევია 26 ივლისის მეტოქის ვინაობა, შეკრების ბოლო დღეს, 30 ივლისს კი ფოთელები საჩხერის "ჩიხურას" ესპარინგებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სკოლბურთი




# როცა ასეთი სიხარულია

მასობრიობის დეფიციტი – ეს ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა. იმ დროს, როდესაც არც ისე დიდი საფეხბურთო ტრადიციების მქონე ნორვეგიაშიც კი ოფიციალურად 40 ათასი მოთამაშეა დარეგისტრირებული, საფეხბურთო სკოლებში კი 200 ათასი ბავშვი ვარჯიშობს (მათ შორის, გოგონებიც), საქართველოში ეს რიცხვი კატასტროფულია - მაქსიმუმ 1,6 ათასი მოთამაშე და 17 ათასი მოსწავლე.

ჩვენთან უმაღლეს, პირველ და რეგიონულ ლიგებში 65-მდე გუნდია. საუკეთესო შემთხვევაში თითოეულში 25 მოთამაშე ირიცხება, მაგრამ დაბალ ლიგებში ესეც დიდი ფუფუნებაა, რადგან 25 ფეხბურთელი განაცხადში უმაღლესი ლიგის ბევრ გუნდსაც არ ჰყავს.

ამას დავუმატოთ უცხოეთში გახიზნული 500-მდე ქართველი და გამოდის, ჩვენი ფეხბურთი, ჰა-ჰა, 2100 მოთამაშის იმედადაა. ასეთი დეფიციტის პირობებში საუკეთესო გამოსავალი მეტი მოსწავლე და მეტი გუნდია.

ვფიქრობ, სკოლბურთი სწორედ ამით არის მნიშვნელოვანი, რადგან ამ ტურნირზე აუცილებლად გამოჩნდება ნიჭიერი ღარიბი ბავშვი, რომელიც საყვარელ სახეობას უფულობის გამო ვერ მისდევს, მას საფეხბურთო სკოლები შენიშნავენ, უფულოდ ჩარიცხავენ და ქართულ ფეხბურთს გაუზრდიან.

ახლახან დასრულებულ "სკოლბურთის" გათამაშებაში ბოლნისის 1-ლი საჯარო სკოლის გუნდმა გაიმარჯვა. ქვემოქართლელებმა ფინალში ახალქალაქის 1-ელი საჯარო სკოლის გუნდს 3:0 მოუგეს და ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ.

ორგანიზატორებმა გამარჯვებულები თურქეთში საერთაშორისო ტურნირზე გაამგზავრეს, სამშობლოში კი 17 ივლისს დაბრუნდებიან. ეს სპონსორის დახმარებით მოხერხდა.

ტურნირის დასრულებას მიეძღვნა გუშინ ეროვნულ სტადიონზე გამართული პრესკონფერენცია.

**დიმიტრი ბოკერია**, ფეხბურთის ფედერაციის მასობრივი ფეხბურთის განყოფილება: - ბოლნისელმა ბავშვებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს და მშვენიერი საჩუქარიც მიიღეს – თურქულ ტურნირზე ითამაშებენ.

**რევაზ არველაძე**, ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი: - ტურნირი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სპორტული კუთხით, ბავშვები ბევრ მეგობარსაც შეიძენენ და ბევრსაც გაიგებენ.

მადლობა სპონსორს ქართული ფეხბურთის თანადგომისთვის. ფეხბურთი ყოველთვის იყო პირველი სახეობა საქართველოში და ბიზნესის თანადგომა ჩვენთვის ბევრს ნიშნავს. შევეცდებით, სკოლბურთით ფეხბურთისკენ უფრო მეტი ბავშვი მოვიზიდოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

● ინფრასტრუქტურა



# კომპანია: სამს კი არა, ექვსს დავაგებთ
# ფედერაცია: ხარისხი!

საქართველოს მთავრობამ გორის, ქობულეთისა და ფოთის სტადიონებზე ხარისხიანი საფრების დასაგებად ფედერაციას 2,5 მილიონი ლარი გამოუყო. თუმცა 1-ელ ივლისს ფედერაციის პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ მოედნების დასაგებად გამოცხადებული ტენდერი უშედეგოდ დასრულდა, რადგან მონაწილე კომპანიებმა სატენდერო პირობები ვერ დააკმაყოფილეს.

ისიც ეწერა, რომ ორი მონაწილე ქართული კომპანია, შპს „სთარი 2007" და შპს „გრინვორლდი", ფედერაციის დასკვნით, ერთიან ორგანიზაციად განიხილეს, რადგან მათ აბსოლუტურად იდენტური დოკუმენტაცია წარადგინეს, ოღონდ განსხვავებული ფასებით. "უნიმშენის" სატენდერო განაცხადი სერტიფიკატების თურქულ ენაზე წარდგენისთვის დაიწუნეს. უცნაურია, რომ ტენდერში მონაწილეობის სურვილი გამოხატეს, მაგრამ დოკუმენტაცია არ წარადგინეს შპს "ინფრამ" და შპს "საქართველოს სამშენებლო კომპანიამ". ბერძნულ კომპანია "კრისტიან სიმუნოვიჩი – სპორტენგის" ფედერაციის ფინანსურმა ჯგუფმა უარი წარსადგენი საბუთების შედგენისადმი გამოჩენილი გულგრილი დამოკიდებულების გამო უთხრა.

საინტერესოა ტენდერის მონაწილეთა მიერ წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა: ფოთის, გორისა და ქობულეთის სტადიონებზე უკრაინული ან თურქული საფრის დაგების საფასურად კომპანია „გრინვორლდი" (გამოცდილება - საგურამოს სპორტკომპლექსის საფრის მოწყობა) 1,424,116 ლარს ითხოვს.

„გრინვორლდთან" გაიგივებული "სთარი" (გამოცდილება - ორი მოედნის მოწყობა "შევარდენისა" და "ავჭალის" სტადიონებზე, აგრეთვე სარწყავი სისტემის დამონტაჟება ზესტაფონში) უკრაინული ან თურქული საფრის დაგებას 1,478,354 ლარად აპირებდა.

"უნიმშენმა" 2,265,123 ლარი მოითხოვა, სამუშაოთა შესრულების გამოცდილებაში კი მიუთითა თანხა (7 მლნ ლარი) და არა ის, სად რა გააკეთა.

ბერძნული კომპანია "კრისტიან სიმუნოვიჩი – სპორტენგი" 2,421,360 ლარს ითხოვდა, გამოცდილებაში კი მიუთითა მოედნების დაგება საბერძნეთში, ალბანეთსა და საქართველოში (ეროვნული ნაკრების ბაზა).

ფინანსურ საკითხებში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მრჩევლის **აკაკი ლოდიას** თქმით, ახლა კანონით ორი გზა დარჩა - ახალი ტენდერი ან ერთ პირთან პირდაპირი მოლაპარაკება, რაც ასევე კანონიერია. თუმცა ჯერ კვლავ ტენდერის გამართვაა მოსალოდნელი.

რედაქციაში შპს "სთარის" მთავარი სპეციალისტი **ნოვრუზ ბაბაევი** გვესტუმრა:

- ფედერაციის დასკვნაში წერია, რომ დოკუმენტაციის წარდგენისას აღმოჩენილი დარღვევები „სთარის" დისკვალიფიკაციის საფუძველია, მაგრამ ეს „საფუძველი" არ უნდა იწვევდეს დისკვალიფიკაციას. ჩვენი კომპანია ფედერაციას მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხების ყველაზე ეფექტურ ათვისებას სთავაზობს. „გრინვორლდი" ჩვენი პარტნიორი კომპანიაა, ამიტომ მივუთითეთ თითქმის ერთნაირი პირობები. ფასები კი იმიტომ არის განსხვავებული, რომ მათ თავისი ტექნიკა აქვთ, ჩვენ კი დაქირავებულ შრომას ვიყენებთ.

მოთხოვნაა, რომ უცხოური საფარი დავაგოთ. ჩვენ ვთავაზობთ ზუსტად ისეთ საფარს, როგორიც არის კიევის ოლიმპიურ სტადიონზე, სადაც ევრო 2012 გაიმართება, ან „გალათასარაის" სტადიონზე ჩვენი პარტნიორის მიერ დაგებული თურქული საფრის იდენტურს.

სხვათა შორის, ფედერაციის პრეზიდენტის მრჩეველმა აკაკი ლოდიამ გვითხრა, როდესაც პაკეტები გაიხსნა, თქვენი წინადადება საუკეთესო იყო. ამან კიდევ უფრო შეგვაგულიანა, მაგრამ ფედერაციამ ტენდერი ჩაშლილად გამოაცხადა. არადა, სამ მოედანს 1,4 მილიონად გავაკეთებთ, ანუ კონკურენტებზე მინიმუმ 800 ათასად, მაქსიმუმ კი მილიონი ლარით ნაკლებად. წესით, ფედერაცია ჩვენი პირობებით უნდა დაინტერესდეს. პირობებში ინგლისურ კარებს, ბადეებსა და ალმებს, აგრეთვე საუკეთესო ამერიკულ სარწყავ სისტემასაც ვთავაზობთ, მსგავსი პირობები არავის ჰქონდა.

ტენდერში მონაწილეობაზე უარს არ ვიტყვით, რადგან ეს არის მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხა, მთავრობა კი დაინტერესებულია, რომ მოედნები ხარისხიანი იყოს, ჩვენ კი სწორედ ამას ვთავაზობთ.

ახალ ტენდერში ფედერაციას უკეთესი წინადადებით მივმართავთ – მზად ვართ, 2,5 მილიონი ლარით გავაკეთოთ არა სამი, არამედ ექვსი მოედანი – ფოთში, გორში, ქობულეთში და კიდევ ორ სტადიონზე, რომელიმე ბაზაზე კი მოედანს ადგილობრივი საფრით მოვაწყობთ. უფრო უკეთესი პირობები რა უნდათ, სამის ნაცვლად ამდენი მოედნის მოწყობა, განა, თანხის ეფექტური გამოყენება არ იქნება?!

■ ■ ■

კომენტარისთვის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მრჩეველ აკაკი ლოდიას მივმართეთ:

- ტენდერის ჩაშლის მიზეზები ფეხბურთის ფედერაციამ ვებგვერდზე გამოაქვეყნა. „სთარი 2007"-მა არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება გამოავლინა, არ შეიძლება, ტენდერში მონაწილე ორი კომპანიის ფასები, პირობები და წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ფაქტობრივად, იდენტური და ერთი კომპიუტერიდან ამობეჭდილი იყოს. „სთარი 2007"-მა და „გრინვორლდმა" მხოლოდ ფასებში სხვაობა გაითამაშეს. განა შეიძლება, მილიონების აღება გსურდეს და ტენდერში მონაწილეობის წესებზე წარმოდგენა არ გქონდეს.

უმნიშვნელო არ არის, რომ დოკუმენტაციაში მითითებული არ ჰქონდათ ტრანსპორტირების ხარჯები, არადა, მოედნის დაგება ამ კუთხით მნიშვნელოვან ხარჯებს უკავშირდება. "სთარის" წინადადებებთან ექვსი შენიშვნა გვქონდა. ასე რომ, მათი პრეტენზიები უსაფუძვლოა და ამ კომპანიისა და „გრინვორლდის" წინადადებები, ისევე, როგორც სხვა მონაწილეებისა, დავიწუნეთ.

გაიმართება თუ არა ტენდერი და ვინ რა წესით მიიღებს შეკვეთას, ეს 11 ივლისს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომზე გადაწყდება.

რაც შეეხება ფასს, შედარებით მცირე თანხა სულაც არ არის მაღალი ხარისხის გარანტია. ფედერაციის პრეზიდენტს კი აქცენტი სწორედ ხარისხზე აქვს გაკეთებული.

ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე**: თავის მტრები არ ვართ, იაფ და ხარისხიან მოედნებზე უარი რომ ვთქვათ. მაგრამ "სთარის" წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იყო დარღვევები, ჩვენ კი უფრო დახვეწილ წინადადებებს ველოდებით - უეჭველად ხარისხიან მოედნებს, ნორმალურ ფასებსა და საფრის სწრაფად დაგების გარანტიებს.

ასე რომ, ფასებზე ყურადღების გამახვილება გასაგებია, მაგრამ გადამწყვეტი ფაქტორი ხარისხია, მთავრობამ თანხა სწორედ იმისთვის გამოყო, რომ მოედნებმა დიდხანს გაძლოს და გუნდებმა ლამაზი ფეხბურთი აჩვენონ. რად გვინდა ისეთი იაფი მოედანი, ნახევარ წელიწადში თუ არ ივარგებს?

**მერაბ მამულაშვილი**

● ფუტსალი

# იბერია: ამათ ხომ ვიცნობთ

გუშინ ფუტსალის უეფას თასის პირველი ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა მოეწყო. ეს ტურნირი თბილისში გაიმართება და მასში მონაწილეობას საქართველოს ჩემპიონი "იბერიაც" მიიღებს.

ჩვენების ჯგუფი ასე გამოიყურება:

**1. "იბერია სთარი", 2. "სლოვ მატიკი" (სლოვაკეთი), 3. "მაპიდი" (ბელარუსი), 4. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის გამარჯვებული.**

"იბერია სთარი" გასულ სეზონში პირველ ჯგუფურ ეტაპზე ორ ამჟამინდელ მეტოქეს შეხვდა: "სლოვ მატიკს" 3:1 მოუგო, მინსკის "მაპიდს" კი – 6:4. არადა, ბელარუსებთან თავიდან 1:4-ს აგებდა და მატჩის ბედი ბოლოსლა შემოატრიალა.

*"კენჭისყრით კმაყოფილი ვარ, რადგან სხვა ჯგუფში ერთად მოხვდნენ ესპანური და რუსული კლუბები, ჩვენთან კი ასეთი გრანდები არ არიან. ასე რომ, შემდეგ ეტაპზე აუცილებლად უნდა გავიდეთ და ქართველი გულშემატკივარი გავახაროთ"* – გვითხრა "იბერიას" უკრაინელმა მთავარმა მწვრთნელმა **იური სოლოდოვნიკმა**.

ტურნირი თბილისში, სავარაუდოდ, სექტემბრის ბოლოს გაიმართება, ქართულმა მხარემ მატჩის დღეებად 27, 28 და 30 სექტემბერი შეარჩია.

*„იმედი გვაქვს, რომ რომელიმე ქართული გუნდი ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გავა, რომლის მატჩებიც 29 სექტემბერს არის დაგეგმილი. ასეთ შემთხვევაში ფუტსალისა და ევროპის ლიგის მატჩები ერთმანეთს რომ არ დაემთხვეს, აჯობებს, ამ დღეს ფუტსალელებმა დაისვენონ"* – გვითხრა ფუტსალის ასოციაციის გამგეობის წევრმა **გიორგი დარჯანიამ**.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოტენჰემი

# რუსის ლონდონური ქიშპობა

29 წლის რუსი თავდამსხმელი, **რომან პავლიუჩენკო** აცხადებს, რომ მომავალ სეზონში მისი „ტოტენჰემ ჰოთსპური" „არსენალზე" უკეთეს პოზიციას დაიკავებს და პრემიერლიგის სამეულში შევა. აქ, უნდა გავიხსენოთ, რომ „სფურზისა" და „არსენალის" ქიშპობა განსაკუთრებულია — საქმე საუკუნოვანი ისტორიის მქონე ჩრდილოლონდონურ დერბისთან გვაქვს.

პავლიუჩენკოს „მეთოფეების" ჩამოტოვების იმედს მათი ბოლო წლების უიღბლობა და ხელმოცარულობა აძლევს. მოგეხსენებათ, „არსენალს" ექვსი წელიწადია ერთი ჯილდოც კი არ მოუგია და გუნდიდან ფეხბურთელები გაურბიან. მათ ისეთ გუნდებში სურთ გადასვლა, სადაც რაიმეს მოიგებენ და ფეხბურთელის ხანმოკლე კარიერას მთლად ტიტულის გარეშე არ დაასრულებენ.

გასულ სეზონში „არსენალი" მეოთხე ადგილზე გავიდა, „ტოტენჰემი" კი მეხუთეზე, რაც რუს ფორვარდს ცუდ შედეგად მიაჩნია, მაგრამ ამბობს, რომ შემდეგ სეზონში ყველაფერი გამოსწორდება:

*„გასულ სეზონში ნაბიჯი უკან გადავდგით. ოთხეულში ვაპირებდით შესვლას, მაგრამ მიზანს ვერ მივაღწიეთ. გაზაფხულზე ბევრი ქულა რომ არ დაგვეკარგა, იქნებ სამეულშიც კი მოვხვედრილიყავით. ვფიქრობ, ამას ახალ სეზონში შევძლებთ, რადგან „ტოტენჰემი" ძლიერი გუნდია, ძალიან ძლიერი ფეხბურთელებით. პირველი და მეორე ადგილებისთვის ბრძოლა ჯერ ადრეა — „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ჩელსი" დანარჩენებს ერთი თავით გვჯობიან, მაგრამ ბოლო ორი სეზონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „მანჩესტერ სიტისა" და „არსენალს" არაფრით ჩამოვუვარდებით".*

„არსენალი" ამ ზაფხულს კიდევ უფრო დასუსტდა. **გაელ კლიში** „მანჩესტერ სიტიმ" იყიდა, ისტლენდზე ითამაშებს **სამირ ნასრიც**, ხოლო კაპიტანი **სესკ ფაბრეგასი** იხვეწება, ამ კვირას ნუ გადამიცილებთ, ჩემს მშობლიურ



რომან პავლიუჩენკო

„ბარსელონაში" გამიშვითო. რაც შეეხება „დეზებს", მათ, ჯერჯერობით, თავიანთი საუკეთესო მოთამაშეები არ გაქცევიათ: **ლუკა მოდრიჩი** კლუბის ხელმძღვანელობას გუშინ უნდა შეხვედროდა, **გარეთ ბეილი** კი თითქოს, არსად აპირებს წასვლას.

ორი სიტყვით მოდრიჩზე შევჩერდეთ: 25 წლის ხორვატს „ტოტენჰემის" თავმჯდომარე **დევიდ ლივისთან** გუშინ, ჩვენი დროით საღამოს 8 საათზე ჰქონდა შეხვედრა დანიშნული. მოგეხსენებათ, მოდრიჩის ყიდვა „ჩელსის" უნდა და მზად არის მასში 22 მილიონი ფუნტი გადაიხადოს. თავად მოდრიჩსაც დასავლეთ ლონდონისკენ მიუწევს გული. მართალია, მან ორი თვის წინ „ტოტენჰემთან" ექვსწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, მაგრამ ახლა სხვა ჭკუაზეა. სავარაუდოდ, „ჩელსის" შეფები ეტყოდნენ, ოღონდ შენ ჩვენთან გადმოდი და კონტრაქტის დარღვევისთვის რა საკომპენსაციო თანხაც დაგეკისრება, გადაგიხდითო. შეგახსენებთ იმასაც, რომ ხორვატის ყიდვა „მანჩესტერ იუნაიტედსაც" უნდა, თუმცა „სფურზის" თავკაცი **ჰარი რედნაპი** იქადნება, რომ მოდრიჩს არსად გაუშვებს.

დავუბრუნდეთ პავლიუჩენკოს. ის ამბობს, რომ „არსენალზე" უკეთესი შედეგის მიღწევა „სფურზის" ფანებს განსაკუთრებულ სიხარულს მოჰგვრის:

*„ლონდონში ჩამოსვლის დღესვე გამაფრთხილეს, რომ „ტოტენჰემისთვის" ყველაზე მნიშვნელოვანი „არსენალთან" თამაშია. დერბის დღეებში ორივე გუნდი მოედანზე ფეხბურთის სათამაშოდ კი არა, საომრად გადის. თავს არავინ ზოგავს. ეს საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი".*

თუმცა თავად პავლიუჩენკოს მომავალიც გასარკვევია. მისი ყიდვა რუსეთის მდიდარმა კლუბმა, მახაჩყალის „ანჟიმ" მოინადინა. არც ფორვარდის „პირველი სიყვარული", მოსკოვის „სპარტაკია" გულგრილი.

*„მახაჩკალიდან არავინ დამკავშირებია, მაგრამ დაზუსტებით ვერ გეტყვით, რა მოხდება ხვალ"* - თქვა პავლიუჩენკომ.

**ილია ბაბუნაშვილი**

ლივერპული




სტივენ ჯერარდი

# ვინ წავა ჩინეთსა და კუალა ლუმპურში?

ღულსსატრანსფერო ბაზარი, გუნდები ყიდიან და ყიდულობენ ფეხბურთელებს, „ლივერპული" კი პასიურობს — „სანდერლენდისგან" 21 წლის **ჯორდან ჰენდერსონი** იყიდა და სულ ეს არის. და იცით, რომ, ჯერჯერობით, ვერც ჰენდესონი იწყებს მერსისაიდურ კარიერას? ის დანიაში, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში მონაწილეობდა და, შესაბამისად, „წითლებს" შორეულ აღმოსავლეთში ვერ გაჰყვება — ახალგაზრდულის ბიჭებს დასვენებას „აიძულებენ".

„ლივერპულს" ჩინეთსა და კუალა ლუმპურში ვერც 31 წლის კაპიტანი **სტივენ ჯერარდი** გაჰყვება. გუნდის ხელმძღვანელებმა ითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ ამ ეტაპზე „ჯეროს" მელვუდის საწვრთნელ ბაზაზე, ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ დატოვება აჯობებს. მწვრთნელმა **კენი დალგლიშმა** თქვა:

*„სტივენმა და „ლივერპულის" ექიმებმა დიდი სამუშაო შეასრულეს. მათ ყველაფერი გააკეთეს, რათა კაპიტანი სრულყოფილ ვარჯიშებზე გადასულიყო და ახლა ბოლო ეტაპზე არიან. რასაკვირველია, ფანებს ეწყინებათ, როდესაც შეიტყობენ, რომ ჯერარდი ჩინეთსა და კუალა ლუმპურში ჩვენთან ერთად ვერ მოდის, მაგრამ, მერწმუნეთ, იმავე ხალხს ძალიან გაუხარდება, როდესაც პრემიერლიგის ახალი სეზონის პირველსავე ტურში, „სანდერლენდის" წინააღმდეგ, მას შემადგენლობაში იხილავს. სანამ ჩვენ შორეულ აღმოსავლეთში ვიქნებით, სტივენი მელვუდში ივლის და კარგად დაგეგმილი სარეაბილიტაციო პროგრამის მოთხოვნებს შეასრულებს. ეს როგორც კლუბის, ასევე მისი და გულშემატკივრის ინტერესებშია".*

შეგახსენებთ, რომ ჯერარდმა ბოლოს 6 მარტს ითამაშა. ეს გახლდათ კარგად დასამახსოვრებელი მატჩი მომავალ ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედთან", რომელიც „ლივერპულმა" 3:1 მოიგო. დალგლიშის ნათქვამზე ფეხბურთელმა დასძინა:

*„ექიმებსა და ტექნიკურ პერსონალთან თათბირის შემდეგ გადაწყდა, რომ ჩემთვის, ამ ეტაპზე, მელვუდში დარჩენა და სარეაბილიტაციო პროგრამის ბოლომდე მიყვანა ყველაფერს აჯობებს".*

მაგრამ, მოდი სატრანსფერო ამბებს დავუბრუნდეთ. მოგეხსენებათ, ჰენდერსონის შემდეგ „წითლები" „ასტონ ვილას" 26 წლის მარცხენა გარემარბის, **სტიუარტ დაუნინგის** ყიდვას ცდილობენ, მაგრამ, ჯერჯერობით, არაფერი გამოსდით. „ვილა" ჯიუტობს, შეთავაზებული ფული ეცოტავება. მერსისაიდელებმა ბირმინგემელებს, ახალი წინადადებით მიმართეს - 15 მილიონ ფუნტს აძლევენ, მაგრამ პასუხად კვლავ უარი მიიღეს. დაუნინგი „ვილას" გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელია და ბირმინგემელებს 19 მილიონად ულირთ.

ცნობილია, რომ საკუთრივ ფეხბურთელს „ენფილდ როუდზე" სურს გადასვლა და „ასტონ ვილასთან" ახალი ხელშეკრულების გაფორმებას უარობს. ძველი კონტრაქტის თანახმად, მას „ვილა პარკზე" კიდევ ორი წელიწადი აქვს გასატარებელი.

არის ასეთი ვარიანტიც: „ლივერპულს" შეუძლია ბირმინგემელებს ფულის გარდა 22 წლის ფრანგი თავდამსხმელი **დავიდ ნგოგი** შესთავაზოს. ეს ჭკვიანურია, რადგან „ვილას" თავკაც **ალექს მაკლიშს** ნგოგის თამაში მოსწონს და თან, 27 წლის **დარენ ბენტის** თადარიგშიც სჭირდება ვინმე. თუმცა, მილდენდელებს, სავარაუდოდ, მაინც ფული ურჩევნიათ, რათა მერე თავის გემოზე იყიდონ ვისი ყიდვაც მოუნდებათ. შეგახსენებთ, რომ „ასტონ ვილამ" ამ ზაფხულზე ერთი კარგი ფეხბურთელი უკვე დაკარგა — „მანჩესტერ იუნაიტედს" 25 წლის **ეშლი იანგი** მიჰყიდა.

რაც შეეხება ნგოგს, „ლივერპული" მას თითქოს „სანდერლენდს" აძლევდა, მაგრამ „შავმა კატებმა" 4 მილიონი ფუნტი ვერ მოიძიეს.

**ილია ბაბუნაშვილი**

არსენალი

# არ დაიდარდო, არსენ





გადასარევი საქმეა პაპარაცობა: ჩაუსაფრდები ცნობილ ადამიანს, ფოტოს გადაუღებ და გვარიან ჰონორარსაც მიიღებ. აი, იმ ფოტოს მერე რა კუდს მოაბამენ, უკვე სხვა საქმეა.

ასე მაგალითად, თუ „არსენალის" თავკაც **არსენ ვენგერს** შვებულების დღეებში სადმე კორსიკასთან ჩაუსაფრდები და ზღვაზე ნებივრობის დროს გადაუღებ, „მეთოფეებს" კი ამ დროს ექვსი წელიწადია ჯილდო არ მოუგიათ და ფეხბურთელები სხვა გუნდებში გაურბიან, ადვილი წარმოსადგენია, შენს ფოტოებს გაზეთები როგორ მინაწერებს გაუკეთებენ.

სწორედ ასეთი სურათები გამოგვაქვს თქვენს სამსჯავროზე. 61 წლის ვენგერი იახტაზეა, რომელიც, სავარაუდოდ, „არსენალის" ერთ-ერთ მეპატრონეს ეკუთვნის და რომელსაც ამ სიტუაციისთვის საკმაოდ ირონიული სახელწოდება აქვს: „არ დაიდარდო".

**ილია ბაბუნაშვილი**





უცნაური კაცი

# ეჰ, მარიო, მარიო

„მანჩესტერ სიტის" იტალიელი თავდამსხმელი, 20 წლის **მარიო ბალოტელი** ამჯერად „დანის მოწინააღმდეგეთა" საზოგადოების წევრებმა შერისხეს — ფორვარდი ბაზაზე გამოცხადდა მაისურით, რომელზეც მთელი საბრძოლო არსენალი იყო გამოსახული. საინტერესოა: ბალოტელიმ გასული სეზონი სკანდალით დაასრულა და აი, ახალიც სკანდალით დაიწყო.

მართლაც უცნაურია, რატომ უნდა მოგინდეს ადამიანს, ჩაიცვა მაისურა, რომელსაც ახატია პისტოლეტი, ავტომატი, დანა და გოგონას სისხლით მოთხვრილი ბაგე. ინგლისში მოკლული ნიგერიელი ბიჭუნას **დიამოლა ტეილორის** სახელობის ფონდის დირექტორმა **გერი ტროუსდეილმა** თქვა:

*„ასეთი საქციელი დასაგმობია, მაგრამ გასაკვირი არ არის. დიდი ხანი არ გასულა მას მერე, რაც ჩვენ ვნახეთ „ნიუკასლის" ფეხბურთელის, ნაილ რეინჯერის ფოტო, სადაც მას ხელში პისტოლეტი უჭირავს. ეს ფოტო „ფეისბუქით" მოედო მთელ დედამიწას. არც ჯოი ბარტონის აგრესიული ქცევის დავიწყება შეიძლება. ნეტავ, ამას ოდესმე ბოლო არ უნდა მოეღოს? ეს ახალგაზრდა ბიჭები, ხომ სამაგალითონი უნდა იყვნენ. მათ უამრავი მოზარდი და თანატოლი შეჰყურებს აღფრთოვანებით. მე იმ პერიოდში გავიზარდე, როდესაც „ჩელსის" ვარსკვლავი პიტერ ოსგუდი იყო და მერწმუნეთ, მაშინ, ასეთი რამ გაუგონარი გახლდათ. ამ ახალგაზრდებს ენით აუწერელ ხელფასებს უხდიან. მათი თამაშის სანახავად ათასობით ადამიანი ფულს ვიხდით და სწორედ ჩვენი ჯიბიდან გასული თანხა ჩადის მათ ჯიბეებში. ამიტომ, ძალადობისკენ მაინც ნუ მოუწოდებენ სხვებს. მოკლედ, ზემოთაც გითხარით, რომ ბალოტელის ქცევაში არაფერი გამკვირვებია, თუმცა ერთი შეკითხვა მაქვს: სად არის და რას აკეთებს ძალადობასთან ბრძოლის მიმართულებით ამ ფეხბურთელების კავშირის შეფი გორდონ ტეილორი?"*

ბალოტელისთან დაკავშირებით კი უამრავი ამბის გახსენება შეიძლება. მაგალითად, შარშან, ინგლისში გამგზავრების წინ, ის მილანის ცენტრში პოლიციამ სათამაშო პისტოლეტიდან სროლისთვის დააკავა. შემდეგ, „სიტის" საწვრთნელ ცენტრში მან ყმაწვილთა გუნდის ერთ-ერთ ფეხბურთელს დართსის „ტყვიის" სროლა დაუწყო. ამ ზაფხულს, შვებულების დღეებში, ბალოტელი ნეაპოლში ადგილობრივი „კამორას" (დანაშაულებრივი ორგანიზაციაა, იგივე, რასაც სიცილიაზე „მაფიას" უწოდებენ) ერთ-ერთ ხელმძღვანელს ესტუმრა და პატივი მიაგო. მოედანზე ჩადენილ სისულელეებს კი აქ აღარ ჩამოვთვლით.

იტალიის ფეხბურთის ასოციაციამ განური წარმოშობის იტალიელი ნაკრებიდან მოკვეთა და ყოფაქცევის გამოსწორება მოსთხოვა.

**ილია ბაბუნაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ვიზე ვოლფსბურგს მიუახლოვდა

„ვერდერის" მეკარე **ტიმ ვიზემ** ახლა უკვე ოფიციალურად აღიარა, რომ „ვოლფსბურგს" მისი გადაბირება სურს და იქვე დასძინა, დიდი შანსია, რომ ვოლფსბურგელების წინადადებას დავთანხმდეო. სანამ 29 წლის მეკარე ამას იტყოდა, „მგლებმა" 34 წლის **ჰასან სალიჰამიჯიჩი** გადაიბირეს (ტრანსფერზე დაწვრილებით გუშინდელ ნომერში ვწერდით) და სამაგიეროდ, 23 წლის შტუტგარტელი **კრისტიან ტრეშის** ტრანსფერი ჩაეშალათ. საქმე იმაშია, რომ შტუტგარტელებმა ტრეშის სანაცვლოდ მოთხოვნილ 12 მილიონ ევროს ფეხი არ მოუცვალეს, „ვოლფსბურგის" მწვრთნელმა და მენეჯერმა **ფელიქს მაგათმა** კი ჩათვალა, რომ ამ მოთამაშისთვის ეს თანხა მეტისმეტია.

„ბილდის" ინფორმაციით, „ვოლფსბურგი" აქცენტს სწორედ ვიზეს ტრანსფერზე გადაიტანს, რადგან თვითონ გამოცდილი მეკარე ამბობს, თუ ვოლფსბურგელები ოფიციალურად დაინტერესდებიან, მოლაპარაკებებზე სიამოვნებით დავთანხმდებიო. ვიზეს „ვერდერთან" კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს და ბრემენულმა კლუბმა მისთვის ახალი ხელშეკრულების გაფორმება სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ თუ „ვერდერის" შეფ **კლაუს ალოფსს** ვიზეთი ფულის გაკეთება უნდა (და ცხადია, რომ უნდა), ახლავე უნდა გაყიდოს, თორემ გაისად ტიმი უფასო იქნება.

**გოტფრიდ ლენცი**



ტიმ ვიზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ესპანეთი. ლა ლიგა. კალენდარი

# მონატრებული დერბით იწყება

გუშინ ესპანეთის ჩემპიონატის კალენდარი გახდა ცნობილი. ტურნირი 21 აგვისტოს აილებს სტარტს და 13 მაისს დასრულდება. შეჯიბრების ადრე დასრულება კი ევროპის ჩემპიონატით არის გამოწვეული. ჩემპიონატი მონატრებული დერბით იწყება - „ბეტისი" ესპანურ ელიტას დაუბრუნდა და ანდალუსიის მთავარი ქალაქის დაპირისპირებაც აღდგა. I ტურში „ბეტისი" მასპინძლობს „სევილიას". თუმცა ტურის მატჩი სხვა იქნება: ჟოზე მოურინიოს „რეალი" ბილბაოს „ატლეტიკს" მასპინძლობს. ჩემპიონი ანდალუსიაში მიდის და „მალაგას" ხვდება. პირველი „კლასიკო" მადრიდში 11 დეკემბერს გაიმართება, საპასუხო - 22 აპრილს.

ნიკოლოზ ნეფარიძე




**I ტური**
**21 აგვისტო**

ოსასუნა-ვალენსია
სოსიედადი-ატლეტიკო
ვილიარეალი-სპორტინგი
მალაგა-ბარსელონა
ბეტისი-სევილია
ესპანიოლი-გრანადა
ვალეკანო-მალიორკა
რეალი-ბილბაო
ლევანტე-სარაგოსა
რასინგი-ხეტაფე

**II ტური**
**28 აგვისტო**

ვალენსია-რასინგი
ატლეტიკო-ოსასუნა
სპორტინგი-სოსიედადი
ბარსელონა-ვილიარეალი
სევილია-მალაგა
გრანადა-ბეტისი
მალიორკა-ესპანიოლი
ბილბაო-ვალეკანო
სარაგოსა-რეალი
ხეტაფე-ლევანტე

**III ტური**
**11 სექტემბერი**

ვალენსია-ატლეტიკო
ოსასუნა-სპორტინგი
სოსიედადი-ბარსელონა
ვილიარეალი-სევილია
მალაგა-გრანადა
ბეტისი-მალიორკა
ესპანიოლი-ბილბაო
ვალეკანო-სარაგოსა
რეალი-ხეტაფე
რასინგი-ლევანტე

**IV ტური**
**18 სექტემბერი**

ატლეტიკო-რასინგი
სპორტინგი-ვალენსია
ბარსელონა-ოსასუნა
სევილია-სოსიედადი
გრანადა-ვილიარეალი
მალიორკა-მალაგა
ბილბაო-ბეტისი
სარაგოსა-ესპანიოლი
ხეტაფე-ვალეკანო
ლევანტე-რეალი

**V ტური**
**21 სექტემბერი**

ატლეტიკო-სპორტინგი
ვალენსია-ბარსელონა
ოსასუნა-სევილია
სოსიედადი-გრანადა
ვილიარეალი-მალიორკა
მალაგა-ბილბაო
ბეტისი-სარაგოსა
ესპანიოლი-ხეტაფე
ვალეკანო-ლევანტე
რასინგი-რეალი

**VI ტური**
**25 სექტემბერი**

სპორტინგი-რასინგი
ბარსელონა-ატლეტიკო
სევილია-ვალენსია
გრანადა-ოსასუნა
მალიორკა-სოსიედადი
ბილბაო-ვილიარეალი
სარაგოსა-მალაგა
ხეტაფე-ბეტისი
ლევანტე-ესპანიოლი
რეალი-ვალეკანო

**VII ტური**
**2 ოქტომბერი**

სპორტინგი-ბარსელონა
ატლეტიკო-სევილია
ვალენსია-გრანადა
ოსასუნა-მალიორკა
სოსიედადი-ბილბაო
ვილიარეალი-სარაგოსა
მალაგა-ხეტაფე
ბეტისი-ლევანტე
ესპანიოლი-რეალი
რასინგი-ვალეკანო

**VIII ტური**
**16 ოქტომბერი**

ბარსელონა-რასინგი
სევილია-სპორტინგი
გრანადა-ატლეტიკო
მალიორკა-ვალენსია
ბილბაო-ოსასუნა
სარაგოსა-სოსიედადი
ხეტაფე-ვილიარეალი
ლევანტე-მალაგა
რეალი-ბეტისი
ვალეკანო-ესპანიოლი

**IX ტური**
**23 ოქტომბერი**

ბარსელონა-სევილია
სპორტინგი-გრანადა
ატლეტიკო-მალიორკა
ვალენსია-ბილბაო
ოსასუნა-სარაგოსა
სოსიედადი-ხეტაფე
ვილიარეალი-ლევანტე
მალაგა-რეალი
ბეტისი-ვალეკანო
რასინგი-ესპანიოლი

**X ტური**
**26 ოქტომბერი**

სევილია-რასინგი
გრანადა-ბარსელონა
მალიორკა-სპორტინგი
ბილბაო-ატლეტიკო
სარაგოსა-ვალენსია
ხეტაფე-ოსასუნა
ლევანტე-სოსიედადი
რეალი-ვილიარეალი
ვალეკანო-მალაგა
ესპანიოლი-ბეტისი

**XI ტური**
**30 ოქტომბერი**

სევილია-გრანადა
ბარსელონა-მალიორკა
სპორტინგი-ბილბაო
ატლეტიკო-სარაგოსა
ვალენსია-ხეტაფე
ოსასუნა-ლევანტე
სოსიედადი-რეალი
ვილიარეალი-ვალეკანო
მალაგა-ესპანიოლი
რასინგი-ბეტისი

**XII ტური**
**6 ნოემბერი**

გრანადა-რასინგი
მალიორკა-სევილია
ბილბაო-ბარსელონა
სარაგოსა-სპორტინგი
ხეტაფე-ატლეტიკო
ლევანტე-ვალენსია
რეალი-ოსასუნა
ვალეკანო-სოსიედადი
ესპანიოლი-ვილიარეალი
ბეტისი-მალაგა

**XII ტური**
**20 ნოემბერი**

გრანადა-მალიორკა
სევილია-ბილბაო
ბარსელონა-სარაგოსა
სპორტინგი-ხეტაფე
ატლეტიკო-ლევანტე
ვალენსია-რეალი
ოსასუნა-ვალეკანო
სოსიედადი-ესპანიოლი
ვილიარეალი-ბეტისი
რასინგი-მალაგა

**XIV ტური**
**27 ნოემბერი**

მალიორკა-რასინგი
ბილბაო-გრანადა
სარაგოსა-სევილია
ხეტაფე-ბარსელონა
ლევანტე-სპორტინგი
რეალი-ატლეტიკო
ვალეკანო-ვალენსია
ესპანიოლი-ოსასუნა
ბეტისი-სოსიედადი
მალაგა-ვილიარეალი

**XV ტური**
**4 დეკემბერი**

მალიორკა-ბილბაო
გრანადა-სარაგოსა
სევილია-ხეტაფე
ბარსელონა-ლევანტე
სპორტინგი-რეალი
ატლეტიკო-ვალეკანო
ვალენსია-ესპანიოლი
ოსასუნა-ბეტისი
სოსიედადი-მალაგა
რასინგი-ვილიარეალი

**XVI ტური**
**11 დეკემბერი**

ბილბაო-რასინგი
სარაგოსა-მალიორკა
ხეტაფე-გრანადა
ლევანტე-სევილია
რეალი-ბარსელონა
ვალეკანო-სპორტინგი
ესპანიოლი-ატლეტიკო
ბეტისი-ვალენსია
მალაგა-ოსასუნა
ვილიარეალი-სოსიედადი

**XVII ტური**
**18 დეკემბერი**

ბილბაო-სარაგოსა
მალიორკა-ხეტაფე
გრანადა-ლევანტე
სევილია-რეალი
ბარსელონა-ვალეკანო
სპორტინგი-ესპანიოლი
ატლეტიკო-ბეტისი
ვალენსია-მალაგა
ოსასუნა-ვილიარეალი
რასინგი-სოსიედადი

**XVIII ტური**
**8 იანვარი**

რასინგი-სარაგოსა
ხეტაფე-ბილბაო
ლევანტე-მალიორკა
რეალი-გრანადა
ვალეკანო-სევილია
ესპანიოლი-ბარსელონა
ბეტისი-სპორტინგი
მალაგა-ატლეტიკო
ვილიარეალი-ვალენსია
სოსიედადი-ოსასუნა

**XIX ტური**
**15 იანვარი**

სარაგოსა-ხეტაფე
ბილბაო-ლევანტე
მალიორკა-რეალი
გრანადა-ვალეკანო
სევილია-ესპანიოლი
ბარსელონა-ბეტისი
სპორტინგი-მალაგა
ატლეტიკო-ვილიარეალი
ვალენსია-სოსიედადი
ოსასუნა-რასინგი

**XX ტური**
**22 იანვარი**

ვალენსია-ოსასუნა
ატლეტიკო-სოსიედადი
სპორტინგი-ვილიარეალი
ბარსელონა-მალაგა
სევილია-ბეტისი
გრანადა-ესპანიოლი
მალიორკა-ვალეკანო
ბილბაო-რეალი
სარაგოსა-ლევანტე
ხეტაფე-რასინგი

**XXI ტური**
**29 იანვარი**

რასინგი-ვალენსია
ოსასუნა-ატლეტიკო
სოსიედადი-სპორტინგი
ვილიარეალი-ბარსელონა
მალაგა-სევილია
ბეტისი-გრანადა
ესპანიოლი-მალიორკა
ვალეკანო-ბილბაო
რეალი-სარაგოსა
ლევანტე-ხეტაფე

**XXII ტური**
**5 თებერვალი**

ატლეტიკო-ვალენსია
სპორტინგი-ოსასუნა
ბარსელონა-სოსიედადი
სევილია-ვილიარეალი
გრანადა-მალაგა
მალიორკა-ბეტისი
ბილბაო-ესპანიოლი
სარაგოსა-ვალეკანო
ხეტაფე-რეალი
ლევანტე-რასინგი

**XXIII ტური**
**12 თებერვალი**

რასინგი-ატლეტიკო
ვალენსია-სპორტინგი
ოსასუნა-ბარსელონა
სოსიედადი-სევილია
ვილიარეალი-გრანადა
მალაგა-მალიორკა
ბეტისი-ბილბაო
ესპანიოლი-სარაგოსა
ვალეკანო-ხეტაფე
რეალი-ლევანტე

**XXIV ტური**
**19 თებერვალი**

სპორტინგი-ატლეტიკო
ბარსელონა-ვალენსია
სევილია-ოსასუნა
გრანადა-სოსიედადი
მალიორკა-ვილიარეალი
ბილბაო-მალაგა
სარაგოსა-ბეტისი
ხეტაფე-ესპანიოლი
ლევანტე-ვალეკანო
რეალი-რასინგი

**XXV ტური**
**26 თებერვალი**

რასინგი-სპორტინგი
ატლეტიკო-ბარსელონა
ვალენსია-სევილია
ოსასუნა-გრანადა
სოსიედადი-მალიორკა
ვილიარეალი-ბილბაო
მალაგა-სარაგოსა
ბეტისი-ხეტაფე
ესპანიოლი-ლევანტე
ვალეკანო-რეალი

**XXVI ტური**
**4 მარტი**

ბარსელონა-სპორტინგი
სევილია-ატლეტიკო
გრანადა-ვალენსია
მალიორკა-ოსასუნა
ბილბაო-სოსიედადი
სარაგოსა-ვილიარეალი
ხეტაფე-მალაგა
ლევანტე-ბეტისი
რეალი-ესპანიოლი
ვალეკანო-რასინგი

**XXVII ტური**
**11 მარტი**

რასინგი-ბარსელონა
სპორტინგი-სევილია
ატლეტიკო-გრანადა
ვალენსია-მალიორკა
ოსასუნა-ბილბაო
სოსიედადი-სარაგოსა
ვილიარეალი-ხეტაფე
მალაგა-ლევანტე
ბეტისი-რეალი
ესპანიოლი-ვალეკანო

**XXVIII ტური**
**18 მარტი**

სევილია-ბარსელონა
გრანადა-სპორტინგი
მალიორკა-ატლეტიკო
ბილბაო-ვალენსია
სარაგოსა-ოსასუნა
ხეტაფე-სოსიედადი
ლევანტე-ვილიარეალი
რეალი-მალაგა
ვალეკანო-ბეტისი
ესპანიოლი-რასინგი

**XXIX ტური**
**21 მარტი**

რასინგი-სევილია
ბარსელონა-გრანადა
სპორტინგი-მალიორკა
ატლეტიკო-ბილბაო
ვალენსია-სარაგოსა
ოსასუნა-ხეტაფე
სოსიედადი-ლევანტე
ვილიარეალი-რეალი
მალაგა-ვალეკანო
ბეტისი-ესპანიოლი

**XXX ტური**
**25 მარტი**

გრანადა-სევილია
მალიორკა-ბარსელონა
ბილბაო-სპორტინგი
სარაგოსა-ატლეტიკო
ხეტაფე-ვალენსია
ლევანტე-ოსასუნა
რეალი-სოსიედადი
ვალეკანო-ვილიარეალი
ესპანიოლი-მალაგა
ბეტისი-რასინგი

**XXXI ტური**
**1 აპრილი**

რასინგი-გრანადა
სევილია-მალიორკა
ბარსელონა-ბილბაო
სპორტინგი-სარაგოსა
ატლეტიკო-ხეტაფე
ვალენსია-ლევანტე
ოსასუნა-რეალი
სოსიედადი-ვალეკანო
ვილიარეალი-ესპანიოლი
მალაგა-ბეტისი

**XXXII ტური**
**8 აპრილი**

მალიორკა-გრანადა
ბილბაო-სევილია
სარაგოსა-ბარსელონა
ხეტაფე-სპორტინგი
ლევანტე-ატლეტიკო
რეალი-ვალენსია
ვალეკანო-ოსასუნა
ესპანიოლი-სოსიედადი
ბეტისი-ვილიარეალი
მალაგა-რასინგი

**XXXIII ტური**
**11 აპრილი**

რასინგი-მალიორკა
გრანადა-ბილბაო
სევილია-სარაგოსა
ბარსელონა-ხეტაფე
სპორტინგი-ლევანტე
ატლეტიკო-რეალი
ვალენსია-ვალეკანო
ოსასუნა-ესპანიოლი
სოსიედადი-ბეტისი
ვილიარეალი-მალაგა

**XXXIV ტური**
**15 აპრილი**

ბილბაო-მალიორკა
სარაგოსა-გრანადა
ხეტაფე-სევილია
ლევანტე-ბარსელონა
რეალი-სპორტინგი
ვალეკანო-ატლეტიკო
ესპანიოლი-ვალენსია
ბეტისი-ოსასუნა
მალაგა-სოსიედადი
ვილიარეალი-რასინგი

**XXXV ტური**
**22 აპრილი**

რასინგი-ბილბაო
მალიორკა-სარაგოსა
გრანადა-ხეტაფე
სევილია-ლევანტე
ბარსელონა-რეალი
სპორტინგი-ვალეკანო
ატლეტიკო-ესპანიოლი
ვალენსია-ბეტისი
ოსასუნა-მალაგა
სოსიედადი-ვილიარეალი

**XXXVI ტური**
**29 აპრილი**

სარაგოსა-ბილბაო
ხეტაფე-მალიორკა
ლევანტე-გრანადა
რეალი-სევილია
ვალეკანო-ბარსელონა
ესპანიოლი-სპორტინგი
ბეტისი-ატლეტიკო
მალაგა-ვალენსია
ვილიარეალი-ოსასუნა
სოსიედადი-რასინგი

**XXXVII ტური**
**6 მაისი**

სარაგოსა-რასინგი
ბილბაო-ხეტაფე
მალიორკა-ლევანტე
გრანადა-რეალი
სევილია-ვალეკანო
ბარსელონა-ესპანიოლი
სპორტინგი-ბეტისი
ატლეტიკო-მალაგა
ვალენსია-ვილიარეალი
ოსასუნა-სოსიედადი

**ბოლო ტური**
**13 მაისი**

ხეტაფე-სარაგოსა
ლევანტე-ბილბაო
რეალი-მალიორკა
ვალეკანო-გრანადა
ესპანიოლი-სევილია
ბეტისი-ბარსელონა
მალაგა-სპორტინგი
ვილიარეალი-ატლეტიკო
სოსიედადი-ვალენსია
რასინგი-ოსასუნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევერკუზენი

# ფიოლერი: ბალაკს ცეცხლი უკიდია!

## რუდი გვპირდება, ახალ სეზონში ისეთ მიხაელს ნახავთ, გაოცებისგან პირს დააღებთო



რუდი ფიოლერი და მიხაელ ბალაკი

„ლევერკუზენი“ ახალი სეზონისთვის მზადებას განაგრძობს, ყველაზე მეტად კი, გერმანიის ჩემპიონატის დაწყებას **მიხაელ ბალაკი** ელოდება: მას მერე, რაც გერმანიის ნაკრებიდან მოკვეთეს, ბუნდესგუნდის ყოფილი კაპიტანი ძალიან მონდომებულია და უნდა, ყველას დაუმტკიცოს, რომ გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** მწარედ შეცდა, მასზე საბოლოო უარი რომ თქვა.

*„პირადად მე არ მახსოვს, როდის იყო მიხაელი ბოლოს ასეთი მონდომებული. 2010 წელი მისთვის მართლაც კატასტროფული გამოდგა, ახლა კი მართლა ძალიან კარგ ფორმაშია და უნდა, დაამტკიცოს, რომ ნაადრევად ჩამოწერეს. დარწმუნებული ვარ, რომ ახალ სეზონში სულ სხვა ბალაკს ვიხილავთ,“* - ამბობს ლევერკუზენელთა სპორტული დირექტორი **რუდი ფიოლერი**, რომელიც გუნდის მზადების პროცესით კმაყოფილია.

მისი თქმით, გუნდში ახლა უფრო დიდი კონკურენციაა, ვიდრე გასულ სეზონში იყო, რაც ზოგადად ყველა ფეხბურთელზე დადებითად მოქმედებს. ფიოლერი: *„ბუნდესლიგაში მხოლოდ მაღალი მიზნებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ჩვენთვის პროგრამა მინიმუმი ამჯერად უკვე ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება იქნება, მაქსიმუმი კი გერმანიის ჩემპიონობა. შარშან ვთქვით, რომ მინიმუმ საუკეთესო ხუთეულში მოხვედრა გვსურდა, სეზონი კი მესამე ადგილზე დავამთავრეთ. ამიერიდან, ჩემპიონთა ლიგაში ბუნდესლიგიდან ოთხი გუნდი გადის და მინიმუმ საუკეთესო ოთხეულში უნდა მოვხვდეთ. ისე კი, ვფიქრობ, რომ ამ გუნდს ჩემპიონობაც შეუძლია.“*

„ფარმაცევტები“ მოსამზადებელ შეკრებას ავსტრიაში გადიან და სამშობლოში დაბრუნებამდე, პარასკევს „მიუნხენ 1860-ს“ ამხანაგურად გაეჯიბრებიან. შეგახსენებთ, რომ ბუნდესლიგის პირველ ტურში, 7 აგვისტოს „ლევერკუზენი“ „მაინცს“ შეხვდება.

**გოტფრიდ ლენცი**

შალკე



კლაას-იან ჰუნტელაარი შალკეში დარჩება

# უარი მანჩესტერს, ჰუნტელაარი რჩება!

„შალკეს“ ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა **კლაას-იან ჰუნტელაარმა** ბოლო მოულო მოარულ ხმებს იმის შესახებ, რომ შესაძლოა გელზენკირხენული კლუბი დატოვოს. გაირკვა, რომ მისი გადაბირება „მანჩესტერ იუნაიტედს“ სურდა, მაგრამ „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ჰუნტელაარმა განმარტა, რომ „შალკედან“ წასვლას არ აპირებს. *„მანჩესტერი“ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია, მაგრამ „შალკედან“ წასვლას არ ვაპირებ. მინდა, რომ გელზენკირხენულ კლუბში კარგი სეზონი ჩავატარო,“* - განაცხადა ჰუნტელაარმა.

ევროპის ტოპ-კლუბებში თამაშის გამოცდილება ჰუნტელაარს აქვს და მხოლოდ გუნდის სახელის გამო ასეთი ნაბიჯის გადადგმას აღარ აპირებს. 2008/2009 წლების სეზონის მეორე ნახევარი მან მადრიდის „რეალში“ გაატარა, საიდანაც „მილანში“ ამოყო თავი, მანამდე კი, ჰოლანდიაში „ეინდჰოვენის“, „გრააფსხაპის“, „ჰერენვენის“ და „აიაქსის“ ღირსებასაც იცავდა. „რეალსა“ და „მილანში“ ჰუნტელაარს ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებდნენ და ალბათ სწორედ ამიტომ ვერ რისკავს „მანჩესტერში“ გადასვლასაც. „შალკეში“ კი სასტარტო შემადგენლობაში თამაშის გარანტიას აძლევენ.

გელზენკირხენულ კლუბში ჰუნტელაარი ერთი წლის წინ, „მილანიდან“ გადავიდა და „შალკეს“ მისი შეძენა 14 მილიონი ევრო დაუჯდა. გასულ სეზონში 28 წლის თავდამსხმელმა ბუნდესლიგის 24 მატჩში 8 გოლის გატანა შეძლო. ჰუნტელაარს „შალკესთან“ კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს.

გუშინდელი დღის შემდეგ, სხვა შალკელებთან ერთად ჰუნტელაარიც ვარჯიშობს და შეიძლება ითქვასხ, რომ ახალი სეზონისთვის დიდი მონდომებით ემზადება. მასთან ერთად, სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლეს კაპიტნობის კანდიდატმა **ბენედიქტ ჰიოვედესმა**, **აცუტო უჩიდამ** და **კირიაკოს პაპადოპულოსმაც**. 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნდა შვეიცარიელი **მარიო გავრანოვიჩიც**, რომელმაც დანიაში გამართულ ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა. თუმცა ამ უკანასკნელმა გამოჯანმრთელებულ **რაულთან** ერთად, მხოლოდ მსუბუქად ივარჯიშა.

## შალკეს სისეც უნდა

ამასობაში, გელზენკირხენელები ჰუნტელაარის შენარჩუნებით არ კმაყოფილდებიან და კიდევ ერთი ახალი თავდამსხმელის ყიდვას აპირებენ. „შპორტ ბილდის“ ინფორმაციით, „შალკე“ „ფრაიბურგის“ გოლეადორ **პაპის დემბა სისეს** უმიზნებს – ფეხბურთელს, რომელმაც გასულ სეზონში 22 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე გავიდა. ხსენებული გამოცემა გუშინდელ ნომერში წერდა, რომ „შალკეს“ მენეჯერი ჰორსტ ჰელდტი ფრაიბურგელ კოლეგებს დაუკავშირდა და მათ სისეს შესახებ ჩამოუგდო სიტყვა. „შპორტ ბილდის“ ინფორმაციით, „ფრაიმ“ 15 მილიონი ევრო მოითხოვა, რაც „შალკეს“ ბოსს ეძვირა. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, რომ ვაჭრობა აუცილებლად გაგრძელდება.

**გოტფრიდ ლენცი**

კაიზერსლაუტერნი

# ოპერაცია ბორდელი

## პოლიციამ კაიზერსლაუტერნის ფეხბურთელები საროსკიპოში დააკავა

კვირას გამთენისას, „კაიზერსლაუტერნის“ ფეხბურთელებს ისეთი ისტორია გადახდათ, „ბილდმა“ ამის შესახებ გუშინ სტატია რომ გამოაქვეყნა, გარეთ თავი არც ერთს აღარ გამოეყოფა. მოკლედ, შაბათს საღამოს „ლაუტერნის“ მეკარე **ტობიას ზიპელმა** (23 წლის) და ნახევარმცველებმა, **თანოს პეცოსმა** (20) და **ივო ილიჩევიჩმა** (24) გართობა გადაწყვიტეს და რა თქმა უნდა, კლუბ „ნახთშიხთს“ მიაშურეს, სადაც გვარიანად გამოთვრნენ. შუაღამისას, კლუბიდან გამოსვლის შემდეგ კი მთვრალები ზიპელის BMW M3-ში მოკალათდნენ და ბორდელ Eros Center-ისკენ აიღეს გეზი.




ბორდელი, სადაც ზიპელი, პეცოსი და ილიჩევიჩი დააკავეს

ავტომობილის დაპარკინგების დროს, ზიპელმა დაყენებულ მანქანას დაარტყა, მერე მის გვერდით გააჩერა და ბიჭები საროსკიპოში შევიდნენ. ავარია ერთ-ერთმა მაცხოვრებელმა შენიშნა და პოლიცია გამოიძახა. სამართალდამცავებმა კი ზიპელი, პეცოსი და ილიჩევიჩი პირდაპირ ბორდელში აიყვანეს.

*„საქმე ორი მუხლით აღიძრა: ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვა და მეორე ავტომობილის დაზიანება. სხვა დეტალებზე ვერ ვისაუბრებ,“* - აცხადებს კაიზერსლაუტერნის პროკურორი **პაულ შაიდნერი**.

სამივე ფეხბურთელმა გუშინ ჰერქსჰაიმში გუნდთან ერთად ივარჯიშა. მენეჯერი **შტეფან კუნტცი** სამივეზე გაბრაზებულია და მათ საქციელს გმობს. *„ბრალდებები ჩვენთვის უკვე ცნობილია, მაგრამ რაკი გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს, სხვა ოფიციალურ კომენტარს არ გავაკეთებთ,“* - ნათქვამია „კაიზერსლაუტერნის“ ოფიციალურ განცხადებაში. ცხადია, კომენტარზე ფეხბურთელებმაც უარი თქვეს.

ფაქტია, რომ ზიპელს მართვის მოწმობას მინიმუმ ცხრა თვით ჩამოართმევენ და ცხადია ისიც, რომ იქნება საკმაოდ დიდი ფულადი ჯარიმაც. გერმანიის კანონმდებლობაში ასეთ დროს ფულადი ჯარიმა დამნაშავის შემოსავლის მიხედვით განისაზღვრება: რაც უფრო დიდია შემოსავალი, მით უფრო იზრდება ჯარიმაც.

**გოტფრიდ ლენცი**

გამოხმაურება

# იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის...

## ლუჩანო მოჯიმ გაიხარა

როგორც გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ „კალჩოპოლის“ სპორტული შედეგების გადახედვის პროცესი დაასრულა, რის შემდეგაც „ინტერს“ 200-2006 წლების სეზონის სკუდეტო ჩამოერთვა. ბუნებრივია, რომ ამ ამბავს აპენინურ სპორტულ საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ვისაც არ დაეზარა, ყველამ საკუთარი მოსაზრება დააფიქსირა. ყურადღების ცენტრში გახლდათ **ლუჩანო მოჯი**, რომელმაც „კორიერე დელო სპორტთან“ საუბარში აშკარად გული მოიფხანა:

*„იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის და დადგა დრო, რომ მეც ვიზეიმო გამარჯვება. დიახ, ეს ჩემი გამარჯვებაა და როდესაც ამას ვამბობ, არანაირი სინდისის ქენჯნა არ მაწუხებს. ცხოვრების ბოლომდე იმ აზრზე ვიქნები, რომ „იუვენტუსს“ სულ ტყუილად ჩამოართვეს სკუდეტო და კიდევ უფრო პარადოქსული მისი „ინტერისთვის“ გადაცემა გახლდათ. მართალია, „ბიანონერის“ საჩემპიონო ტიტული არ დაუბრუნდა, მაგრამ სამართლიანობა ნაწილობრივ მაინც აღდგა. კარგად მახსოვს როგორ დაგვცინოდნენ „ინტერის“ მესვეურები და აცხადებდნენ, რომ ჩვენგან განსხვავებით, ისინი არ იპარავდნენ ტროფეებს. მაინტერესებს, რას იტყვიან დღეის შემდეგ და რით გაიმართლებენ თავს - იგივე შეიძლება ითქვას „ნერაძურის“ რამდენიმე ფეხბურთელზეც, რომლებიც ვერა და ვერ გაძლენ „იუვენტუსის“ კრიტიკით. მოკლედ, „ინტერმა“ თავისი მიიღო და მე ამით უზომოდ კმაყოფილი ვარ“.*

ფედერკალჩოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე იტალიელ მწვრთნელთა ასოციაციის პრეზიდენტმა, **რენცო ულივიერიმაც** ისაუბრა და შემდეგი განაცხადა: *„როდესაც სკუდეტო „იუვენტუსს“ ჩამოართვეს და „ინტერს“ გადასცეს, მაშინვე ვთქვი, რომ მასიმო მორატის ამ ტროფეიზე უარი უნდა ეთქვა. ეს ღირსეული საქციელი იქნებოდა პრეზიდენტის, რომელმაც წესით ყველაზე კარგად უნდა იცოდეს, რომ ჩემპიონები მოედანზე ხდებიან და არა მის მიღმა. შესაძლოა, „იუვენტუსი“ ღირსი იყო იმ სანქციების, რაც დაუწესდა, მაგრამ ამით „ინტერი“ არ უნდა დარჩენილიყო მოგებული. მაშინ მორატიმ სხვა გადაწყვეტილება მიიღო, სკუდეტო შეიფერა და როგორც გავიგე, არც ამჯერად სურს ბედთან შეგუება - კიდევ ერთხელ ვურჩევ, რომ მშვიდად დათმოს სკუდეტო და გაპროტესტებისგან თავი შეიკავოს, რაც მის იმიჯზე ძალიან კარგად იმოქმედებს. თუმცა, მეეჭვება, რომ ასე მოიქცეს და ვფიქრობ, რომ უახლოეს დღეებში ფედერკალჩოს სადისციპლინო კომიტეტში სარჩელს შეიტანს“.*

მორატი მართლაც ამზადებს სარჩელს და იმედს არ კარგავს, რომ მის გუნდს მე-18 სკუდეტოს დაუბრუნებენ. ფედერკალჩოს გადაწყვეტილებას „ნერაძურის“ კაპიტანი, **ხავიერ ძანეტიც** აპროტესტებს, რომელიც ამჟამად სამშობლოში იმყოფება და კოპა ამერიკაზე ასპარეზობს: *„მას შემდეგ, რაც კოპა ამერიკა დაიწყო, მხოლოდ ეროვნულ ნაკრებში ასპარეზობაზე ვარ კონცენტრირებული, თუმცა მიუხედავად ამისა, არ შემიძლია, რომ ჩემი პროტესტი არ გამოვხატო ფედერკალჩოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. ყველამ კარგად ვიცით, რომ 2005/06 წლების სეზონში „იუვენტუსმა“ თამაშების უმეტესობა ჩაწყობით მოიგო, მაშინ, როდესაც ჩვენ სამართლიანად ვთამაშობდით. გამომდინარე აქედან, სკუდეტო „ინტერს“ ეკუთვნის და არ მესმის, საერთოდ რატომ გადახედეს „კალჩოპოლის“ შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებს. დიდი იმედი მაქვს, რომ ვითარება შეიცვლება და საჩემპიონო ტიტულს დაგვიბრუნებენ“.*

**ლაშა წიკლაური**

მაინცი



# პოლანსკიმ პოლონეთი აირჩია

## დებიუტი საქართველოს ნაკრებთან?

„მაინცის“ ნახევარმცველმა **ოიგენ პოლანსკიმ** გერმანიის ეროვნულ ნაკრებზე უარი თქვა და უპირატესობა პოლონეთის ეროვნულ გუნდს მიანიჭა. 25 წლის საყრდენი გერმანიაშია გაზრდილი და რომ არა ერთი გარემოება, შეგვეძლო გვეფიქრა, რომ მასში პატრიოტულმა გრძნობებმა გაილვიძა და ამიტომაც გადაწყვიტა მშობლიური ქვეყნის ნაკრებში თამაში.

გარემოებაში კი იმას ვგულისხმობთ, რომ პოლანსკი უკვე 25 წლისაა და მხოლოდ ახლა დათანხმდა პოლონეთის ნაკრებში თამაშს - სავარაუდოდ მას მერე, რაც მიხვდა, რომ გერმანიის პირველ გუნდში მას შანსი აღარ ჰქონდა. თავის დროზე პოლანსკი გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა და 21-წლამდელთა ბუნდესგუნდის კაპიტანი გახლდათ. მაშინ ის გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნეოდა.

პოლონეთის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი **ფრანტიშეკ შმუდა** არ გამორიცხავს, რომ პოლანსკის 10 აგვისტოს დაგეგმილ ტესტმატჩში უხმოს. შეგახსენებთ, რომ 10 აგვისტოს პოლონელებს საქართველოს ნაკრებთან აქვთ ამხანაგური შეხვედრა. პოლანსკი წარმოშობით სამხრეთ პოლონური ქალაქიდან, სოსნოვიეციდანაა და აქვს როგორც პოლონეთის, ისე გერმანიის მოქალაქეობაც. ამ გადაწყვეტილების შემდეგ, ოიგენ პოლანსკის იმედი აქვს, რომ შმუდა მას ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე წაიყვანს.

თავის დროზე, პოლანსკიმ გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტნის სტატუსი მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“ ასპარეზობის დროს მოიპოვა, მაგრამ მერე პროგრესი შეწყვიტა და „გლადბახის“ ძირითად შემადგენლობაში აღარ ათამაშებდნენ. 2008 წელს მან „ხეტაფეს“ მიაშურა, სადაც ისევ გაიბრწყინა და სწორედ ამიტომ გადაიბირეს მაინცელებმა, სადაც პოლანსკიმ ძველი ფორმა აღიდგინა და ახლა გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. გასულ სეზონში მან „მაინცის“ ღირსება 28 მატჩში დაიცვა („კიკერის“ საშუალო შეფასება 3.29 ბალი).

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ პოლანსკიმდე, გერმანიის ნაკრებს პოლონეთის ეროვნული გუნდი **სებასტიან ბოინიშმა** (ვერდერი) და **ადამ მატუშიკმაც** (კიოლნი) ამჯობინეს.

**გოტფრიდ ლენცი**

## უცხოური ფეხბურთი

# პასი ამერიკიდან

**გაგიკვირდებათ** და, სამხრეთ ამერიკაში კოპას დაწყების მიუხედავად, სხვა საფეხბურთო აქტივობები არ შეწყვეტილა - პარალელურად მიმდინარეობს. მაგალითად, ჩვეულად გრძელდება ბრაზილიის ჩემპიონატი მაშინ, როცა ამ ქვეყნის ნაკრები ერთ-ერთი ფავორიტია ტურნირზე. ახლა წარმოიდგინეთ, ევროპის ჩემპიონატის მიმდინარეობისას, ესპანეთის ან გერმანიის პირველობა რომ არ შეწყვეტილიყო.

ასე რომ, ჩვენი რუბრიკის დღევანდელი გვერდი გარკვეული მიქსი იქნება კოპა ამერიკას სიახლეებისა და კონტინენტის სხვა საფეხბურთო პირველობების საინტერესო ბატალიების.

### ბრაზილია. სერია A

### VII ტურის მიმოხილვა

**ამერიკა–ფლამენგო 2:3**

**გოლები:** 0:1 რონალდინიო (10), 1:1 ალესანდრო (38), 2:1 ანდერსონი (45), 2:2 დეივიდი (56), 2:3 რონალდინიო (83).

**გაძევება:** ლ. ფერეირა (71. ამერიკა)

**გრემიო–ავაი 2:2**

**გოლები:** 0:1 გუსტავო ბაშტოში (4), 0:2 რობინიო (53), 1:2 დუგლასი (73-პენ), 2:2 რ. მარკესი (90)

**გაძევება:** ბატისტა (47. ავაი), დუგლასი (75. გრემიო)

**ვასკო და გამა–კრუზეირო 0:3**

**გოლები:** 0:1 ლ. გერეირო (54), 0:2 მონტილიო (88), 0:3 როჟერი (90-პენ)

**ბაია–კორინთიანსი 0:1**

**გოლი:** 0:1 ჩიკაო (13-პენ)

**ფიგეირენსე–სანტოსი 2:1**

**გოლები:** 1:0 ალოიზიო (5), 1:1 რიჩელი (6), 2:1 ალოიზიო (32)

**სან პაულუ–ბოტაფოგო 0:2**

**გოლები:** 0:1 ელკესონი (35), 0:1 ერერა (51-პენ)

**კორიტიბა–სეარა 3:1**

**გოლები:** 1:0 ლეონარდო (32), 2:0 ევერტონ კოშტა (34), 3:0 ლეო გაგო (55), 3:1 ვაშინგტონი (56)

**გაძევება:** ვაშინგტონი (83. სეარა)

**პალმეირასი–ატლეტიკო გ. 2:0**

**გოლები:** 1:0 მაიკონ ლეიტე (28), 2:0 მარკოს ასუნშაო (34-პენ)

**ატლეტიკო მ–ინტერნასიონ. 0:4**

**გოლები:** 0:1 ლეანდრო (54), 0:2 ზე რობერტო (56), 0:3 დ'ალესანდრო (76), 0:4 ოსკარი (80)

**გაძევება:** გილერმე (85. ატლეტიკო მ.)

**ფლუმინენსე–ატლეტიკო პ. 3:1**

**გოლები:** 1:0 მარიანო (41), 2:0 სირო (43), 3:0 სირო (58), 3:1 ედიგარი (86)

**გამოტოვებული მატჩი**

**სანტოსი–ატლეტიკო მ. 1:0**

**გოლი:** 1:0 ანდერსონი (7. ს. კ.)



# რონალდინიო და კორინთიანსი ბრაზილიის სათავეში

**ბრაზილიური** სერია A-ს მე-7 ტურში ერთპიროვნული ლიდერი შეიცვალა, როგორც კლუბებს შორის, ისე ბომბარდირებში. ზედიზედ ორი ტურია „სან პაულუ" გუნდს აღარ ჰგავს, რითაც ბრწყინვალედ ისარგებლა „კორინთიანსმა", რომელიც 16 ქულით დაწინაურდა, თანაც ამ გუნდს უშუალო კონკურენტებზე ერთი თამაშით ნაკლები აქვს გამართული. ბომბარდირთა დავაში კი ყველასთვის კარგად ნაცნობი **რონალდინიო** დაწინაურდა, რომელმაც უკვე 5 გოლი გაიტანა „ფლამენგოს" მაისურით.

31 წლის ბრაზილიელმა ევროპაში წარუშლელი კვალი დატოვა „პარი სენ ჟერმენში", „ბარსელონასა" და „მილანში" ასპარეზობით. ახლა კი სამშობლოს დაუბრუნდა. მართალია, ის ევროპისთვის უკვე „ჩამოწერეს", მაგრამ რონალდო დე ასის მორეირა (რონალდინიოს სრული სახელია) სამშობლოში ისევ ერთ-ერთი საუკეთესოა. წლის დასაწყისში მან „ფლამენგოს" მაისურა მოირგო და გუნდთან ერთად რიოს ჩემპიონატი მოიგო (თავად 13 თამაშში 4 გოლი გაიტანა), დაიწყო სერია A და რონალდინიო აქაც საუკეთესოთა შორისაა (7 თამაში, 5 გოლი).

ბოლო ტურში ვეტერანმა „ფლამენგოს" სტუმრად 3:2 მოაგებინა „ამერიკასთან", როცა მასპინძელთა კარში დუბლი შეასრულა. პირველი გოლი მან საჯარიმო დარტყმით გაიტანა.

„სან პაულუ", რომელმაც წინა ტურში „კორინთიანსისგან" უდიდესი დარტყმა მიიღო (დერბი 0:5 წააგო), „ბოტაფოგოსთანაც" დამარცხდა და ლიდერობას გამოეთხოვა. ამაში დამნაშავე კი კლუბის ვეტერანი გოლკიპერი **როჟერიო სენია** (რომელმაც ახლახან კლუბის მაისურით მე-100 გოლი გაიტანა), მან ძალიან იოლად ასაღები ბურთი გაუშვა ელკესონის დარტყმისას. მეორე გოლი მასპინძლებმა პენალტის ნიშნულისგან გაუშვეს. „მორუმბიზე" შეკრებილმა 8 ათასმა ფანმა ობსტრუქცია მოუწყო მწვრთნელ **პაულო სეზარ კარპეჯანის**, რომელსაც ვირი უწოდეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კორინთიანსი | 6 | 5 | 1 | 0 | 13-3 | 16 |
| 2. სან პაულუ | 7 | 5 | 0 | 2 | 9-8 | 15 |
| 3. პალმეირასი | 7 | 4 | 2 | 1 | 12-5 | 14 |
| 4. ბოტაფოგო | 7 | 4 | 2 | 1 | 10-5 | 14 |
| 5. ფლამენგო | 7 | 3 | 4 | 0 | 16-8 | 13 |
| 6. ფიგეირენსე | 7 | 4 | 1 | 2 | 9-7 | 13 |
| 7. ინტერნასიონ. | 7 | 3 | 3 | 1 | 16-8 | 12 |
| 8. ფლუმინენსე | 7 | 4 | 0 | 3 | 7-7 | 12 |
| 9. ვასკო და გამა | 7 | 3 | 2 | 2 | 10-11 | 11 |
| 10. კრუზეირო | 7 | 2 | 3 | 2 | 9-7 | 9 |
| 11. სანტოსი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-6 | 8 |
| 12. გრემიო | 7 | 2 | 2 | 3 | 9-10 | 8 |
| 13. ბაია | 7 | 2 | 2 | 3 | 8-9 | 8 |
| 14. ატლეტიკო მ. | 7 | 2 | 2 | 3 | 10-13 | 8 |
| 15. კორიტიბა | 7 | 2 | 1 | 4 | 12-11 | 7 |
| 16. ატლეტიკო გ. | 7 | 2 | 1 | 4 | 7-9 | 7 |
| 17. სეარა | 7 | 2 | 1 | 4 | 8-14 | 7 |
| 18. ამერიკა | 7 | 1 | 2 | 4 | 9-15 | 5 |
| 19. ავაი | 7 | 0 | 2 | 5 | 6-20 | 2 |
| 20. ატლეტიკო პ. | 7 | 0 | 1 | 6 | 2-13 | 1 |

**ბომბარდირები:** 5 - რონალდინიო (ფლამენგო); 4 - ლიედსონი (კორინთიანსი), ელკესონი (ბოტაფოგო), დეივიდი (ფლამენგო), ოსკარი (ინტერნასიონალი), ლუანი (პალმეირასი), მონტილიო (კრუზეირო), ალესანდრო (ატლეტიკო მ.), ბერნარდო (ვასკო და გამა).

**მომდევნო ტური**

**წუხელ** (გვიან ღამით დასრულდა): ავაი-ბაია; კრუზეირო-გრემიო; ინტერნასიონალი-ატლეტიკო პ; სეარა-ატლეტიკო მ; კორინთიანსი-ვასკო და გამა; ფლამენგო-სან პაულუ.

**7 ივლისი:** ბოტაფოგო-ატლეტიკო გ; კორიტიბა-ფიგეირენსე; ატლეტიკო მ.-პალმეირასი.

## ● კოპა ამერიკული კალეიდოსკოპი

### კავანი: კოპა უფავორიტოა

**ურუგვაის** ნაკრების ფორვარდი **ედინსონ კავანი** წლევანდელ კოპაზე ფავორიტს ვერ ხედავს: *„პირველი ტურის შედეგებმა კარგად დაგვანახვა, რომ ამ ჩემპიონატს გამოკვეთილი ფავორიტი არა ჰყავს. ჩემპიონატი მხოლოდ ახლა იწყება, მაგრამ ამის თქმა დარწმუნებით ახლავე შემიძლია. მხოლოდ არგენტინა, ბრაზილია და ურუგვაი? შეხედეთ სხვა გუნდებს, თუნდაც პერუს. არა, ეს ჩემპიონატი ძალზე თანაბარია და აქ არ შეიძლება ვინმეს უგულვებელყოფა, ეს ძვირად დაუჯდება ნებისმიერ გუნდს".*

### პატო: მაინც მოვიგებთ კოპას!

**მსოფლიოს** ხუთგზის ჩემპიონი ბრაზილიის თავდამსხმელი **ალეშანდრო პატო** მიიჩნევს, რომ მიუხედავად ვენესუელასთან ფრისა, ბრაზილიის ნაკრებს შეუძლია კოპა ამერიკა მოიგოს: *„თითოეული ჩვენგანის მიზანი კოპას მოგებაა. ჩვენ გვსურს გავხდეთ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონები. ხოლო ვენესუელასთან მატჩი ამ მიზნამდე გრძელი გზის დასაწყისია მხოლოდ. ამ ფრეს კი იმით ავხსნი, რომ ჯერ ერთმანეთში კარგად ვერ შევთამაშდით. პარაგვაისთან თამაში სულ სხვა იქნება".*

### ჯანყი არგენტინაში?

**რაც** უფრო მეტ კომენტარს ვეცნობით არგენტინის ნაკრებთან დაკავშირებით, მით უფრო გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ გუნდში ყველაფერი წესრიგში არაა. ყოველ შემთხვევაში, როცა საქმე **ლეო მესის** შეეხება, კარგად ჩანს სხვა ფეხბურთელთა გალიზიანება. მაგალითად, აი, რა უთხრა **ხავიერ პასტორემ** ინტერვიუში „ოლეს": *„რა თქმა უნდა, როცა გუნდში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გყავს, დიდი პლუსია, მაგრამ ჩვენ ხომ გუნდი ვართ და უნდა ვითამაშოთ, როგორც გუნდმა".* პასტორე მიიჩნევს, რომ არ შეიძლება მხოლოდ „მესიზე თამაში". თანაგუნდელს **სერხიო აგუეროც** ეთანხმება: *„ხალხს, რატომღაც, ჰგონია, რომ ერთი მესი გაუმკლავდება მეტოქეებს. მაგრამ, ნუ გავიწყდებათ, რომ მოედანზე 11 არგენტინელი გავდივართ".*

### დახურული ვარჯიში არ ჩაატარებინეს

**მეორე** ტურის მატჩის წინ, არგენტინელთა მთავარ მწვრთნელ **სერხიო ბატისტას** დახურული ვარჯიშის ჩატარება სურდა, მაგრამ ვინ აცალა - „ალბისელესტეს" გულშემატკივრებმა შტურმით აიღეს სტადიონი, სადაც, პროტოკოლით, ჟურნალისტებს ბოლო წუთებში შეუშვებდნენ. საბოლოოდ, ასე გამოვიდა - არგენტინის ნაკრების ვარჯიშს დაახლოებით 4 ათასმა ფანმა ადევნა თვალი.

### I ტურის სიმბოლური ნაკრები. 4-3-3 GOAL.COM




**მეკარე**

**მარსელო ელისაგა** (ეკვადორი): 39 წლის მეკარემ პარაგვაი დამწუხრებული გაუშვა მოედნიდან. მისმა თამაშმა ეკვადორს I ტურში ფრე მოუტანა. ელისაგამ განსაკუთრებით ბარეტოს, ორტისოგასა და სანტა კრუსის დარტყმებისას იყოჩაღა.

**მცველები**

**ლორხიო ალვარესი** (ბოლივია): კიდევ ერთი ვეტერანი სიმბოლურში, მან ესეკიელ ლავეცის ფეხი არ გაანძრევინა, რამდენჯერმე კი მესისაც არ მისცა გასაქანი. თითქმის უშეცდომოდ ითამაშა.

**რონალდ რალდესი** (ბოლივია): ცენტრალური მცველიც ბოლივიელი შევარჩიეთ. რალდესს, რომელსაც 50-ზე მეტი კეპი დაუგროვდა ნაკრებში, ძალიან დიდი სამუშაო ჰქონდა, რომელსაც მან თავი ბრწყინვალედ გაართვა. თელ ავივის „მაქაბის" ფეხბურთელი მესისთან დუელში გამარჯვებული გამოვიდა. რამდენ ფეხბურთელს შეუძლია ეს ამ სეზონში დაიკვეხნოს?

**ოსვალდო ვისკარონდო** (ვენესუელა): ყველას იმ ერთი ეპიზოდით დაგვამახსოვრდა, როცა ბრაზილიელი რობინიოს დარტყმულს მეკარის ბაქანზე ჩაუწვა და მხრით არ დაანება ბრაზილიელ ფორვარდს გატანა. მეტოქე გუნდის ფეხბურთელები მიიჩნევდნენ, რომ ვენესუელელმა ხელით ითამაშა, მაგრამ გამეორებამ კარგად გამოაჩინა ვისკარონდოს მაღალი კლასი.

**გონსალო ხარა** (ჩილე): „ვესტ ბრომვიჩის" განაპირა მცველმა ყოჩაღად ითამაშა, მიუხედავად იმისა, რომ ჩილე ამ შეხვედრაში სამი მცველით გამოვიდა.

**ნახევარმცველები**

**ფრედი გუარინი** (კოლუმბია): პორტუგალიაში დიდებული სეზონი ჰქონდა, კოპაზე კი ჯერჯერობით საუკეთესო საგოლე პასის ავტორია, როცა მან რამოსს გადააწოდა და ის მეკარესთან პირისპირ დატოვა, კოსტა რიკის დაცვის მთელი ხაზი უსაქმოდ დატოვა.

**ტომას რინკონი** (ვენესუელა): ტყუილად არ ათამაშებენ ამ ახალგაზრდა ვენესუელელს „ჰამბურგში", მან მეორე ტაიმში ბრაზილიელ შუახაზელებს ცენტრისთვის ბრძოლა მოუგო.

**არტურო ვიდალი** (ჩილე): დინამიკურმა ნახევარმცველმა მექსიკელთა კარში გამარჯვების თავური გაიტანა.

**თავდამსხმელები**

**ედვალდო როხასი** (ბოლივია): ბოლივიის ნაკრებს ბევრი მომენტი არ შექმნია მასპინძელთა მატჩში. ასე რომ, გოლი არგენტინელთა კარში დასაფასებელია, მით უფრო, როცა ფორვარდი ამას ქუსლით ახერხებს.

**სერხიო აგუერო** (არგენტინა): შემოვიდა და არგენტინის ნაკრები ხუთ წუთში იხსნა მარცხისგან, კოპაზე ერთ-ერთი საუკეთესო გოლი გაიტანა. გუნდს კი ახალი ძალა შემატა, სიცოცხლე ჩაჰბერა.

**ლუის სუარესი** (ურუგვაი): გასატანი გაიტანა და ფორლანსაც საუცხოო პასი გადააწოდა. მისი ბრალი სულაც არაა, რომ ვეტერანმა იმ ეპიზოდში ცუდად ითამაშა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## ● ბრაზილია. ტრანსფერი

# კონკა ჩინეთში წავიდა


კონკა

**ბრაზილიის** ჩემპიონმა „ფლუმინენსემ" ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი დაკარგა. 28 წლის არგენტინელი ფორვარდი **დარიო კონკა** კარიერას ჩინეთში გააგრძელებს. კონკა „გუანჯოუს ევერგრანდში" გადავიდა. სამი წლის განმავლობაში კონკა ხელფასის სახით 10,5 მილიონ დოლარს მიიღებს. ეს ჩინეთის ჩემპიონატის აბსოლუტური რეკორდია. კონკამ „ფლუმინენსეს" საჩემპიონო სეზონში 9 გოლი გაიტანა, რითაც კლუბის ბომბარდირი გახდა. კონკამ ძალიან ცოტა დრო გაატარა არგენტინის ჩემპიონატში, თუმცა კი სულ „რივერ პლეიტს" ეკუთვნოდა და ამ გუნდის აღზრდილად ითვლება.

## ● აშშ. MLS

DC-ფილადელფია 2:2, დალასი-კოლამბუსი 2:0, ჩივასი-ჩიკაგო 1:1, სან ხოსე-ნიუ იორკი 2:2, პორტლენდი-კანზასი 1:2, კოლორადო-ჰიუსტონი 0:0, რეალ სოლტ ლეიკი-ნიუ ინგლენდი 3:3, ლოს ანჯელესი-სიეტლი 0:0.

**ლიდერები**

დასავლეთი: ლოს ანჯელესი (36), დალასი (34), სიეტლი (32); აღმოსავლეთი: ფილადელფია (27), ნიუ იორკი (25), კოლამბუსი (24)

**ბომბარდირები**

8 - ჩარლი დევისი (DC), ლენდონ დონოვანი (ლოს ანჯელესი), ტიერი ანრი (ნიუ იორკი), ბრეკ ში (დალასი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. ალუ დიარა

# არჩევანის არ მეშინია


ალუ დიარა მარსელში დიდი მიზნებით მივიდა

**29 წლის ალუ დიარა ორშაბათს შეუერთდა მარსელის "ოლიმპიკს" და გუნდთან ერთად პირველად ივარჯიშა პორტ დუ კრუესტში მიმდინარე შეკრებაზე. მეორე დღეს მან კლუბის ოფიციალურ საიტს მცირე ინტერვიუ მისცა.**

**- მას შემდეგ, რაც კლუბები ყველაფერზე შეთანხმდნენ, მცირე დრო გავიდა და თქვენ კონტრაქტი გააფორმეთ. მოსაფიქრებლად დრო გჭირდებოდათ?**

- არა, არანაირი ეჭვი არ შემპარვია უნდა მიმელო თუ არა ეს წინადადება. იქამდე, ვიდრე კლუბები შეთანხმებას გააფორმებდნენ, მე უკვე გადაწყვეტილი მქონდა. მოლაპარაკება კი იყო დამთავრებული, მაგრამ დეტალები ჯერ კიდევ მოსაგვარებელი იყო. ამ მცირე დროშიც კი არ მიფიქრია, რომ "მარსელში" ვერ გადავიდოდი. კლუბში გასაგებად ვუთხარი, რომ "ბორდოში" გატარებული 4 წლის შემდეგ გარემოს შეცვლა მჭირდებოდა. აქ მოხვედრა ჯერ კიდევ შარშან შემეძლო, მაგრამ მძიმე სეზონის მიუხედავად არ ვნანობ, რომ იქ დავრჩი.

**- რატომ "მარსელი"?**

- "მარსელს" ყოველთვის ყველაზე ამბიციური გეგმები ჰქონდა, რაც მე ყოველთვის მხიბლავდა. რომელ ტურნირშიც კი გამოდის, ყველას მოსაგებად იბრძვის, მონაწილეობს ჩემპიონთა ლიგაში. გასაკვირი არ არის, რომ აქ აღმოვჩნდი.

**- იმან, რომ "მარსელს" დიდიე დეშამი წვრთნის, გადამწყვეტი როლი ითამაშა?**

- დიახ, ამან თავისი როლი ითამაშა, დიდიე ხომ წარმატებული მწვრთნელია. თანაც ის პირადად მიკავშირდებოდა და მეუბნებოდა, რომ ჩემთან მუშაობა სურდა. ვფიქრობ, მიუხედავად იმისა, რომ 29 წლის ვარ, მის ხელში პროგრესი ჯერ კიდევ შემიძლია.

**- ლორან ბლანს თუ დაუკავშირდით იქამდე, ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებდით?**

- არა, მაგრამ მან იცოდა, რომ "მარსელს" ინტერესი ჰქონდა ჩემდამი. ეს ჩემი პირადი არჩევანი იყო. მე არ ვარ პატარა ბიჭი, რომ არჩევანის მეშინოდეს. მართებული ნაბიჯი რომ გადავდგი, ამაში დარწმუნებული ვარ.

**- შეკრების დაწყებამდე შვებულება როგორ გაატარეთ?**

- კარგად დავისვენე და ახლა ფიზიკური კონდიციების აღდგენის დროა. ჩემი მიზანია, სეზონის ოფიციალურად დაწყებამდე კონკურენტუნარიან ფორმაში მოვასწრო ჩადგომა. მარსელში იმის დიდ იმედად ჩამოვედი, რომ კიდევ უფრო მეტ პროგრესს განვიცდი და გუნდთან ერთად ტიტულებს მოვიგებ.

**- რა შეგიძლიათ თქვათ გუნდის პერსპექტივაზე?**

- მშვენიერი გუნდი გვყავს, მაღალი კლასის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული. ვფიქრობ, ერთად ბევრი რამის მიღწევას შევძლებთ, მაგრამ ამისთვის დრო გვჭირდება.

**- თქვენგან გუნდის ნამდვილ ლიდერად ჩამოყალიბებას ელიან...**

- ლიდერობა ეს რაღაც განსაკუთრებულია. არ ვიცი, ამას მოვახერხებ თუ არა, მაგრამ ყოველ მატჩში ძალასა და ენერგიას არ დავიშურებ. საკმაოდ დიდი გამოცდილება მაქვს, რასაც ჩემს თანაგუნდელებს დაუზარებლად გავუზიარებ.

**- "მარსელზე" ყოველთვის განსაკუთრებული ზეწოლაა. ეს დამატებითი მოტივაციაა?**

- დიახ, ვიცი, რომ მასმედიისა და გულშემატკივრების მხრიდან ზეწოლა მართლა განსაკუთრებულია, მაგრამ ეს ლოგიკურიცაა, რადგან ეს დიდი კლუბია.

**ლევან ბიბილაშვილი**

მანჩესტერ სითი


სტეფან სავიჩი ქალაქელი გახდა

# სითი და სავიჩი დამეგობრდნენ

"მანჩესტერ სითიმ" ოფიციალურად დაადასტურა, რომ ბელგრადის "პარტიზანიდან" ჩერნოგორიის ნაკრების ცენტრალური მცველი **სტეფან სავიჩი** გადაიბირა. "ქალაქელებმა" ფეხბურთელში 10 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. გასულ წელს ფეხბურთელი გასინჯვაზე "არსენალში" იყო, მაგრამ **არსენ ვენგერის** მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში სტეფანმა დიდი პროგრესი განიცადა და "სითიმ" ის ყოველგვარი სინჯების გარეშე ჩარიცხა თავის რიგებში. მან განსაკუთრებული შთაბეჭდილება ინგლისელებზე "უემბლიზე" ინგლისი-ჩერნოგორიის შეხვედრაში დატოვა. ბოლო დღეებში ეს ისტლენდელების მეორე შენაძენია **გაელ კლიშის** შემდეგ.

*"მუდმივად ვუყურებდი პრემიერლიგის მატჩების ტრანსლაციებს ტელევიზიით და ვიცი, რასაც წარმოადგენს ეს ჩემპიონატი. ასე რომ, დიდი იმედი მაქვს, გუნდს წარმატებების მიღწევაში დავეხმარები. დიდებულ არენაზე გვიწევს ასპარეზობა, სადაც მსოფლიოში ყველაზე ერთგული გულშემატკივრები იკრიბებიან. უკვე ვითამაშე შონ-რაიტ ფილიპსის წინააღმდეგ სანაკრებო შეხვედრაში. ის წარმოუდგენლად მოხერხებულ ფეხბურთელად მომეჩვენა. მაშინ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ერთი წლის შემდეგ მისი თანაგუნდელი გავხდებოდი. მოხარული ვარ, რომ აქ ვარ. ერთი სული მაქვს როდის მომიწევს ასეთ ფანტასტიკურ მოთამაშეებთან ერთად ასპარეზობა. ჩემი ოცნება ახდა: ედინ ჯეკოსთან და ალექსანდრ კოლაროვთან ერთად მომიწევს თამაში,"* – განაცხადა სტეფან სავიჩმა.

ინგლისურ პრესაში აქა-იქ დაიწერა, რომ კლიშისა და სავიჩის ტრანსფერების შემდეგ "სითი" შეიძლება უფრო იოლად დათანხმდეს "ბაიერნში" **ჟერომ ბოატენგის** გაყიდვას.

**ლევან ბიბილაშვილი**

ბაიერნი

# დონმა რიბერის თითი დაუქნია!

## ჰაინკესი: სახელები არ მაინტერესებს, ტაქტიკას ყველა უნდა მოერგოს

„ბაიერნი" ახალი სეზონისთვის მზადებას განაგრძობს – როგორც იცით, რეკორდმაისტერი შეკრებას იტალიაში გადის. ახალი ის არის, რომ ბავარიელთა დამრიგებელმა **იუპ ჰაინკესმა** გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, 28 წლის ფრანგი გარემარბი **ფრანკ რიბერი** გააკრიტიკა.

*„თანამედროვე ფეხბურთში ყველაზე მთავარი ის არის, რომ გუნდი უნდა ფუნქციონირებდეს. თავდაცვაზე ზრუნვა კი მეტოქის ნახევრიდან იწყება. ასე რომ, დაცვითი ფუნქციები თავდამსხმელებმა და შემტევმა ნახევარმცველებმაც უნდა იტვირთონ. მე ვიცი, რა შეუძლია რიბერის და მას ძალიან ვაფასებ, მაგრამ ფაქტია, რომ ტაქტიკას ის უნდა მოერგოს და არა პირიქით,* - ამბობს ჰაინკესი „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში და იქვე დასძენს, - *მან უნდა შეასრულოს ყველა დავალება, რაც მიეცემა. სხვათა შორის, ეს მარტო რიბერის არ ეხება. იგივეს ვამბობ სხვა შემტევების, არიენ რობენის, ბასტიან შვაინშტაიგერის, თომას მიულერისა და მარიო გომესის შესახებაც. ძალიან ბევრი შესანიშნავი ფეხბურთელი გვყავს და სწორედ ამიტომაა აუცილებელი, რომ ფეხბურთელები მოერგონ ტაქტიკას. ნებისმიერ ვარსკვლავზე მნიშვნელოვანი გუნდის ფუნქციონირებაა."*

რიბერის მცირე ტრავმა აწუხებდა და გუნდს გუშინ შეუერთდა. მიხარია, რომ ისევ ბიჭებთან ერთად ვარ და სეზონის დაწყებას მოუთმენლად ველიო, აღნიშნა ფრანგმა.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

## ჟერვინიო, როგორც იქნა

უკანასკნელი ცნობებით, "ლილის" 24 წლის თავდამსხმელი **ჟერვინიო** ლონდონში გაემგზავრა, რათა ლონდონის ერთ-ერთ კლინიკაში სრული სამედიცინო შემოწმება გაიაროს. მოსალოდნელია, რომ ივუარელი კონტრაქტს უახლოეს დღეებშივე გააფორმებს. არაოფიციალური წყაროებით ცნობილი გახდა, რომ ფეხბურთელი "მეთოფეებთან" 4-წლიან ხელშეკრულებას გააფორმებს და ამ პერიოდში ანაზღაურების სახით 12 მილიონ გირვანქას მიიღებს. ჩვენი ინგლისელი კოლეგების ცნობით, აღნიშნული გარიგება "არსენალში" **ნიკლას ბენდტნერის** კარიერას წერტილს დაუსვამს. დანიელს ლისაბონის "სპორტინგი" იწვევს.

## ბლოხინი კი სულ უფრო უკმაყოფილოა

ფრანგული "სოშოს" 22 წლის ნიგერიელი თავდამსხმელი **ბრაუნ იდეიე** ორიოდე დღეში კიევის "დინამოსთან" კონტრაქტს გააფორმებს. გუშინ უკრაინის დედაქალაქს ის სამედიცინო შემოწმების მიზნით ეწვია. ფეხბურთელს კიეველებთან პირადი კონტრაქტი უკვე შეთანხმებული აქვს. "სოშო" ფეხბურთელის სანაცვლოდ 8 მილიონ ევროს მიიღებს. ყოველივეს კიეველთა ოფიციალური საიტი უკვე ადასტურებს. "სოშოში" ფეხბურთელმა სულ რაღაც 1,5 წელიწადი გაატარა, სადაც ის შვეიცარიული "ქსამაქსიდან" 4 მილიონ ევროდ გადავიდა.

"დინამოს" ინტერესი ფრანგული ბაზრისადმი ამით არ ამოიწურება. **იგორ სურკისს** "ნანსის" 31 წლის მაროკოელი შემტევის **იუსეფ ჰაჯის** გადაბირებაც სურს. ის 3,5 მილიონ ევროდ არის შეფასებული. "დინამოს" გარდა მისადმი ინტერესს "ჰამბურგი" და "ნიურნბერგიც" ადასტურებენ.

უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ოლეგ ბლოხინი**, მისი ასისტენტები **ანდრეი ბალი** და **იური კალიტვინცევი** "დინამო"-"შახტარის" სუპერთასის მატჩს დაესწრნენ. შეხვედრა კიეველებმა 3:1 მოიგეს. მატჩის შემდეგ მასმედია ბლოხინის აზრით დაინტერესდა. აი, რა განაცხადა მან: *"რაში მჭირდება ეს მატჩი? მე ჩემი ფეხბურთელების საქმეში ნახვა მინდოდა, მაგრამ არც კი ვიცი, ვინმე თუ დარჩა ამ გუნდებში ჩემთვის საინტერესო. ასპარეზობას მთლიანად მივადევნე თვალი, მაგრამ შეფასებისგან თავს შევიკავებ. სჯობს, თუ ამას ლუჩესკუ და სიომინი გააკეთებენ,"* – ბუნებრივია, ბლოხინი ნამყვან უკრაინულ კლუბებში ლეგიონერების მომრავლებით ძალზე უკმაყოფილოა.

**ლევან ბიბილაშვილი**

საირმეს დაბადება 40 წლის შემდეგ

განახლებული კურორტი საირმე!

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მიმდინარე წლის ივლისში განახლებული კურორტი საირმე უკვე პირველ დამსვენებლებს მიიღებს. სამკურნალო, მინერალური და თერმული წყლებით მდიდარი საბადოები, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები, მთის კლიმატი – ეს ყველაფერი ერთად გვხვდება ბალნეოლოგიურ კურორტ საირმეში, რაც მას მთელ ევროპაში გამოარჩევს და უნიკალურს ხდის.

3-ვარსკვლავიანი კომფორტული სასტუმრო, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს პასუხობს, ველა ნომერში არის ტელეფონი, საკაბელო ტელევიზია, სწრაფი ინტერნეტი და სრული საყოფაცხოვრებო კომფორტი, თანამედროვე ავეჯით.



ჭიდაობა. ოქროს დიდი პრიზის სუპერფინალი

# ქართული ექსპერიმენტი ბაქოში

## საკანდელიძე: აქაც, იქაც




8-10 ივლისს ბაქოში ჰეიდარ ალიევის სახელობის „ოქროს დიდი პრიზის" სუპერფინალი ტარდება, სადაც საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებში ერთი, ცოტა არ იყოს და, უცნაური ექსპერიმენტი იგეგმება - მძიმე წონაში თავისუფალი სტილით მოჭიდავე **გიორგი საკანდელიძეს** გამოსცდიან. ამ უცნაური როქის შესახებ პირველად კარტოზია-ბალავაძის ტურნირზე ოლიმპიური გუნდის მთავარმა ექიმმა **ზურაბ კახაბრიშვილმა** მითხრა, როგორც მისივე მიწოდებული იდეა, თუმცა, სიმართლე გითხრათ, არ მჯეროდა ამისი. საკანდელიძე ძალზე წარმატებულია თავის წონაში. ის შარშან გადმოვიდა ეროვნულ ნაკრებში, მანამდე კი ახალგაზრდულში დიდ წარმატებებს მიაღწია - შარშანწინ ევროპასა და მსოფლიოზე ვერცხლის მედლები მოიპოვა, შარშან ევროპის ჩემპიონი გახდა, მსოფლიოზე კი მესამე იყო. ის დიდ კონკურენციას ქმნის მძიმე წონაში, სადაც მწვრთნელებს კიდევ ორი ძლიერი ფალავანი ჰყავთ - ევროპის ექსჩემპიონი **დავით მოძმანაშვილი** და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი **ლევან ბერიანიძე**. ჯერჯერობით წონის ლიდერად მოძმანაშვილი მოჩანს, რომელიც პერიოდულად ჯობნის ხოლმე ახალგაზრდა კონკურენტებს და მსოფლიოზე წასვლის ანუ ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვების უფრო რეალური კანდიდატიც ისაა. შესაძლოა, სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს საკანდელიძის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გამოცდა - ჩვენდა სამწუხაროდ, იქაურ მძიმე წონაში იმდენად მძიმე საკადრო პრობლემებია, საგზურის მოპოვება სულ უფრო არარეალური ხდება, საკანდელიძე კი თავისი საჭიდაო სტილიდან გამომდინარე, უფრო მიესადაგება ამ სახეობას.

### ისინი ბაქოში იჭიდავებენ

საკანდელიძე წუხელ გუნდთან ერთად ბაქოში გაემგზავრა, სადაც პარასკევს „თავისუფალთა" შორის გამოვა, კვირას - ბერძენ-რომაელებში. „თავისუფალთა" ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზაზა თურმანიძემ** ბაქოში ლამის უცვლელად წაიყვანა ის შემადგენლობა, რომელმაც იქ გამოსვლის უფლება მოიპოვა. მწვრთნელმა მხოლოდ ერთი იძულებითი ცვლილება გააკეთა 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში - ფეხმტკივანი **კობა კაკალაძე ილია ხუციშვილით** ჩაანაცვლა, მის გარდა კი **გიორგი ედიშერაშვილი, ტრისტან ჩირგაძე, გივი დავიდოვი** (სამივე - 55), **მალხაზ ზარქუა, მალხაზ ქურდიანი, დავით ბერძნიშვილი** (60), **შალვა მუზიაშვილი, გიორგი ცუცქირიძე** (66), **გოჩა ლომთათიძე, გიორგი მარსაგიშვილი, რევაზ ივანიშვილი** (74), **აჩიკო ქიტიაშვილი, ირაკლი მარსაგიშვილი, ბექა ჭელიძე** (84), **ელიზბარ ოდიკაძე, ლევან სეთურიძე, დავით ქერაშვილი** (96), **დავით მოძმანაშვილი, ლევან ბერიანიძე, გიორგი საკანდელიძე** (120) იჭიდავებენ.

სამწუხაროდ, „თავისუფალთა" ნაკრებში კვლავაც არ არიან მისი ლიდერები - ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **გიორგი გოგშელიძე** (96) და მსოფლიოსა და ოლიმპიური ვერცხლ-ბრინჯაოს მფლობელი **ოთარ თუშიშვილი** (66). თუშიშვილი ჯერაც ტრავმებს იშუშებს, გოგშელიძემ ნაოპერაციები მხარი კი მოირჩინა და ფიზმომზადებისთვის განკუთვნილი შეკრებაც გაიარა, მაგრამ ლეიბზე ვარჯიში ჯერ არ დაუწყია. შესაბამისად, არც ისაა გარკვეული, როგორი გეგმით მოემზადება მსოფლიოს პირველობისთვის.

თურმანიძისგან განსხვავებით, ბერძენ-რომაელთა ნაკრების თავკაც **ბეგი დარჩიას** ბაქოში წასაყვან შემადგენლობაში ბევრი ცვლილების გაკეთება, მოუწია - ზოგიც ტაქტიკური ჩანაფიქრით, ზოგიც - ტრავმების, უმთავრესად კი ახალგაზრდული ნაკრების ინტერესთა გათვალისწინებით. საბოლოოდ მისმა გუნდმა ასეთი სახე მიიღო: **ლაშა გოგიტაძე, გენადი ქუთათელაძე, ზურაბ მაჭარაშვილი** (სამივე - 55), **ირაკლი ჭოჭუა, გოგიტა გოგიბერაშვილი, სულხან წულუკიძე** (60), **მარადი აბულაძე, არჩილ თურმანიძე, მუხრან მაჭუტაძე** (66), **ოთარ ფევაძე, ილია გულბათაშვილი, მანუჩარ ცხადაია** (74), **გიორგი ცირეკიძე მათე სოფაძე, ბექა როყვა** (84), **ირაკლი ქაჯაია, იაკობ ქაჯაია, ვასილ იმერლიშვილი** (96), **დიმიტრი ჯავახიშვილი, რევაზ ჭელიძე** და საკანდელიძე. (120). თავდაპირველი შემადგენლობიდან ამოვარდნენ **ქემალ ხარაბაძე** (60), **ლაშა ლოლაშვილი** (66), **მანუჩარ კვირკველია** (74), **რევაზ ნადარეიშვილი, დავით ჩაკვეტაძე** (84), **რამინ შაქარიშვილი, სერგო გოგისვანიძე** (120), ტაქტიკური მოსაზრებით კი ბაქოში არ წავიდნენ ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **რევაზ ლაშხი** (60) და ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** (74). თუმცა ლაშხი **ვლადიმერ გეგეშიძესთან** (84) ერთად ამავე უქმეებზე ესპანეთში იჭიდავებს, კვირკველია კი აგვისტოში პოლონეთში იასპარეზებს.

პარასკევს ტურნირში თავისუფალი სტილით მოჭიდავეები გამოვლენ, შაბათს ქალები იჭიდავებენ, კვირას - ბერძენ-რომაელები. შეგახსენებთ, რომ „ოქროს დიდი პრიზის" სუპერფინალი კომერციული შეჯიბრებაა - ჩემპიონი ჯილდოდ 10 000 დოლარს მიიღებს, ვერცხლის მედალოსანი - 5 000-ს, ბრინჯაოს პრიზიორებს კი 2-2 ათასი დოლარი გადაეცემათ.

### გაურკვევლობა გრძელდება

ამასობაში გრძელდება გაურკვევლობა **ვლადიმერ ხინჩეგაშვილისა** (55) და **დავით მარსაგიშვილის** (84) ირგვლივ. კერძოდ, ჯერ კიდევ არაა ცნობილი, სად იჭიდავებენ ისინი მსოფლიოს ჩემპიონატზე - ახალგაზრდულ ნაკრებში თუ ეროვნულში. შეგახსენებთ, რომ წლეულს მათ ორივე ნაკრებში იჭიდავეს ევროპის პირველობებზე - ახალგაზრდებში ჩემპიონები გახდნენ, უფროსებში - ვერცხლის მედალოსნები (თუმცა მარსაგიშვილის შემთხვევაში ეს მთლიანად მსაჯთა ნამუსზეა), ახლა კი წინ მსოფლიოს ჩემპიონატებია. ახალგაზრდებში ამ ტურნირზე მათ ივლისის ბოლოს უნდა იასპარეზონ ბუქარესტში, უფროსებში მსოფლიოს ჩემპიონატი კი, რომელიც სალიცენზიოცაა, სექტემბერში სტამბოლში იმართება. ჯერჯერობით არც მწვრთნელთა საბჭოსა და არც საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში არაა აზრთა ერთობლიობა, მათ ორივეგან იჭიდაონ თუ რომელიმე გამოტოვონ. ნაწილი შიშობს, რომ ბუქარესტშიც თუ გამოვლენ, სტამბოლის მსოფლიოსთვის გადაიღლებიან და კარგად ვერ იჭიდავებენ. ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მალხაზ ჯორბენაძემ** გვითხრა, რომ არაა გამორიცხული, ორივეგან იასპარეზონ, მაგრამ თუ არჩევანზე მიდგება საქმე, ცხადია, უფროსთა სალიცენზიო პირველობას აირჩევენ და ახალგაზრდულ ჩემპიონატს გამოატოვებინებენ. ეს საკითხი საბოლოოდ ბაქოდან დაბრუნების შემდეგ გადაწყდება.

**ირაკლი თავაძე**

მშვილდოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი



# ქართველები მაფიოზებმა დაამარცხეს...




ქართველთათვის სადავოდ წარიმართა ტურინში მიმდინარე მშვილდოსან ქალთა გუნდური პირველობა. პლეიოფის პირველ წრეში, რომელსაც ლონდონის ოლიმპიადის მონაწილენიც უნდა გაერკვია - ამ უფლებას მეორე რაუნდში გასულები იღებდნენ, ჩვენები მასპინძელ იტალიელებს ხვდებოდნენ და თავდაპირველად მოუგეს კიდეც, მაგრამ იტალიელებმა შედეგი გააპროტესტეს და დამატებითი გადასროლის უფლება მიიღეს. ის ფრედ დასრულდა, თუმცა აპენინელებს ერთი 10-იანი ჰქონდათ, ჩვენებს - არა და ამიტომ მოგებაც მათ დარჩათ. ტურინში მყოფი ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელობა ამას იტალიელთა მაქინაციებს მიაწერს და შედეგის გაპროტესტებას უკვე ლოზანაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის არბიტრაჟში აპირებენ.

შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ დასრულდა - 207:207. თუმცა აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება - კორეელი მწვრთნელის დამოძღვრილმა ჩვენმა მშვილდოსნებმა მასპინძელთა ძლიერ გუნდს მოუგეს ორი სეტი - 52:51; 52:50. სამწუხაროდ, დათმეს მომდევნო ორი - 51:52; 52:54. მესამე პერიოდის შემდეგ ორ ქულას კვლავაც იგებდნენ, რისი გაბათილებაც მეტოქემ მეოთხეში მაინც მოახერხა. ჩვენებს წაგებული პერიოდებიდან რომელიმეში ერთი ქულით მეტიც რომ გაეკეთებინათ, მოგებაც მათ დარჩებოდათ.

თუმცა მთავარი ამბები დამატებით სროლებში მოხდა, რომელიც ჩვენებმა მოიგეს - მათ 27 ქულა დააგროვეს (10+8+9) იტალიელებმა - 22 (9+7+6). ამ დროს მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის საიტმაც გამარჯვებულად ჩვენი გუნდი გამოაცხადა. როგორც ტურინში მყოფმა საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **არტემ სანიშვილმა** სატელეფონო საუბარში გვითხრა, ყველა მათ ულოცავდა ასეთ ძლიერ მეტოქესთან წარმატებას, მაგრამ აი, აქ იქუხა მეხმა მოწმენდილ ცაზე - იტალიელებმა შედეგი გააპროტესტეს! სანიშვილის თქმით, ამის მიზეზი ელექტრო ტაბლოს გათიშვა გახდა, რაც თურმე ბოლო გასროლის წინ მოხდა, როცა **ქრისტინე ესებუა** ისროდა. სანიშვილი ვარაუდობს, რომ ტაბლოს გათიშვა მასპინძელთა ხრიკი იყო, რაკილა აგებდნენ. რა და როგორ იყო, ამაზე ლაპარაკი ცოტა ძნელია, მაგრამ ფაქტია - სააპელაციო კომიტეტი იტალიელთა საჩივარს საათნახევარი იხილავდა და ბოლოს გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელმაც არა მარტო ჩვენები, უცხოელებიც კი გააოგნა - გადასროლა! ტაივანელებთან მეორე წრის სამზადისში გართულ ქართველებს ეს ამბავი თავზე ელდად დაატყდათ, მაგრამ სხვა გზა არ იყო და კვლავაც სასროლეთს მიაშურეს. ახალი სერია ფრედ დასრულდა - 25:25, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, მასპინძლებმა ერთი 10-იანი გაარტყეს, ჩვენებურთა უმაღლესი შეფასება კი 9-იანი იყო და მოგებაც აპენინელებს დარჩათ. სანიშვილსავე თქმით, ამან უცხოელთა პროტესტიც კი გამოიწვია, ხოლო საერთაშორისო ფედერაციის რამდენიმე მაღალჩინოსანი მათთან შეხვედრას გაურბოდა კიდეც. პირად საუბრებში მათ ულიარებიათ, რომ გადაწყვეტილება უსამართლოა, მაგრამ რაკილა საპროტესტო კომიტეტმა მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, ჩვენ უძლურნი ვართ, მათ საქმეებში ვერ ჩავერევითო. ისინი თურმე გაისად გასამართი სალიცენზიო შეჯიბრებებისთვის ყოველმხრივ დახმარებას აღუთქვამდნენ ჩვენებს, მაგრამ სანიშვილმა განაცხადა, მაგათი დახმარება არ გვჭირდება, კუთვნილის დაბრუნებას ვითხოვთო.

სიმართლე გითხრათ, ამ ამბავში ბევრი რამე ჩვენთვის გაურკვეველია. მაგალითად, მათ ტაბლო თუ გაეთიშათ, ეს რა ესებუას ან რომელიმე ჩვენგანის ბრალია, ისევ საკუთარ თავს მოჰკითხონ, მაგრამ მაფია ხომ იტალიელების მოგონილია. მათ მასპინძლობის ფაქტორის გარდა, ზურგს ძლიერი ლობიც უმაგრებთ - ევროპული ფედერაციის პრეზიდენტიც იქაურია, **მარიო სკარცელა**, მაგრამ დანებებას არც ჩვენები აპირებენ და წართმეული ლიცენზიების მოსაპოვებლად სოკ-ში იჩივლებენ. საამისოდ ისინი ტურინში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ **გია ნაცვლიშვილის** ჩასვლას ელოდებოდნენ, რომელმაც ეს ამბავი ჩვენგან შეიტყო. ის ლონდონიდან მიუნხენში მიემგზავრებოდა, რათა იქიდან ჩასულიყო იტალიაში და ლიცენზიები უკვე მოპოვებული ეგონა, მაგრამ როცა ჩვენგან ეს ამბავი შეიტყო, მაშინვე დაუკავშირდა დელეგაციას. ნაცვლიშვილი წუხელ სალამოს უკვე ტურინში იქნებოდა. მისი თქმით, ლოზანაში სარჩელს აუცილებლად შეიტანენ და უკვე გუშინვე გასცა განკარგულება სათანადო საბუთების მომზადების შესახებ. ტურინში დღეს მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის თურქი პრეზიდენტი **უგურ ერდენერიც** ჩადის და ნაცვლიშვილი მასთანაც აპირებს შეხვედრას.

იტალიელებს ძლიერი გუნდი ჰყავთ - მსოფლიოს ჩემპიონებიც არიან და ვერცხლის მედლის მფლობელებიც. მართალია, ბოლო წლებში გუნდი მნიშვნელოვნად გადაახალისეს - მხოლოდ მოლდოველი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ნატალია ვალეევა** დარჩა, **ელენა ტონეტა** და **პია კარმენ ლიონეტი** კი

» მე-11 გვერდზე

ტაეკვანდო

# 36 ქვეყანა, 320 მონაწილე

**გივი კარტოზიას** სახელობის თბილისის სპორტის სასახლეში დღეს დაიწყება ტაეკვანდოში ევროპის კადეტთა პირველობა. შეჯიბრებაში 36 ქვეყნის 1997-1999 წლებში დაბადებული 320-მდე გოგონა და ვაჟი ჩაებმება. საქართველოს დედაქალაქს, სადაც სპორტის ამ სახეობაში მსგავსი დონის ტურნირი პირველად ტარდება, 200-მდე ოფიციალური პირი, მწვრთნელი და გულშემატკივარიც ეწვია, მათ შორის - კონტინენტის ტაეკვანდოს გაერთიანების თავკაცი **ათანასიოს პრაგალოსი**. გუშინ საპატიო სტუმარმა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრ **ვლადიმერ ვარძელაშვილთან** და ტაეკვანდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ **გიორგი კოროხაშვილთან** ერთად სპორტის სასახლე მოინახულა და მისი მზადყოფნით კმაყოფილი დარჩა.

ევროპის პირველობისთვის საქართველოს ნაკრები **გიორგი ივანიშვილის** ხელმძღვანელობით დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე ემზადებოდა. ასპარეზობის წინა დღეს ნორჩი ტაეკვანდოისტები სპორტის მინისტრის მოადგილემ **გია გალდავამ** მოინახულა და წარმატება უსურვა.

გულშემატკივრები სპორტის სასახლის სარბიელზე ჩვენი ქვეყნის 19 წარმომადგენელს იხილავენ, რომლებიც უცხოელებს მედლებისთვის პაექრობაში გაუწევენ მეტოქეობას. ჩვენებურთაგან დღეს ტატამზე გავლენ **ნინო ცინაძე, ბექა ქავთარაძე** (ორივე-33 კგ) და **გიორგი მანჯავიძე** (37 კგ). ხვალ ძალებს მოსინჯავენ **ლიკა ტორონჯაძე** (37), **ხატია მეჩითიშვილი, არკადი კირაკოსიანი** (ორივე-41) და **სოსო ქვარცხავა** (45). პირველობის ბოლო ორ დღეს მედლებისთვის იბრძოლებენ: 9 ივლისს-**ვერიკო კაპანაძე** (44), **ზიზი გეთიაშვილი** (47), **მერაბ შუკაკიძე** (49), **აიდა გამბაროვა** (51), **გიორგი ჩაჩანიძე** (53), **თორნიკე თოდუა** (57); 10 ივლისს-**ანა სეთური** (55), **ანა ზარქუა** (59), **თამარ გურიევა** (+59), **დავით ჩიხლაძე** 61), **ნიკა ლონლაძე** (65) და **რატი ჩანგელია** (+65 კგ).




გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ ორი წლის წინათ ხორვატიაში მსგავს შეჯიბრებაზე **გურამ კუტუბიძემ** (53 კგ) მესამე ადგილი დაიკავა. ვიმედოვნებთ, რომ სპორტის სასახლეში ქართველთა მონაგარი ხელხვავრიელი იქნება.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი




# ანამ მეორეც მოიგო

ბარბერა დელ ვალესში (ესპანეთი) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალის მე-2 ტურში **ანა მათნაძემ** თეთრი ფიგურებით ანგოლელ **მანუელ დო სანტოსს** აჯობა და ორი ქულა მოაგროვა, **ლევან არომიძე** კი ქალთა შორის დიდოსტატ **ალინა ლამის** (რუმინეთი) დაუზავდა და 1,5 ქულას მოუყარა თავი.

ორი ტურის შემდეგ 14 მოჭადრაკე მეწინავეობს უდანაკარგოდ. ამ სიაში მათნაძესთან ერთად არიან ედუარდო იტურისაგა (ვენესუელა), ჰოლდენ ჰერნანდესი (კუბა), ორელევის პერესი, ლუის მარტინეს არისმენდი, მარკ ნარკისი (სამივე-ესპანეთი), ჰერმან ვანი (ბრაზილია), მარკო კოდენოტი (იტალია).

მე-3 ტურში მათნაძე ჰერნანდესს დაუპირისპირდება, არომიძე კი არტურო მორალესს შეხვდება.

**ვაჟა დანელია**

ლოლოლო წარმოგიდგენთ
ქართული სპორტის ქრონიკაში
ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

ჯესიკა ტომასმა და გუენდალინა სარტორიმ შეცვალეს, ნუვიორშიც ფავორიტები ისინი იყვნენ, მაგრამ დასანანია, როცა ასეთ ვითარებაში აგებ! ღმერთმა ქნას, ჩვენმა პროტესტმაც გაჭრას, მომდევნო სალიცენზიო შეჯიბრებებში საგზურს რომელიმე ქართველი აუცილებლად მოიპოვებს, მაგრამ ეფიქრობ, მასპინძელთა ძლიერ გუნდთან ასეთი ბრძოლისთვის მადლობა ეკუთვნით **ხათუნა ნარიმანიძეს, ასმათ დიასამიძეს და ქრისტინე ესებუას.** ალბათ, ყველა ოლიდ წარმოიდგენთ, თუ რაოდენ დიდია ახლა მათი განწყობა და რა დღეში იქნებიან. მათ ახლა გამხნევება სჭირდებათ, რადგან ყველაფერი გააკეთეს საკუთარი ქვეყნის წარმატებისთვის და იმის მიუხედავად, რა მოხდება დღეს გუნდურში, საიმხოლოში მაინც თავისუფლები ჩამოვლენ. ვგულრა, ისინი სალიცენზიო შეჯიბრებებშიც იტყვიან თავის სიტყვას, მაგრამ იქ სამივე საგზურის მოპოვება გაგვიჭირდება, ახლა კი მაქსიმალურ კვოტას მივიღებდით ამუ ოლიმპიადაზე გუნდურშიც გამოვიდოდით.

ტურნირში ჩვენთვის ცუდი კიდევ ერთი ფაქტი მოხდა - პირველივე წრიდან გავარდა ბრიტანეთის ნაკრები (რუსეთთან წააგო), რაც იმას ნიშნავს, რომ დამატებითი შეჯიბრება IX-XVI ადგილებზე გასულ გუნდებს შორის კიდევ ერთი ლიცენზიისთვის გამოსავლენად აღარ შედგება. შეგახსენებთ, რომ ბრიტანელებს ავტომატურად ეძლევათ ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება, როგორც მასპინძლებს, ამიტომ იმ 8 ლიცენზიონერ ნაკრებს შორის თუ მოხვდებოდნენ, დანარჩენები იმ ერთი საგზურისთვის იბრძოლებდნენ, მაგრამ რუსებს რას გახარებენ.

ტურნირში ლიცენზიების მოპოვების შანსი ჯერჯერობით ცხელავს გვრჩება. ამჟამად საგზურები კორეამ, ჩინეთმა, ტაივანმა, ინდონეზიამ, იტალიამ, რუსეთმა, დანიამ და უკრაინამ მოიპოვეს. თან გუნდის ჩემპიონის წერილი სუდშის 24-ში მშვიდლოსანმა. ამათ შორის ბრიტანელიც დაუმატოთ და საგზურის პირველად პრეტენდენტი ამ 27 სპორტსმენის გარდა კიდევ 8 საუკეთესო მიიღებს. ერთი შეხედვით, ჩვენებურთაგან ამის ყველაზე უკეთესი შანსი ნარიმანიძეს აქვს, რადგან შესარჩევი ეტაპი საკმაოდ კარგი შედეგით, მე-12 ადგილზე დაასრულა. ამიტომ პლეი ოფის პირველ წრეში შედარებით სუსტს ხვდება, მაგრამ ბედმა ბოლომდე არც აქ დაინდო და მეორეში ელოდება ძლიერი! პირველში ჩვენებური საკვალიფიკაციოში 101-ზე გასულ ჩეხ **გაბრიელა სუდრიჩოვას** შეეჯიბრება, მასთან წარმატების შემთხვევაში კი მეორეში ერთ-ერთი სავარაუდო მეტოქე ბრიტანელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **ალისონ უილიამსონი.** ნესით, ნარიმანიძე ამ რანგის მეტოქეს ასე ადრე არ უნდა გადაჰყროდა, მაგრამ ჩვენდა ქირდ, ბრიტანელმა შესარჩევში ძალზე ცუდად ისროლა. როგორც გითხარით, იქაურებმა ვერც გუნდურში იფარეს. შესაძლოა, ამით ცოტათი დავიმშვიდოთ თავი, მაგრამ პლეი ოფი ხომ ის ეტაპია, სადაც ნამდვილი ბრძოლა იწყება, უილიამსონს კი დიდი გამოცდილება უმაგრებს ზურგს. ვნახოთ, ვის აღმოაჩნდება უფრო მტკიცე ნერვები.

პირად პირველობაში პლეი ოფები დღეს გაიმართება და ასმათ დიასამიძე ყაზახ **ფარიდა ტუკებაევას** შეხვდება, ესებუა - ბელარუს **ალენა კუნწეცოვას.** დიასამიძე ყაზახს თუ მოუგებს, დიდი შანსია, მეორე წრეში ძლიერ ჩინელ **შანშან ჭუს** დაუპირისპირდეს, ესებუას კი შედარებით სუსტები ელოდება. შესარჩევში ის 39-ე იყო, ბელარუსი - 74-ე, ამათი მოგებულის მეტოქე კი მალაიზიელი **ტინ კაინგ ტინისა** და ინდოელ **ჩეკროვოლუ სვუროს** შეხვედრაში გაირკვევა.

დაბოლოს, ისევ გუნდური პირველობა, რომელიც სენსაციური წარიმართა - ფინალში ვერც კორეელები გავიდნენ და ვერც - ჩინელები. 10 ივლისს ისინი მხოლოდ ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძოლებენ, ოქროსთვის კი იმავე დღეს ფინალში ერთმანეთს ინდოელები და იტალიელები დაუპირისპირდებიან. სწორედ ინდოელებმა გამოაგდეს კორეელები ნახევარფინალიდან - 216:212, მანამდე კი ფრანგებს და ... მოუგეს. იტალიელებმა ჩვენს მერე ტაივანელებიც გამოთიშეს ამპარტონებიდან, ნახევარფინალში კი ჩინელებს სძლიეს - 221:213. სალიცენზიო ოქტეტში საკმაოდ ნაივლია საკმაოდ სისტემა, ... არაფერით გამორჩეული გუნდის მოხვედრა ტურნირის ყველაზე დიდი მოულოდნელობაა. ისინი პლეი ოფში მე-12 ადგილით შევიდნენ და აშშ-ს არც ისე ძლიერ გუნდს მოუგეს - 215:210, რომელთა რიგებშიც ჩვენი ოლიმპიური პრიზიორი **ხათუნა ლორიგი (ქვრივიშვილი)** გამოდიოდა. ქვრივიშვილისა და სხვა ნარმამდვეურების მსგავსად, ჯერჯერობით ულიცენზიოდ დარჩა თურქეთის სახელით მოასპარეზე **ნატო ნასარიძეც** - თურქები საერთოდ ვერ გავიდნენ პლეი ოფში.

**ირაკლი თავაძე**

### სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.



## მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

### ზურაბ საკანდელიძე



დაიბადა 09. 08. 1945, ქუთაისი - გარდაიცვალა - 25. 01. 2004, თბილისი. კალათბურთი (186 სმ). თამაშობდა თბილისის „დინამოსა“ (1963-75) და სსრკ ნაკრებში (1965-73). 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიადის მესამე პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონი (1967) და მესამე პრიზიორი (1970), ევროპის ოთხგზის ჩემპიონი (1965, 67, 71) და მესამე პრიზიორი (1973), სსრკ თასის მფლობელი (1969), ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მცველი (1967), მსოფლიოს სიმბოლური ნაკრების წევრი (1967), საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი (1967). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენების კავალერი.

## სათავეები

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე ჯერ თბილისში, მერე კი ქუთაისში, სოხუმსა და ბათუმში ე.წ. დროებითი ცირკები გაიხსნა. აქ, გარდა ქართულისა, რეგულარულად იმართებოდა შეჯიბრებები ფრანგულ ჭიდაობაში, რომელსაც შემდეგ კლასიკურ (ბერძნულ-რომაული) ჭიდაობად მოიხსენიებდნენ. ფრანგულს წარმატებით ჭიდაობდნენ სახელოვანი ქართველი ფალავნები: **კულა გლდანელი, ნესტორ ესებუა, თედო ლილოელი, კოსტა მაისურაძე, მიხეილ ციმაკურიძე** (მიშიკო მაჩაბელი), **კოლია ქვარიანი, ვანო აბულაძე** და სხვები. 1912 წელს თბილისში ჩამოყალიბდა ძალოსნური სექცია, რომელშიც, გარდა ძალოსნებისა და მოკრივეებისა, გაერთიანდნენ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის მოყვარულები. ამ საქმეს უძღვებოდა სპორტის ენთუზიასტი **პეტრე მარლანიძე.** მისი თაოსნობით 1914 წელს გაიმართა პირველი შეჯიბრება ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. სსრ კავშირიდან ევროპის პირველი ჩემპიონი იყო **კონსტანტინე კობერიძე** (1947), მსოფლიოს პირველი ჩემპიონი - **გივი კარტოზია** (1953). ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონიც კარტოზია იყო (1956). მისი სპორტული მიღწევები სამაგალითო გამოდგა მომდევნო თაობის მოჭიდავეებისთვის. ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ **ავთანდილ ქორიძე, რომან რურუა, ვახტანგ ბლაგიძე, მანუჩარ კვირკველია;** მსოფლიოს ჩემპიონები - **როსტომ აბაშიძე, მიხეილ სალაძე, თეიმურაზ აფხაზავა, თემო ყაზარაშვილი, გურამ გედეხაური, მუხრან ვახტანგაძე, მანუჩარ კვირკველია, რამაზ ნოზაძე** და **დავით ბედინაძე.**

## ფოტომატიანე



თბილისი. 1981 წლის 8 აპრილი - ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის პირველი მატჩი. „დინამო“ (თბილისი)-„ფეიენოორდი“ (როტერდამი) 3:0 კაპიტნები: რენე ნოტენი და ალექსანდრე ჩივაძე (მარჯვნივ)

# კროსვორდი

**თარაზულად:** 3. სპორტული თამაში პატარა ბურთით და კავჩოგნებით; 5. პოპულარული ესპანელი ვაჟი ჩოგბურთელი; 6. რუსთავის ყოფილი საფეხბურთო გუნდი; 9. სპორტული სამაგიდო თამაში; 10. ქალაქი სამხრეთ საქართველოში, რომელსაც უკავშირდება საფეხბურთო გუნდი "ვარძია"; 11. ყოველწლიური საფეხბურთო ტურნირი უეფას ჩემპიონთა ... ; 14. ბასკების ხალხური ბურთაობა - ყველაზე სწრაფი თამაში მსოფლიოში; 15. ტურნირის საკვალიფიკაციო ... ; 17. სუპერლიგაში მოთამაშე საკალათბურთო გუნდი; 18. 1975-92 წლებში გამომავალი ქართული სპორტული ჟურნალი; 19. ჭადრაკის ფიგურა; 20. შეჯიბრების დაწყების მომენტი; 24. მწვრთნელი ... ჟირესი; 25. გიორგი შერმადინის სლოვენიის საკალათბურთო გუნდი; 26. ჭადრაკში იგივეა, რაც ფათი; 29. ქართველი უნიჭიერესი ახალგაზრდა ფეხბურთელი; 31. წარსულში ცნობილი ქართველი ალპინისტი ... დვალი; 32. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მეკარე; 33. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით).

**შვეულად:** 1. მარნეულის საფეხბურთო გუნდი; 2. „მზიურის“ ქალაქი; 3. რეკორდების წიგნი; 4. ცხენების შეჯიბრება ჭენებაში; 5. ათენის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი ბ\რ ჭიდაობაში; 7. დუშეთის საფეხბურთო გუნდი; 8. საქართველოს სამბისტთა ყოფილი მთავარი მწვრთნელი; 12. სამთო-სათხილამურო ინვენტარის მწარმოებელი ავსტრიული ფირმა; 13. 1996 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი; 14. ბურთის გადაცემა; 16. მცველი (ფეხბურთში, ჰოკეიში); 19. „ფორმულა 1“-ში მანქანის მართვის სპეციალისტი; 21. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა; 22. ვეტერანი ფალავანი, ომარ... ; 23. გამარჯვების ქალღმერთი; 27. „სულორის“ ქალაქი; 28. მძლეოსნური სატყორცნი იარაღი; 30. ბავშვთა საფეხბურთო კლუბი და სტადიონი თბილისში.

## თარიღი

### 07-13 ივლისი

**07. 1973 წ.** უიმბლდონის ტურნირის ფინალში **ალექსანდრე მეტრეველი** ჩეხ **იან კოდეშთან** დამარცხდა (6:1, 9:8, 6:3).

**07. 2005 წ.** ქალაქ ლინიანში (იტალია) ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფეხბურთელთა ტურნირის ფინალში საქართველოს ნაკრებმა მასპინძელთა გუნდს 2:0 მოუგო.

**08. 1975 წ.** დაიბადა **პავლე ჯიმშელაძე** - რაგბი.

**09. 1912 წ.** დაიბადა **შალვა დიასამიძე** - კალათბურთელი, მწვრთნელი.

**10. 1949 წ.** გამოვიდა „საქართველოს ფიზკულტურელის“ მემკვიდრის გაზეთ „ლელოს“ პირველი ნომერი.

**10. 1950 წ.** დაიბადა **შოთა ჩოჩიშვილი** - ძიუდო. გარდაიცვალა 2009 წელს.

**10. 1977 წ.** დაიბადა **ლევან კობიაშვილი** - ფეხბურთი.

**11. 1956 წ.** თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა პარიზში „რასინგთან“ ამხანაგური მატჩი ითამაშეს - 2:2.

**12. 1972 წ.** აზიურ ტურნეში თბილისის „დინამომ“ 6:0 მოუგო სინგაპურის ნაკრებს.

**12. 1956 წ.** დაიბადა **ედიშერ მაჩაიძე** - ბ/რ ჭიდაობა.

**13. 1973 წ.** დაიბადა **ვანო გამხიტაშვილი** - სამბო. გარდაიცვალა 1999 წელს.

## თქვენთვის, ერუდიტებო!

**1. რომელი საფეხბურთო მატჩი გადაიცა პირველად საქართველოს რადიოთი ქართულ ენაზე თბილისიდან?**

ა — თბილისის „დინამო“, თბილისის ტოდო-ს მატჩი
ბ — თბილისის “დინამო“ — კიევის „დინამოსთან“ მატჩი
გ — ბასკებთან მატჩი

**2. ვინ გაიტანა მე-2000 გოლი სსრკ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში?**

ა — ვლადიმერ გუცაევმა
ბ — რამაზ შენგელიამ
გ — დავით ყიფიანმა

**3. ვინაა ძიუდოში საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი?**

ა — სოსო ლიპარტელიანი
ბ — თემურ ხუბულური
გ — გიორგი ვაზაგაშვილი

**4. ვინ იყო ლეგენდარული ჩოგბურთელის ალექსანდრე მეტრეველის მწვრთნელი?**

ა — ვლადიმირ სერებრიანიკოვი
ბ — არამ ხანგულიანი
გ — არჩილ ელერდაშვილი

**5. რა პოზიციაზე თამაშობს მორაგბე პალიკო ჯიმშელაძე?**

ა — მგეზავია
ბ — ფულბეკია
გ — ცხრა ნომერია

პასუხები: 1-ა, 2-ბ, 3-ა, 4-ბ, 5-ა.

## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** დიდი წარმატება ქართველი წყალბურთელებიდან მოიპოვეს **პეტრე მშვენიერაძემ** და **ნოდარ გვახარიამ.** ორივე ჩვენმა სპორტსმენმა სსრ კავშირის ნაკრებში 1953 წელს ბუქარესტში გამართულ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV მსოფლიოს ფესტივალის ოქროს მედლები მოიპოვეს.

**პირველმა** თანამედროვე ხუთჭიდში მედალი საქართველოს მოუტანა თბილისელმა **ანატოლი პევცოვმა** 1950-იან წლებში. პევცოვი სსრ კავშირის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი გახდა.

**პირველად** დამოუკიდებელმა საქართველომ საკუთარი ქვეყნის სახელით ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა მიიღო 1994 წელს, ლილეჰამერში გამართულ ზამთრის ოლიმპიადაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

● კრივი

# ჭაბუკების სამი ვერცხლი

ამასწინათ ანკარაში მოკრივეთა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ქართველმა სპორტსმენებმა 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. უფროსებს შესანიშნავად აუბეს მხარი ნორჩმა მოკრივეებმა, რომლებმაც უნგრეთში ბალატონის ტბის წარმტაც სანაპიროსთან მდებარე პატარა ქალაქ კესტხეიდან სამი ვერცხლის ჯილდო ჩამოიტანეს.

უნგრულ ბატალიებში (ასპარეზობის AIBA-ს დელეგატი **ვლადიმერ ახალკაცი**) 34 ქვეყნის 1995-1996 წლებში დაბადებული 241 სპორტსმენი მონაწილეობდა, მათ შორის - საქართველოს 9 წარმომადგენელი. ჩვენებურთაგან **ალეკო ლურსმანაშვილი** (52 კგ) და **გიორგი სარქისოვი** (63) მეთექვსმეტედფინალიდან ჩაებნენ შეჯიბრებაში. პირველი წრე ორივემ უპრობლემოდ გაიარა - ალეკომ ბულგარელი კატინ ასლანოვი დაამარცხა (11:6), გიორგიმ კი ხორვატ მარიო მრზოვიჩს სძლია (8:3).

მეოთხედფინალში მედლების მაძიებელთ სამი ქართველი ჩამოშორდა: **შალვა ღვალაძემ** (80 კგ) 4:6 წააგო ნადირ კოლპასთან (ბოსნია), **თორნიკე ჭინჭარაული** (54) მეორე რაუნდში დანებდა თურქ ნურედინ ოთანს, ხოლო **ირაკლი ქათამაძისა** (70) და კამილ ბედნარეკის (პოლონეთი) შეხვედრა ფრედ დამთავრდა - 14:14. სამწუხაროდ, არბიტრებმა უპირატესობა პოლონელს მიანიჭეს და მომდევნო წრეშიც ის გავიდა. ჩვენი ნაკრების დანარჩენ წევრთა მე-2 წრის ორთაბრძოლები ასე დასრულდა: **შოთა ვაჩაძე** (46)-რადოსლავ პავლოვი (სერბეთი) 10:2, **ალეკო ლურსმანაშვილი** (52)-არმანდ იბრაჰიმი (სერბეთი). ქართველმა მოკრივემ ვადამდე გაიმარჯვა, **ლევან კაჭარავა** (57)-პატრიკ მილევიჩი (პოლონეთი) 15:9, **ჯემალ შალამბერიძე** (60)-როლანდ სუმბერგი (ესტონეთი) 16:0, გიორგი სარქისოვი (63)-ჯურაჯ ბაბიაკი (სერბეთი) 14:12.

**მეოთხედფინალები**

ომერ კოსი (თურქეთი, 46)-შოთა ვაჩაძე 8:7, ნასრადინ მამადოვი (აზერბაიჯანი,52)-ალეკო ლურსმანაშვილი 19:12, ბერნარდ ბარსონი (უნგრეთი, 57)-ლევან კაჭარავა. ჩვენებური მე-3 რაუნდში დამარცხდა, ჯემალ შალამბერიძე (60)-ვლადიმირ პოპოვი (ლიტვა) 12:5, გიორგი სარქისოვი (63)-ალი ხასანოვი (აზერბაიჯანი) 14:8, ვასილ წიწილაშვილი (75)-იოაკიმ სლივა (ნორვეგია) 10:3.

**ნახევარფინალები**

ჯემალ შალამბერიძე-იოსიფ პანოვი (ბულგარეთი) 15:9, გიორგი სარქისოვი-კრისტიან სინკო (უნგრეთი) 12:9, ვასილ წიწილაშვილი-მარტინ კონროი (ისლანდია) 8:5.

**ფინალები**

ტამერლან ბატდიევი (რუსეთი)-ჯემალ შალამბერიძე 19:12, ისააკ მკლეოდი (ინგლისი)-გიორგი სარქისოვი 8:5, ადამ ჰამორი (უნგრეთი)-ვასილ წიწილაშვილი 12:10. როგორც AIBA-ს არბიტრმა **ზურაბ ტიბუამ** გვითხრა, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურთან ყველაზე ახლოს წიწილაშვილი იყო, მაგრამ უნგრელ ადამს მშობლიურმა კედლებმა და მასპინძლებისადმი მსაჯების სიმპათიებმა უშველა.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რუსებმა, რომლებმაც 8 ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მომდევნო ადგილებზე არიან: 2. ინგლისი (2,1,0), 3. უნგრეთი (2,0,3), 4. უკრაინა (1,2,3), **5. საქართველო** (0,3,0).

წლეულს 23 ივლისიდან ყაზახეთის დედაქალაქი ასტანა AIBA-ს ჭაბუკთა მსოფლიოს პირველობას უმასპინძლებს.

**ვაჟა დანელია**

● ჩოგბურთი

# ყველა გავარდა

**მაკა ჩახნაშვილი** (219) ფრანგულ ბიარიცში ასპარეზობდა, სადაც 100 ათასი დოლარის საპრიზო ფონდის ტურნირი დაიწყო. პირველ წრეში მაკას მე-5 ნომრად განთესილი **მარია-ელენა კამერინი** (იტალია, 113) ერგო, რომელთანაც სამ სეტში დამარცხდა - 6:7 (1), 7:5, 1:6. ჩვენებური წყვილთა ბადესაც ეგრევე გამოეთიშა, მან და ფრანგმა **ლაურა ტორპმა** (187) რუს **ალექსანდრა პანოვასთან** (154) და პოლონელ **ურსულა რადვანსკასთან** (139) წააგეს - 1:6, 6:4, 8:10.

გერმანულ აშჰაფენბურგში 25-ათასიანი ტურნირი დაიწყო, რომლის ძირითად ბადეში ერთმა ქართველმა გააღწია. **სოფიო ქვაცაბაია** (424) საკვალიფიკაციო ბადეში პირველ ნომრად იყო განთესილი, ხოლო **ეკა გორგოძე** (515) - მე-13 ნომრად. პირველ საკვალიფიკაციო წრეში ჩვენები ისვენებდნენ, მეორე კი ორივემ დაძლია: ქვაცაბაიამ ჩეხ **ტერეზა მარტინჩოვას** (1036) მოუგო - 7:6 (3), 6:2, ხოლო გორგოძემ გერმანელი **ელიზავეტა ბაერი** დაამარცხა - 6:0, 6:4. ფინალურ წრეში ქართველები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და კარიერაში პირველად ქვაცაბაიამ მოუგო თანამემამულეს - 1:6, 7:5, 7:5. ძირითად ბადეში სოფიომ ავსტრიელ **მელანი კლაფნერთან** (288) დათმო - 1:6, 2:6. წყვილებში ჩვენებურები არ თამაშობენ.

თურქულ ტურნირებში კვლავ გამოდიან ურეიტინგო ქართველები, ისევ ძალზე წარუმატებლად - იზმირის 10-ათასიან შეჯიბრებაში საკვალიფიკაციო ბადეში ამჯერად **ვიქტორია ჟორჟოლიანი** და **თამარ ცხაკაია** ჩაებნენ. პირველი საწყისი წრიდან თავისუფალი იყო, ცხაკაია კი ჩეხმა **კაროლინა ვლახოვამ** 6:0, 6:0 გაანადგურა. იგივე შეემთხვა ფინალურ წრეში ჟორჟოლიანსაც, იტალიელ **მიკაელა მორონის** გეიმიც ვერ აულო. აქვე ვიტყვით, რომ ქართველთა მეტოქეებიც ისეთივე ურეიტინგო ჩოგბურთელები არიან, როგორც თავად ჩვენებურები. მიუხედავად ამისა, ჟორჟოლიანი „იღბლიანი დამარცხებულის" სტატუსით მაინც მოხვდა ძირითად ბადეში, მაგრამ რად გინდა - ახლა იქ წააგო 0:6, 0:6 მე-6 ნომრად განთესილ მასპინძელ **მელის სეზერთან** (630).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ქართველები ევროთასებზე

# არმია ჯგუფში, სოხუმი საკვალიფიკაციოში



ქართულმა კლუბმა ევროპის საკლუბო ტურნირების ჯგუფურ ეტაპზე ბოლოს 2002 წელს ითამაშა - თბილისის "დინამომ" ევროპის "ჩელენჯ ქაფზე" ჯგუფში აზერბაიჯანული "ნტდ დევონისა" და უკრაინული "ხიმიკის" წინააღმდეგ იასპარეზა და პლეი ოფში გავიდა, სადაც ასევე უკრაინულ "აზოვმაშთან" ორი მატჩის ჯამში დამარცხდა... მას მერე ქართულ კლუბებს ევროთასების ჯგუფურ ეტაპზე არ უთამაშიათ. რუსთავის "ენერჯიმ" 2007 და 2008 წლებში ევროჩელენჯზე ორჯერ იასპარეზა, თუმცა ამერიკელი ლეგიონერები ოფიციალურ მატჩებამდე ერთი კვირით ადრე დაიმატა და საკვალიფიკაციო ეტაპის ბარიერი ერთხელაც ვერ დაძლია. არადა, ჯგუფში თამაში ძალიან ბევრს ნიშნავს - გუნდს ერთბაშად ექვსი მატჩის ჩატარება უწევს - სამის შინ, სამის - სტუმრად.

2008 წლის შემდეგ პირველად სწორედ 2011-12 წლების სეზონში გამოთქვა ორმა ქართულმა გუნდმა ევროჩელენჯზე თამაშის სურვილი: ქვეყნის ჩემპიონმა "არმიამ" და მეოთხეადგილოსანმა "სოხუმმა". ამ შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის საჭირო თანხა კლუბებმა 16 ივნისამდე გადაიხადეს და მას მერე ველოდებით ტურნირში მონაწილეთა რაოდენობისა და შეჯიბრების ფორმატის გარკვევას. ვიდრე წილისყრა კარს არ მოგვადგა, ევროჩელენჯის ორგანიზატორებმა ტურნირის შესახებ სიახლეები არ გამოაქვეყნეს. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო - ნათქვამია. ასე რომ, ევროთასების წილისყრამდე ერთი დღით ადრე გაირკვა ქართული კლუბების ბედი ევროჩელენჯზე.

■ ■ ■

დავიწყოთ იქიდან, რომ ჩვენს გუნდებს ევროპის ტურნირებზე არცთუ მაღალი რეიტინგი აქვთ. ამის მიზეზია ევროთასებზე ქართველთა წარუმატებელი გამოსვლა. ამიტომ, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი, "არმია" რიგით მესამე ევროშეჯიბრებაში ევროჩელენჯზე დაუშვეს (ევროთასსა და ევროლიგაზე ასპარეზობის უფლებას დამსახურება უნდა). თუმცა, ისიც კარგია, რომ საქართველოს ჩემპიონი "არმია" ევროჩელენჯზე საკვალიფიკაციო ეტაპის გაუვლელად ჯგუფურ ეტაპზე იასპარეზებს. მასთან ერთად ჯგუფურ შეჯიბრებაში მოხვდნენ "ანტვერპენი" (ბელგია), "ოსტენდე" (ბელგია), "კერავნოსი" (კვიპროსი), "გოვერლა" (უკრაინა), "ნიჟნი ნოვგოროდი" (რუსეთი), "ხიმიკი" (უკრაინა), "ერდინე" (თურქეთი), "გოტინგენი" (გერმანია), "პოორტეზი" (საფრანგეთი), "ნიტრა" (სლოვაკეთი), "ტელეკომი" (გერმანია), "პარდუბიცე" (ჩეხეთი), "ტურკ ტელეკომი" (თურქეთი), "რუანი" (საფრანგეთი), "კლუჟი" (რუმინეთი), "ოლდენბურგი" (გერმანია), "ლეიდენი" (ჰოლანდია), "ფუენლაბრადა" (ესპანეთი).

მივიღეთ 19 კლუბი, რომლებიც ევროჩელენჯის ჯგუფურ ეტაპზე იასპარეზებენ. მათ ამავე რაუნდში დაემატება ის რვა გუნდი, რომელიც ევროთასის შესარჩევ ეტაპს ვერ დაძლევს. ევროთასისთვის ითამაშებენ "არტლანდი" (გერმანია), "აზოვმაში" (უკრაინა), "ოსტენდე" (ბელგია), "ბეშიქთაში" (თურქეთი), "პროსტეხოვი" (ჩეხეთი), "ვენტსპილსი" (ლატვია), "ცედევიტა" (ხორვატია), "მონსი" (ბელგია), "შალონი" (საფრანგეთი), "ეთა ენგომი" (კვიპროსი), "გრან კანარია" (ესპანეთი), "ლე მანი" (საფრანგეთი), "ნორჩოპინგი" (შვედეთი), "აკადემიკი" (ბულგარეთი), "კარსიაკა" (თურქეთი), "სანკტ პეტერბურგი" (რუსეთი). ამ 16 გუნდიდან საუკეთესო რვაეული ევროთასზე ითამაშებს, ხოლო დამარცხებული რვა გუნდი ევროჩელენჯის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდება. 19+8=27. მივიღეთ ევროჩელენჯის ჯგუფურ ეტაპზე მოასპარეზე 27 კლუბი, რომლებსაც საკვალიფიკაციო ეტაპიდან ხუთი გუნდი დაემატება. ხუთი ადგილისთვის კი 10 მსურველია: „სოხუმი" (საქართველო), "ტრაისკირხენი" (ავსტრია), "მინსკ 2006" (ბელორუსი), "ატომერომუ" (უნგრეთი), "ტამპერე" (ფინეთი), "სპარტაკ პრიმორიე" (რუსეთი), "ენისეი" (რუსეთი), "შოლნოკი" (უნგრეთი), "კრასნიე კრილია" (რუსეთი) და "ტრიუმფი" (რუსეთი).

■ ■ ■

როგორც მიხვდით, ევროჩელენჯის წლევანდელ გათამაშებაში სულ 32 კლუბი ჩაერთვება, რომლებიც ოთხგუნდიან რვა ჯგუფად გაიყოფიან. თითო ჯგუფიდან საუკეთესო ორეული მეორე ჯგუფურ ეტაპზე გადავა, შემდეგ იქნება მეოთხედფინალი, ნახევარფინალი და ფინალი... დღეს, ძნელია ქართული კლუბების ძალისა და პოტენციალის განსაზღვრა, რადგან არც "სოხუმისა" და არც "არმიის" ლეგიონერების ვინაობა არ ვიცით, თუმცა როგორც კლუბების წარმომადგენლები ამბობენ, ძლიერ უცხოელებს ჩამოიყვანენ და პირველ ჯგუფურ ეტაპზე აუტსაიდერები არ იქნებიან.

დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. მანამდე კი გეტყვით, რომ ევროთასების წილისყრა დღეს, თბილისის დროით 13 საათზე დაიწყება, გუნდებს ჯერ ევროჩელენჯზე გაანაწილებენ, შემდეგ - ევროთასზე, ბოლოს - ევროლიგაზე. ამ პროცედურას ესპანური ქალაქი ბარსელონა უმასპინძლებს. წილისყრას ქართული კლუბების წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ტულუში ბარსელონაშია და ელის...

გუშინ შევიტყვეთ მეტად სასიამოვნო ამბავი - საქართველოს 2010-11 წლების სეზონის ჩემპიონი „არმია" ევროჩელენჯის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებს. ეს იმას ნიშნავს, რომ **კოტე ტულუშის** გაწვრთნილ გუნდს მომავალ სეზონში ევროჩელენჯზე მინიმუმ 6 მატჩის ჩატარება მოუწევს (სამის შინ, სამის სტუმრად). თუ გუნდი საუკეთესო ორეულში მოხვდა და მეორე ჯგუფური ეტაპის საგზური მოიპოვა, კიდევ ექვსი მატჩი უნდა ითამაშოს... ცხადია, შეჯიბრების ორგანიზატორთა მიერ „არმიის" ჯგუფში განთესვამ ძალოვანთა კლუბის ხელმძღვანელობაც გაახარა. აი, რა გვითხრა ახალმა მთავარმა მწვრთნელმა კოტე ტულუშმა, რომელიც უკვე ბარსელონაშია:

*- ევროჩელენჯის ჯგუფური ეტაპიდან დაწყება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს დიდი წარმატებაცაა, რადგან შეჯიბრების ორგანიზატორებმა ოთხ ძლიერ რუსულ კლუბზე წინ დაგვაყენეს. ცხადია, მხოლოდ განთესვა საქმეს არ შველის, ჩვენც ამით არ დავკმაყოფილდებით, ვეცდებით წარმატებით გამოვიდეთ პირველ ეტაპზე და ბრძოლა მეორე ჯგუფურ ეტაპზეც გავაგრძელოთ. ამისთვის ბევრი შრომაა საჭირო.*

მწვრთნელი ტულუში და „არმიის" პრეზიდენტი **იოსებ გაბრიჩიძე** ბარსელონაში ჩასვლამდე სლოვენიას სტუმრობდნენ, სადაც კოტეს ძველი ნაცნობები ჰყავს. იგი 2000-2002 წლებში „სლოვანის" ღირსებას იცავდა. საინტერესოა, რა იყო ქართველთა სლოვენიაში ვიზიტის მიზანი.

*- იქ არაერთი ნაყოფიერი შეხვედრა გვქონდა, რომელთა მიზანი ძირითადად გუნდის შემადგენლობის სათანადო რესურსით შევსება იყო. ჯერ კონკრეტულად არაფერი გარკვეულა და ამიტომ ზუსტად ვერაფერს გეტყვით. თუმცა, ერთი უნდა აღინიშნოს - სლოვენიაში ვიზიტი მეტად სასარგებლო გამოდგა. ხვალ (7 ივლისს) გაირკვევა „არმიის" მეტოქეთა ვინაობა და შემადგენლობის გაძლიერებაზეც მას მერე ვიმუშავებთ აქტიურად.*

გუშინვე შევიტყვეთ, რომ „სოხუმის" მხრიდან ევროჩელენჯის წილისყრას დაესწრება გუნდის ლატვიელი თავკაცი **აინარს ბაგაცკისი**, რომელიც ესპანურ ბარსელონაში რიგიდან ჩავა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნაკრები


მამუკა გორგოძე და გერეთ ადამსონი

# საჭიდაო ხალიჩიდან ძალოსნობის დარბაზში

საქართველოს ნაკრებმა 4 ივლისს ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასისთვის მზადება დაიწყო. ნაკრების მწვრთნელის **რიჩი დიქსონის** მიერ არჩეული 32 მორაგბე სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში" დაბინავდა და ავსტრალიელი ფიზმომზადების მწვრთნელის, **გერეთ ადამსონის** ხელმძღვანელობით ვარჯიშობს.

„ბორჯღალოსნები" გუშინწინ ფალავანთა კლუბში მოჭიდავეებს ენვივნენ და საჭიდაო ხალიჩაზე სპეციფიკური ვარჯიშები ჩაატარეს. მზადების მთავარი ეპიცენტრი „შევარდენის სანაკრებო ბაზაა", სადაც ჩვენი გუნდი ვარჯიშების დიდ ნაწილს მართავს.

გუშინ ძალოსნობის დღე იყო, საქართველოს ნაკრების მორაგბეები სიმძიმეებს შეეჭიდნენ. „ბორჯღალოსნები" თბილისში 18 ივლისამდე დარჩებიან და ამ დროს მთლიანად ფიზმომზადებას დაუთმობენ.

ხვალ 17 საათზე საქართველოს ნაკრები ღია ვარჯიშს გამართავს, რომლის ნახვის საშუალება ჟურნალისტებთან ერთად ქომაგებსაც ექნებათ.

**საქართველოს ნაკრები**

პირველი ხაზი: დავით ხინჩაგიშვილი, ვასილ კაკოვინი (ორივე-ბრივი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), ჯაბა ბრეგვაძე (ყოჩები), გოდერძი შველიძე (მონპელიე), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი).

მეორე ხაზი: ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), ილია ზედგინიძე (კარკერენი), ვახტანგ მაისურაძე (ლა სეინი), გიორგი ნემსაძე (მონტობანი)

მესამე ხაზი: მამუკა გორგოძე, გიორგი ჩხაიძე (ორივე მონპელიე), ზვიად მაისურაძე, გივი ბერიშვილი (ორივე ლოკომოტივი), შალვა სუთიაშვილი (მასი), დიმიტრი ბასილაია (ობენა), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი).

N:9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (არმია), გიორგი ბეგაძე (ყოჩები)

N:10: მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟინიენი), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე), ლაშა ხმალაძე (ლელო)

N:12-13: დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), რეზო გიგაური (ფიჟაკი), ალექსანდრე თოდუა (ლელო)

N:11-14: ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი), ლექსო გუგავა (ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია)

N:15: მალხაზ ურჯუკაშვილი (გურდო).

| მსოფლიოს თასი |
| --- |
| B ჯგუფი |
| 14 სექტემბერი |
| საქართველო-შოტლანდია |
| 18 სექტემბერი |
| საქართველო-ინგლისი |
| 28 სექტემბერი |
| საქართველო-რუმინეთი |
| 2 ოქტომბერი |
| საქართველო-არგენტინა |


მარცხნიდან: ირაკლი აბუსერიძე, მერაბ კვირიკაშვილი, ლექსო გუგავა და ბიძინა სამხარაძე


გიორგი ჩხაიძე და გიორგი ნემსაძე

თბილისის „ლოკომოტივის" 60-იანი წლების მორაგბეთა გუნდი, ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ყოფილი საბჭოთა კავშირის ორგზის პრიზიორი, სპორტის ოსტატი

**მურად გეგეშიძე**

და თანაუგრძნოს დიდ მწუხარებაში განსვენებულის ოჯახს.
დაკრძალვა 9 ივლისს, 14 სთ-ზე
მისამართი: ბორჯომის რ-ნი სოფ სადგერი.

მსოფლიოს თასი

# ახალ ზელანდიაში როუდ შოუ დაიწყო

სანამ პლანეტის 20 საუკეთესო სარაგბო ქვეყნის ნაკრები, მსოფლიო რაგბის უდიდეს ფორუმზე სასპარეზოდ გამალებით ემზადება, „ვებ ელისის" თასი ახალ ზელანდიაში, მასპინძელ ქალაქებში მოგზაურობს.

მსოფლიოს თასი ახალ ზელანდიას ორი დღის წინ ენვია და ქვეყანაში მოგზაურობა, ეგრეთ წოდებული „როუდ შოუ", სამხრეთიდან დაიწყო. პირველი მასპინძლობის უფლება უკიდურეს სამხრეთში მდებარე ქალაქ ინვერქარგილს ხვდა წილად, სადაც საქართველოს ნაკრები ჯგუფური ტურნირის პირველ შეხვედრას 14 სექტემბერს შოტლანდიის ნაკრებთან გამართავს.

ინვერქარგილელები ვებ ელისის თასს დილის შვიდის ნახევარზე ორგანიზებულად დახვდნენ. ბავშვთა და მოზარდთა გუნდებთან ერთად მრავლად იყვნენ ამ პატარა ქალაქის მაცხოვრებლები, უბრალო ქომაგები, რომლებსაც ძირითადად შოტლანდიური ეროვნული ტანსაცმელი ეცვათ. აღსანიშნავია, რომ აქაურთა უმრავლესობა წარმოშობით შოტლანდიელია. არადა, როგორც უკვე ვთქვით, აქ სწორედ შოტლანდიელებს ვეპაექრებით. შესაბამისად, ისედაც რთული მატჩი ჩვენი გუნდისთვის კიდევ უფრო დამძიმდება.

ინვერქარგილიდან ვებ ელისის თასმა გზა ქვინზთაუნისკენ აიღო. „ბორჯღალოსნების" ახალზელანდიური თავგადასავლის რუკაზე ეს ქალაქიც არის. ჩვენს მორაგბეებს პირველ მასპინძლობას სწორედ ქვინზთაუნელები გაუწევენ და, როგორც უკვე ვწერდით, „ველქამ ფართისაც" აქ მოუწყობენ ულამაზეს „სკაი ლაინზე". თუმცა, როგორც გაირკვა, ამავე ქალაქში იცხოვრებს ირლანდიის ნაკრებიც და ქვინზთაუნელები სწორედ მათ უქომაგებენ.

საქართველოს ნაკრების ქომაგების ცენტრი კი ახალი ზელანდიის ჩრდილოეთ კუნძულის სამხრეთში მდებარე მასტერტონია. „ვებ ელისის" თასი აქ 14 ივლისს ჩააღწევს, თუმცა მასტერტონელებს დიდი ხანია თადარიგი დაჭერილი აქვთ და საკმაოდ მრავალფეროვან საზეიმო პროგრამას ამზადებენ.

საქართველოს ქომაგთა კლუბის ხელმძღვანელებმა უკვე გამოაცხადეს, რომ ორ ბილეთს გადასცემენ საჩუქრად იმას, ვინც საქართველოს ნაკრების საქომაგოდ ყველაზე ლამაზ ჩასაცმელს, ან რამე სხვას მოიგონებს.



როუდ შოუ ქვინზთაუნში

სამი ერი

# 21 ბოკე ტრავმირებულია

სამხრეთ აფრიკის ნაკრების სამწვრთნელო შტაბი აგონიაშია. „ბოკეს" ტრავმებმა იმდენად დარია ხელი, რომ სამი ერის გათამაშების საწყის ორ ტურში ნაკრების დაახლოებით 21 მორაგბე ვერ ითამაშებს.

*„მოთამაშეების დიდი ნაწილი სხვადასხვა სიმძიმის ტრავმის გამო ვარჯიშს ვერ ახერხებს და გამორიცხული არ არის, სამი ერის გათამაშებაში ვერ იასპარეზონ. თანაც, საჭიროა თითოეულ მათგანს სრულიად გამოსაჯანმრთელებლად სათანადო პირობები შევუქმნათ, რათა მსოფლიოს თასზე გამგზავრება შეძლონ.*

*მაგალითად, ახლახან სხალკ ბურხერი და დან ვერმულენი სერიოზულად დაშავდნენ და სამი ერის გათამაშებაში ნამდვილად ვერ იასპარეზებენ. იმედი გვაქვს, რომ სხვა მოთამაშეები, რომლებიც დიდი ხანია, ტრავმებს იშუშებენ, მაგალითად, ჟუან სმითი, ჰენრიხ ბრუსო და ხუთრო სტენკამპი, მალე შევლენ სათანადო კონდიციებში და ნაკრებს დაეხმარებიან.*

*არიან ისეთი მორაგბეებიც, რომლებსაც საკმაოდ დიდი რაოდენობის თამაშები დაუგროვდათ. ისინი გამოფიტულნი, თითქმის დაუძლურებულნი არიან და დასვენებას, რეაბილიტაციას საჭიროებენ. ერთი სიტყვით, პრობლემები საკმაოდ დაგვიგროვდა და თუ გვინდა მსოფლიოს თასზე კარგი გუნდით წარვსდგეთ, სამი ერის გათამაშებისას მოთამაშეებთან კომპრომისზე უნდა წავიდეთ"* - თქვა კეიპთაუნში გამართულ პრესკონფერენციაზე სამხრეთ აფრიკის ნაკრების სამედიცინო შტაბის უფროსმა **კრეიგ რობერტსმა.**

ბოკეს ლაზარეთი: დან ვერმულენი, ფური დუ პრი, სხალკ ბურხერი, ვიქტორ მეტფილდი, ფრანსუა სტეინი, ჟაკ ფური, იან დე ფილიერსი, ბი ჯეი ბოთა, ჟუან სმითი, ვილემ ალბერტსი, ბისმარკ დუ პლესი, ანდრეას ბეკერი, იანი დუ პლესი, ფრანსუა ლოუ, ხუთრო სტენკამპი, ფრანსუა ჰუგარი, ბუჩ ჯეიმზი, ჯი პი პიტერსენი, ტენდაი მთავარირა, ბრაიან ჰაბანა, ბაკის ბოთა.

იუბილე

# ყველაზე მხცოვანი მორაგბე

ინგლისის ნაკრების ყოფილ ცხრა ნომერს **ბრაიან პოპეს** 100 წელი შეუსრულდა. მან ინგლისის ნაკრების კვართი პირველად 1931 წელს მოირგო უელსელებთან მატჩში. ინგლისის რაგბის კავშირი, რა თქმა უნდა, აუცილებლად აღნიშნავს ღვაწლმოსილი მოხუცის იუბილეს. ბრაიანს საჩუქრად ვერცხლის სინს გადასცემენ.

მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული მორაგბე, ედვარდ ბრაიან პოპე 1911 წელს ხართფორდშირში, ქალაქ ბერნტში დაიბადა. რაგბის თამაში სკოლის გუნდში დაიწყო, სადაც გუნდის კაპიტანი იყო. მერე კემბრიჯის უნივერსიტეტში სწავლისას 1932 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტის წინააღმდეგ ტრადიციულ მატჩში ითამაშა „თვიქენემზე", რომელიც მისი გუნდის გამარჯვებით დასრულდა - 8:3. იმ დროისთვის პოპე უკვე ინგლისის ნაკრების წევრი იყო.

1932 წელს ის საფრანგეთში სათამაშოდ გადაბარგდა და იქ 1947 წლამდე დაყო. ბრაიანი ბრიტანეთის სამხედრო საჰაერო ძალებში მსახურობდა და მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა. სარაგბო კარიერის დასრულების შემდეგ სადაზღვევო კომპანიაში მუშაობდა. ის დღემდე ინგლისური რაგბის ერთგულ ქომაგად რჩება. ამასთან, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, როცა მას ჯერ კიდევ შეეძლო დამოუკიდებლად გადაადგილება, გოლფს აქტიურად თამაშობდა და ინგლისის ჩემპიონატშიც იასპარეზა. გოლფის თამაში ბრაიან პოპემ 92 წლის ასაკში შეწყვიტა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**

msy.gov.ge

უცხოური სპორტი

კალათბურთი



მარცინ გორტატი

# თურქეთმა უძლიერესები შეკრიბა

თურქეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ორჰიუნ ენემ** 18-კაციანი სია გამოაქვეყნა, რომლებიც მოახლოებული ევროპის ჩემპიონატისთვის დაიწყებენ მზადებას. მათ შორის არიან 2011 წლის დრაფტის მესამე ნომერი **ენეს კარტერი** და ნატურალიზებული ბოსნიელი **ემირ პრელძიჩი**. განსაკუთრებით ძლიერად გამოიყურება მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის წინა ხაზი, სადაც NBA-ის ყველა ლეგიონერია წარმოდგენილი.

სრულად გაფართოებული შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მცველები**: ბარიშ ერმიში (ბანვითი), ჩენქ აქიოლი (ეფეს პილსენი), ქერემ თუნჩერი (ეფეს პილსენი), დოგუშ ბალბაი (ეფეს პილსენი), სინან გიულერი (ეფეს პილსენი), ომრე ონანი (ფენერბაჰჩე), ენდერ არსლანი (გალასათარაი);

**ფორვარდები**: იზეთ თიურქილმაზი (ბანვითი), ქერემ გიონლუმი (ეფეს პილსენი), ემირ პრელძიჩი (ფენერბაჰჩე), ფიურქან ალდემირი (გალათარაი), ერსან ილიასოვა (მილუოკი, NBA), ჰედო თურქოგლუ (ორლანდო, NBA);

**ცენტრები**: იგიუზ სავაში (ფენერბაჰჩე), შერთაქ შანლი (გალათასარაი), ომერ აშიქი (ჩიკაგო, NBA), სემიჰ ერდენი (კლივლენდი, NBA), ენეს კანტერი (იუტა, NBA).

■ ■ ■

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოთამაშე ერთადერთი პოლონელი კალათბურთელი **მარსინ გორტატი** თავის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე დაეხმარება. ამ გადაწყვეტილების შესახებ „ფინიქსის“ ცენტრმა მხოლოდ ახლა შეატყობინა გულშემატკივრებს.

*„იმის გამო, რომ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ლოკაუტთან დაკავშირებული გაურკვევლობა არსებობდა, გადაწყვეტილების მიღება გავაჭიანურე“*, - განაცხადა გორტატმა.

*„მოლაპარაკებები მიმდინარეობს სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიასთან და ვცდილობთ ყველა ფორმალობა მოვაგვაროთ იმისთვის, რომ მარსინმა მონაწილეობა მიიღოს ევრობასკეტზე“*, - ამბობს პოლონეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **გჟეგოჟ ბაჩანსკი**.

ევრობასკეტზე პოლონეთის მეტოქეები ჯგუფში ესპანეთი, ლიტვა, ბრიტანეთი, თურქეთი და საკვალიფიკაციო ტურნირის ერთ-ერთი გამარჯვებული იქნებიან.

■ ■ ■

უკრაინა განაცხადს შეიტანს 2015 წელს ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაზე. ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტთან **ვიქტორ იანუკოვიჩთან** შეხვედრის შემდეგ განაცხადა უკრაინის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ალექსანდრ ვოლკოვმა**.

მისი თქმით, ფედერაცია დღეს შესაბამისი განაცხადის მომზადებითა და ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის შედგენით არის დაკავებული. 2015 წლის ევრობასკეტის მასპინძელ ქვეყანას ამა წლის 18 დეკემბერს აირჩევენ.

# ბრძოლა სუპერმენისთვის

ლოკაუტის მიუხედავად, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მაინც მიდის მზადება ტრანსფერებისთვის. ამერიკული პრესის ერთ-ერთი მთავარი განსახილველი თემაა ტრეიდი, რომელსაც „ნიუ ჯერსი“ ამზადებს და ის ამ კლუბის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი გარიგება იქნება. „ნეტსი“ „ორლანდოდან“ **დუაიტ ჰოვარდის** გადაბირებას აპირებს, თანაც ეს „სუპერმენის“ მოქმედი კონტრაქტის ამოწურვამდე უნდა მოხდეს. მაგრამ თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ კალათბურთელი მომავალ წელს თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავა კლუბში, ოღონდ ამას წინასწარი მოლაპარაკები სჭირდება.

„ნეტსი“ ჰოვარდის მოხიბვლას გამთამაშებელ **დერონ უილიამსით** აპირებს, რომელიც გასული სეზონის მსვლელობისას „იუტადან“ გადაიბირა. „ნიუ ჯერსის“ ჰოვარდით დაინტერესება ახალი არ არის, გასარკვევი ისაა, რა გუნდები იქნებიან მისი კონკურენტები. „ლეიკერსიც“ და „ბოსტონიც“ აპირებენ აქტიურობას ჰოვარდთან მიმართებაში, რადგან კარგად ესმით, რომ მომავალი 5-7 წლის განმავლობაში ის ლიგის საუკეთესო ცენტრი იქნება.

■ ■ ■

ჩემპიონი „დალასი“ და „ნიუ იორკი“ ერთმანეთს შეებრძოლებიან „ორლანდოს“ მცველ **ჯეისონ რიჩარდსონისთვის**. ეს კალათბურთელი თავისუფალი აგენტი ხდება და თუ სურს რომელიმე ამ კლუბში გადასვლა, ხელფასის სერიოზულ შემცირებას უნდა დათანხმდეს, თორემ ვერც „მავერიქსი“ და ვერც „ნიქსი“ უბრალოდ ვერ შეწვდებიან მაქსიმალურად გაზრდილ კონტრაქტს.

სავარაუდოდ, ეს ახალი ამბავი არ გაახარებს **კერონ ბატლერს**, რომელმაც სეზონის მეორე ნახევარი მუხლის ტრავმის გამო გამოტოვა. როგორც ჩანს, „დალასის“ დაინტერესება რიჩარდსონით იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონი არ აპირებს ბატლერთან ურთიერთობის გაგრძელებას.



დუაიტ ჰოვარდი

„დენვერის“ იტალიელმა ფორვარდმა **დანილო გალინარიმ** განაცხადა, რომ ლოკაუტის გაგრძელების შემთხვევაში უარს არ იტყვის სამშობლოში დაბრუნებაზე. ამასთან, „ნაგეტსის“ სნაიპერს მხოლოდ „მილანში“ გადასვლა სურს, რადგან ამ გუნდის ახალ მწვრთნელთან **სერჯო სკარიოლოსთან** მუშაობის პერსპექტივით არის მოხიბლული.

■ ■ ■

ამასობაში, „ინდიანა პეისერსმა“ ოფიციალურად გაახანგრძლივა ურთიერთობა მწვრთნელ **ფრენკ ფოლელთან**, - წერს Yahoo! Sports. ახალი კონტრაქტი ორ წელიწადზეა გათვლილი და მასში არის ხელშეკრულების ერთი წლით გახანგრძლივების პუნქტი. ეს კარგი ამბავია გუნდისთვის, რადგან „პეისერსმა“ პროგრესი სწორედ ამ სპეციალისტის წყალობით დაიწყო და წელს პლეი ოფში გავიდა. ჭორების მიხედვით, ფოგელის შეცვლას „ლეიკერსის“ ყოფილი მწვრთნელის **ფილ ჯექსონის** ასისტენტით **ბრაიან შოუთი** აპირებდნენ, მაგრამ ჭორი არ დადასტურდა. ახლა შოუ და ფოგელი „პეისერსში“ ტანდემში იმუშავებენ.

■ ■ ■

როგორც იცით, ლოკაუტის დროს NBA-ის ხელმძღვანელობა კრძალავს მოთამაშეებისა და კლუბების წარმომადგენლებს შორის ყოველგვარ ურთიერთობას. ამის გამო, შესაძლოა, პრობლემები შეექმნას „ნიუ ორლეანის“ ვარსკვლავს **კრის პოლს**, რომელმაც საკუთარ „ტვიტერზე“ დაწერა, რომ თავის მეგობარ **რენდი გრინაპთან** ერთად ივახშმა. თითქოს არაფერი, მაგრამ გრინაპი „ჰორნეტსის“ დაცვის სამსახურის თანამშრომელია და მასთან ერთად რესტორანში ვახშამი პოლს, შესაძლოა, მილიონი დოლარის ოდენობის ჯარიმად დაუჯდეს!

მძლეოსნობა

# გაი ტეგუში არ გაუშვეს

სამგზის მსოფლიოს ჩემპიონმა, ამერიკელმა სპრინტერმა **ტაისონ გაიმ** პლანეტის წლევანდელ პირველობაზე გამოსვლის ბოლო შანსი დაკარგა. მორბენალი, რომელიც 9 აგვისტოს 29 წლის გახდება, 4x100 მეტრზე ესტაფეტაში ამერიკის ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში არ შეიყვანეს. ამის შესახებ აშშ-ის მძლეოსნობის ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი წერს.

ივნისში გაიმ ვერ შეძლო ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება, რომელიც პლანეტის პირველობის შესარჩევ ტურნირად განიხილებოდა. როგორც გახსოვთ, ტაისონი ფეხის ტრავმის გამო მოიხსნა წინასწარი გარბენებიდან. შესაბამისად, გაიმ ვერ მოახერხა 100 და 200 მეტრზე ინდივიდუალურ გარბენებში საგზურისთვის ბრძოლა.

მაგრამ პლანეტის ერთ-ერთ საუკეთესო სპრინტერს კიდევ რჩებოდა ესტაფეტის გაფართოებულ შემადგენლობაში მოხვედრის შანსი, მაგრამ ასე არ მოხდა. მწვრთნელებმა ტრავმირებული გაის ჩემპიონატზე წაყვანა არ მოისურვეს. მსოფლიოს პირველობა სამხრეთ კორეის ქალაქ ტეგუში 27 აგვისტოს დაიწყება.

ტაისონ გაიმ 2007 წელს ოსაკაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს სამი მედალი მოიპოვა. იქ მან 100 და 200 მეტრ დისტანციებზე და 4x100 მეტრზე ესტაფეტაში გაიმარჯვა.



ტაისონ გაი

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

# კონტადორი გააქტიურდა



კეიდელ ევანსი

ტურ დე ფრანსის მეოთხე ეტაპზე გამარჯვებას პრაქტიკულად ყველა **ფილიპ ჟილბერს** უწინასწარმეტყველებდა, მით უმეტეს, რომ ეტაპის დღეს „ლოტოს“ ბელგიელ წევრს დაბადების დღე ჰქონდა და ყველაზე კარგი საჩუქარი ფინიშზე პირველი მისვლა იქნებოდა. ბოლოს საკუთარ დაბადების დღეზე ეტაპი **ერიკ ცაბელმა** მოიგო - ეს 1995 წლის 7 ივლისს მოხდა. ახლა იმავეს გაკეთების შანსი ჟილბერს ჰქონდა.

მთავარი კი ეტაპის რელიეფი იყო, რომელიც ყველაზე მეტად სწორედ ბელგიის ჩემპიონს აწყობდა. ეს იყო ტიპური ერთდღიანი კლასიკური რბოლისთვის დამახასიათებელი დისტანცია მურ-დე-ბრეტანის მთაზე ფინიშით. სწორედ ასეთ რბოლებშია ძლიერი ბელგიელი.

საბოლოოდ, რთული ეტაპი გამოვიდა, თუნდაც იმიტომ, რომ თითქმის მთელი დისტანციის განმავლობაში წვიმდა და ტემპი დაბალი იყო. რა თქმა უნდა, გაქცევის გარეშე ეტაპს არ ჩაუვლია - პელოტონს დაშორდნენ ყოველთვის აქტიური ჰოლანდიელი **ჯონი ჰოოგერლანდი**, ორი ესპანელი - **იმანოლ ერვიტი** და **გორკა ისაგირე** და ორიც ფრანგი - **ბლელ კადრი** და **ჟერემი რუა**. ამ ბიჭებს განსაკუთრებული არაფერი უჩვენებიათ, თუმცა შემხვედრი ქარის გამო პელოტონს ცოტათი მეტი მუშაობა დასჭირდა გაქცეულების დასაწევად.

ამასობაში, მურ-დე-ბრეტანზე ასვლაც დაიწყო. თავიდან ველომრბოლელები ქაოტურად მოქმედებდნენ და **ალბერტო კონტადორის** გარდა ხეირიანი შეტევა არავის უჩვენებია. რა თქმა უნდა, გარკვეული სელექცია იყო: გაიქცა ათი ველომრბოლი, დანარჩენები მათგან ცოტათი მოშორებით იყვნენ, მათ შორის **ანდი შლეკი**, რომელმაც საბოლოოდ რვა წამი წააგო. ესეც გასაგებია, რადგან ტურის ბევრი ფავორიტი არ მიიჩნევა კლასიკური რბოლების სპეციალისტად.

ამასობაში. შეტევაში გაიქცა **იურგენ ვან დენ ბროკი**, მაგრამ მას დაეწია ფილიპ ჟილბერი, რომელსაც ძალიან უნდოდა გამარჯვება. მაგრამ მთაზე ისეთი მაღალი ტემპი იყო, რომ ბელგიელს შანსი არ ჰქონდა. საფინიშო სპურტი პირველმა ავსტრალიელმა **კეიდელ ევანსმა** დაიწყო: თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ალბერტო კონტადორმა ტემპი აკრიფა და ავსტრალიელის გასწრება დაიწყო. დაიწყო, მაგრამ ვერ დაამთავრა: ესპანელმა ფინიშის ხაზზე ხელიც კი ასწია გამარჯვების აღსანიშნავად, მაგრამ ფოტოფინიშმა აჩვენა, რომ პირველი ევანსი იყო.

მოულოდნელი გახლდათ ის, რომ ლიდერის ყვითელი მაისურა შეინარჩუნა **ტორ ჰუშოვდმა** - ნორვეგიელი ათკაციან ჯგუფში ბოლომდე დარჩა და საერთო ჩათვლაში ისევ პირველია.

თავად ეტაპის გამარჯვებული ევანსი ბოლო 50 კილომეტრზე სამჯერ შეჩერდა - ორჯერ ტექნიკური პერსონალისგან მიიღო დახმარება, შემდეგ დაეცა, მაგრამ ამას გავლენა არ მოუხდენია მის ბრწყინვალე გამოსვლაზე.

**IV ეტაპი**

1. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC); 2. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - იგივე დრო; 3. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, AST) - იგივე დრო; 4. რიგობერტო ურანი (კოლ, SKY) - იგივე დრო; 5. **ფილიპ ჟილბერი** (ბელ, OLO) - იგივე დრო; 6. **ტორ ჰუშოვდი** (ნორ, GRM) - იგივე დრო; 7. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - იგივე დრო; 8. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - იგივე დრო; 9. იურგენ ვან დენ ბროკი (ბელ, OLO); 10. **ანდრეას კლიოდენი** (გერ, RSH) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **ტორ ჰუშოვდი** (ნორ, GRM) - 13.58,25; 2. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +0,01; 3. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - +0,04; 4. **დევიდ მილარი** (ბრიტ, GRM) - +0,08; 5. **ანდრეას კლიოდენი** (გერ, RSH) - +0,10; 6. **ბრედლი ვიგინსი** (ბრიტ, SKY) - იგივე დრო... 9. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - +0,12; 11. **ტონი მარტინი** (გერ, THR) - +0,13... 15. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, RSH) - +0,18... 18. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, AST) - +0,32; 23. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - +1,03... 26. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - +1,12; 41. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - +1,42... 55. **რომან კროიციგერი** (ჩეხ, AST) - +2,29... 57. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - +2,36...

გვერდი მოამზადა

**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. ტურნირები

# ვოზნიაცკიმ იწვალა


ძველი მეტოქეები: ისნერი და მაუ

ამ კვირას მიმდინარე ტურნირების მორიგი დღის მიმოხილვას ნიუპორტით ვიწყებთ, სადაც ერთმანეთის მიმართულებით სვლა დაიწყეს **ნიკოლა მაუმ** და **ჯონ ისნერმა** - ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი მატჩის მონაწილეებმა. სატურნირო ბადე ისეა შედგენილი, რომ ეს ჩოგბურთელები ფინალამდე არ შეხვდებიან ერთმანეთს. რა თქმა უნდა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ორივემ ერთდროულად გააღწიოს გადამწყვეტ მატჩში, უბრალოდ ეს სუფთა ამერიკული ისტორია იქნებოდა - ფინალი და მორიგი თრილერი.

ჯონ ისნერი ამ ტურნირზე განთესვის ლიდერია და პირველ წრეში დამაჯერებელი გამარჯვებაც მოიპოვა სლოვაკ **კაროლ ბეკთან** მატჩში. 63 წუთში მის ანგარიშზე ათი ეისი მოდიოდა, ამასთან ექვსი ბრეიკ-პოინტიდან ნახევარი გამოიყენა. შეგახსენებთ, რომ ამერიკელს კარიერაში მხოლოდ ერთი ტიტული აქვს მოგებული.

ნიკოლა მაუს კი უფრო ნაკლები დრო - 51 წუთი დასჭირდა თანამემამულე **სებასტიან დეკუდის** დასამარცხებლად. ამ უკანასკნელმა, რომელიც დღეისთვის რეიტინგის ასეულში დამკვიდრებას ცდილობს, ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია უფრო გამოცდილ და ბევრის მნახველ მეტოქეს.

**არნო კლემანმა** კლასის ხარჯზე აჯობა **რაიან ჰარისონს**, თუმცა ეს კლასი ვეტერან ფრანგს კარგა ხანია არ უჩვენებია. ამერიკელს ამ შეხვედრაში არც ერთი ბრეიკ-პოინტი არ ჰქონია. მესამე ნომრად განთესილმა **იგორ კუნიცინმა** მოულოდნელად ორ საათში წააგო **ჯიმი ვანგთან**. სხვათა შორის, საუდის არაბეთში დაბადებული ეს ტაივანელი ჩოგბურთელი რეიტინგის მეოთხე ასეულში იმყოფება.

ჰარისონის მსგავსად წააგო კიდევ ერთმა ამერიკელმა, ტურნირის მეოთხე ნომერმა **რაიან სვიტინგმა** - მას მოუგო **მეტიუ ებდენმა**, რომელმაც რვა ეისი ჩააწოდა. კიდევ ერთი მოულოდნელობა იყო ნაკლებად ცნობილი ამერიკელის **დენის კუდლას** გამარჯვება **ივო კარლოვიჩთან** მატჩში. ხორვატს არ უშველა 24-მა ეისმა, რომელიც მან ორი საათისა და 29 წუთის განმავლობაში ჩააწოდა. ამ გამარჯვებით 18 წლის ამერიკელი გააუმჯობესებს რეიტინგში თავის მდგომარეობას - ამჟამად ის 394-ე ადგილია. დიდ ჩოგბურთში დაბრუნების შემდეგ, როგორც იქნა, პირველი მატჩი მოიგო 34 წლის **ტომი ჰაასმა** - გერმანულ დერბიში მან **მიხაელ ბერერი** დაამარცხა. ჰაასი ამჟამად 728-ე ჩოგანი გახლავთ.

■ ■ ■

ბუდაპეშტში ქალთა ტურნირზე მოიგო განთესვის ლიდერმა **რობერტა ვინჩიმ** - 67 წუთში მან მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო **ლენა ჟურიკოვას**. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ სლოვაკ ჩოგბურთელს გამოცდილ იტალიელზე მეტი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ 11 შანსიდან მხოლოდ ერთი გამოიყენა. ვინჩიმ ათი ბრეიკ-პოინტიდან ექვსი გარდასახა მოგებულ გეიმში და ამ უცნაურ მატჩში გამანადგურებელი ანგარიშით გაიმარჯვა.

კიდევ ერთმა იტალიელმა, მეორე ნომერმა **სარა ერანიმ** უპრობლემოდ მოუგო **მაგდალენა გოჟნიას. სანდრა ფოგელმა** ორ მძიმე პარტიაში სძლია **პეტრა მარტიჩს, ევა ბირნეროვამ** კი ათი ორმაგი შეცდომის მიუხედავად დაამარცხა ტურნირის მეოთხე ჩოგბურთელი **ლუსი ჰრადეცკა**, რომელსაც უფრო მეტი ორმაგი შეცდომა ჰქონდა.

■ ■ ■

მოულოდნელობები არც ბასტადის ქალთა ტურნირს აკლდა, თუმცა აქ ფავორიტებმა საკმაოდ დამაჯერებლად გაიარეს პირველი წრის ბარიერი.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** ბევრი იწვალა ფრანგი **ალიზ კორნეს** წინააღმდეგ. დანიელმა ჩოგბურთელმა თავის მოწოდებაზე შვიდი გეიმი წააგო, სამაგიეროდ ცხრა ბრეიკი გააკეთა. რთული დასათვლელი არ არის, რომ მეტოქეებმა საკუთარ გეიმებში მხოლოდ ოთხჯერ იმარჯვეს, აქედან ფრანგის წილი ერთი გეიმი იყო, რასაც მან ცხრა ორმაგი შეცდომა დაუმატა.

ტურნირის მეორე ნომერ **ფლავია პენეტას** ასევე რთული მატჩი ჰქონდა **ოლივია როგოვსკას** წინააღმდეგ, თუმცა ის უფრო სტაბილური იყო საკუთარ მოწოდებებზე და ცხრა ეისი ჩააწოდა. ასე რომ, იტალიელს ვოზნიაცკიზე უკეთესი სტარტი გამოუვიდა.

საკუთარი პუბლიკა გაახარა **სოფია არვიდსონმა**, რომელმაც თითქმის ორი საათი მოანდომა ანდრეა ჰლავაჩკოვას დამარცხებას, 20 წლის **ანა ბრაჟნიკოვამ** კი საათზე ნაკლებ დროში წააგო **ანგელიკ კერბერთან**. ანა შვედეთის სახელით გამოდის ფედერაციის თასზე.

საინტერესო მატჩი იყო ესპანელ **მარია ხოსე მარტინეს სანჩესსა** და მიქსტში უიმბლდონის ჩემპიონ **ივეტა ბენეშოვას** შორის. მაგრამ აქ ბრძოლა არ შედგა, რადგან ესპანელმა მხოლოდ ორი გეიმი გაიმეტა ჩეხი ჩოგბურთელისთვის.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| ჩრ. კორეა-კოლუმბია | 0:0 |
| შვედეთი-აშშ | 2:1 |
| ავსტრალია-ნორვეგია | 2:1 |
| ეკ. გვინეა-ბრაზილია | 0:3 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **I საკვ. ეტაპი. II მატჩი** | |
| ვალეტა-ტრე ფიორი | 2:1 (3:0) |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ქუვეითი-ომანი | 1:1 |
| სონდერიისკი-ლუნგბიუ | 0:4 |
| რაპიდი (ბ)-ვისლა | 2:0 |
| გაზიანთეფი-უნივერსიტ. (კლ) | 0:3 |
| ინგოლშტადტი-ვენი | 1:6 |
| ბოხუმი-აბერდინი | 2:1 |
| ზანდჰაუზენი-კაიზერი | 1:1 |
| ვინერი-უიპეშტი | 0:2 |
| სერკლი-ვესტერლო | 0:2 |
| ფორტუნა (ს)-აეკ (ლ) | 2:2 |
| ლუცერნი-კრინსი | 2:0 |
| მეპენი-ვერდერი | 1:13 |
| ბეერსხოტი-მაკაბი (თ-ა) | 0:3 |
| გენტი-ტვენტე | 1:3 |
| სტანდარდი-ტინენი | 2:1 |
| ფლორა-გენკი | 0:3 |
| ბრაშოვი-გიმარაეში | 0:4 |
| **ისლანდია** | |
| ჰაფნარი-გრინდავიკი | 7:2 |
| კეფლავიკი-ფრამი | 1:0 |
| ტორი-ვალური | 0:3 |
| ვიკინგური-ბრეიდაბლიკი | 2:2 |
| სტიარნანი-ფილკირი | 4:1 |
| **ლატვია** | |
| იურმალა-ოლიმპსი | 4:0 |
| **იაპონია** | |
| ნიიგატა-კოფუ | 1:2 |
| იამაგატა-ურავა | 0:0 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ნიუპორტი** | |
| ო. როხუსი-**მაუ** | 6:4, 7:6 |
| ბახინგერი-**ებდენი** | 6:2, 4:6, 4:6 |
| **ისნერი**-კლემანი | 7:6, 6:4 |
| ვანგი-**როჟე ვასელენი** | 5:7, 4:6 |
| ბემელმანსი-**ბოგომოლოვი** | 6:2, 0:6, 1:6 |
| იანგი-**კამკე** | 6:7, 4:6 |
| ჰაასი-**იანი** | 2:5 უარი |
| **კუდლა**-დიმიტროვი | 6:1, 6:4 |
| **WTA. ბასტადი** | |
| **ჰერცოგი**-რეზაი | 3:6, 6:4, 7:6 |
| **დომინგეს ლინო**-პარა სანტონხა | 7:5, 6:1 |
| **ბ. ზახვალოვა**-იაკიმოვა | 7:5, 4:6, 6:3 |
| **მ. სანჩესი**-ლაგოსტერი | 7:5, 6:1 |
| კერბერი-**პენეტა** | 2:6, 3:6 |
| კირსტეა-**დოლონცი** | 3:6, 3:6 |
| **ლარსონი**-დუშევინა | 6:7, 6:2, 6:2 |
| ვოზნიაცკი-**არვიდსონი** | 6:2, 0:6, 0:6 |
| **WTA. ბუდაპეშტი** | |
| **ბეგუ**-ტომლიანოვიჩი | 6:4, 6:4 |
| **ზაკოპალოვა**-კრუნიჩი | 7:5, 7:5 |
| **კ. ბონდარენკო**-სავჩუკი | 6:3, 6:2 |
| **მედინა გარიგესი**-ცურენკო | 6:2, 7:5 |
| ა. ბონდარენკო-**კუკოვა** | 3:6, 1:6 |

TV პროგრამა

**7 ივლისი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-კოლუმბია.
**12:00** სუპერმატჩი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
**15:00** სეზონის შეჯამება. იტალიის ჩემპიონატი. რომა.
**16:00** სუპერმატჩი. არგენტინის ჩემპიონატი. რასინგი-ოლიმპო.
**18:00** ჩემპიონის გზა. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ.
**20:00** ტელეჟურნალი - საფეხბურთო სამყარო.
**20:30** სეზონის შეჯამება. არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი.
**22:00** სუპერმატჩი. იტალიის თასი. პალერმო-ინტერი.
**00:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-კოლუმბია.
**02:05** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ბოლივია-კოსტა რიკა. არგენტინა (LIVE).

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. სეზონის შეჯამება. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი.
**10:45** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. დალასი-მაიამი. მეოთხე მატჩი.
**13:10** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ბასტადი. შვედეთი (LIVE).
**20:00** ცურვა. ხმელთაშუა ზღვის სერია (Mare Nostrum). III ეტაპი. მონაკო.
**22:00** ყოველკვირეული ჟურნალი - ემოციები.
**22:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. დალასი-მაიამი. მეოთხე მატჩი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**02:05** კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ბოლივია-კოსტა რიკა. არგენტინა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**13:00** WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ბასტადი. შვედეთი (LIVE).
**18:00** WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ბუდაპეშტი. უნგრეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**13:45** ევროლიგა 2011-12. ჯგუფური ეტაპის წილისყრა. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).

**EUROSPORT**

**11:00** მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი სტუდენტებს შორის. ჩინეთი (LIVE).
**16:15** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VI ეტაპი (LIVE).
**19:30** მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი სტუდენტებს შორის. ჩინეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**09:00** სნუკერი. საჩვენებელი ტურნირი. II დღე. ჩინეთი (LIVE).
**15:30** სნუკერი. საჩვენებელი ტურნირი. II დღე. ჩინეთი (LIVE).

# პრიმიტიული შარაპოვა


მარია შარაპოვა

წარსულში ცნობილმა ჩოგბურთელმა **ალექსანდრე მეტრეველმა** პრიმიტიული უწოდა მსოფლიოს მეხუთე ჩოგანის **მარია შარაპოვას** თამაშს. 66 წლის მეტრეველის თქმით, შარაპოვას სათამაშო არსენალი მეტად ღარიბია და ეს ხელს უშლის მას ისეთ მეტოქეებთან მატჩებში, რომლებიც უფრო მრავალფეროვან თამაშს გვთავაზობენ. შეგახსენებთ, რომ მეტრეველი ამჟამად „ნტვ+“-ის არხზე კომენტატორად მუშაობს.

ქართველ ჩოგბურთელს მიაჩნია, რომ სწორედ შარაპოვას პრიმიტიული თამაშია იმის მიზეზი, რომ მარიამ წააგო უიმბლდონის ფინალი ჩეხ **პეტრა კვიტოვასთან** - 3:6, 4:6. *„ფინალში ის გადაეყარა კვიტოვას, რომლის ჩოგბურთი გაცილებით მრავალფეროვანია და მაშამ მეტოქეს ვერაფერი დაუპირისპირა“.*

ამასთან, მეტრეველმა აღიარა, რომ ცალკეულ ილეთებს შარაპოვა მაღალ დონეზე ასრულებს და თუ კარგ ფორმაშია, ხშირად იმარჯვებს. *„მაგრამ ესთეტიურად მისი თამაში საინტერესო არ არის“*, - ამბობს საბჭოთა ჩოგბურთელი.

24 წლის შარაპოვა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანია. მას კარიერაში 23 ტურნირი აქვს მოგებული, მათ შორის, „დიდი სლემის“ სამი ჩემპიონატი.

ჩოგბურთი

# კაცების შრომა დაფასდება


როჯერ ფედერერი და ადამ გელფანტი

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) დირექტორთა საბჭოს მორიგ შეხვედრაზე გამოცხადდა ახალი ხელშეკრულების შესახებ, რომლის მიხედვითაც 2014 წლისთვის ATP-ის ტურნირების საერთო საპრიზო ფონდი გაიზრდება და პირველად გადააჭარბებს 90 მილიონ დოლარს. ამ თანხაში არ შედის საპრიზოები „დიდი სლემის“ ტურნირებისთვის.

ამ სამი წლის განმავლობაში გაიზრდება აბსოლუტურად ყველა ტურნირის საპრიზო ფონდი. პირველ რიგში, ზრდა შესამჩნევი იქნება მასტერსის სერიის ტურნირებზე - 2012 წლიდან 2014 წლამდე გათვალისწინებულია ყოველწლიური 9-პროცენტიანი ზრდა. სეზონის შემაჯამებელ ტურნირზე სამი წლის განმავლობაში საპრიზო ფონდი 30 პროცენტით გაიზრდება - 5 მილიონიდან 6.5 მილიონამდე. და კიდევ, 2014 წლისთვის TOP12-ის ჩოგბურთელებისთვის ბონუსის თანხები 8 მილიონამდე აიწევს (2 მილიონით მეტი, ვიდრე დღეს).

*„მოხარულები ვართ ამ შეთანხმების მიღწევით, რომელიც ადასტურებს პროფესიულ ტურში მსხვილი ინვესტიციების მოზიდვას. დღეს ჩვენ გვაქვს პატივი თვალი ვადევნოთ მამაკაცთა ჩოგბურთის „ოქროს ხანას“ და ძალიან კარგია, რომ ჩოგბურთელთა კარგი ფორმა და თავდადება სათანადოდ იქნება ანაზღაურებული“*, - ამბობს ATP-ის აღმასრულებელი დირექტორი **ადამ გელფანტი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიადა



# მესამე ცდიდან

## პიონჩანგმა 2018 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება მიიღო

2018 წლის ზამთრის თამაშების მასპინძლობის უფლება სამხრეთკორეულ პიონჩანგს ერგო. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს სამხრეთ აფრიკის ქალაქ დურბანში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 123-ე სესიაზე. კორეელებმა ორ კონკურენტს - გერმანულ მიუნხენსა და ფრანგულ ანსის დიდი უპირატესობით აჯობეს.

ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქი არჩევნების პირველი რაუნდის შემდეგ გახდა ცნობილი. ხმის მიცემის უფლება სოკ-ის 95 წევრს ჰქონდა და აქედან 63 ხმა პიონჩანგმა მიიღო, 25 - მიუნხენმა და მხოლოდ 7 - ანსიმ.

კორეელები ზედიზედ მესამედ ცდილობდნენ თეთრი ოლიმპიადის მასპინძლობის მიღებას - 2010 და 2014 წლის არჩევნები მათ შესაბამისად, ვანკუვერთან და სოჭთან წააგეს. პიონჩანგს წინასაარჩევნო გამოცდილება საკმარისად დაუგროვდა და ამჯერად მაინც დაუმტკიცა ოლიმპიური კომიტეტის წევრებს, რომ დიდი შრომითა და მონდომებით ბევრის მიღწევა შეუძლიათ.

წინასაარჩევნოდ ძალთა თანაფარდობა ასეთი იყო: ალპებში ჩაკარგული პატარა ქალაქი ანსი თავის უპირატესობად ადგილმდებარეობას ასახელებდა. 1992 წელს თამაშები სწორედ ასეთ ქალაქში - ალბერვილში ჩატარდა და მაშინ ფრანგების მიმართ პრეტენზია არ ყოფილა. მეორე მხრივ, ანსიში ჩასული სოკ-ის დელეგატები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ იქ ჯერ საკმარისად არ არის განვითარებული ინფრასტრუქტურა და მთლიანად კურორტიც ნაკლებადაა ცნობილი ტურისტებისთვის. ანსიმ სწორედ ამიტომაც განიზრახა ოლიმპიადის ჩატარება, რომ მომავალში ტურისტული ბიზნესიდან მეტი შემოსავალი ჰქონოდა.

მიუნხენს კონტრასტის იმედი ჰქონდა - მეგაპოლისი რუკაზე ნაკლებად შესამჩნევი დასახლებების წინააღმდეგ. აქ ერთხელ უკვე ჩატარდა ოლიმპიური თამაშები (1972 წელს), ოღონდ ზაფხულის და ის ყველას ისრაელის ნაკრების წევრთა წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტით დაამახსოვრდა. მას შემდეგ თითქმის 40 წელი გავიდა, მაგრამ გერმანიას ოლიმპიადისთვის აღარ უმასპინძლია.

ახლა მართლაც იყო ბრძოლის შანსი. მიუნხენი - ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი ქალაქია, სადაც ყველაფერი მზად არის სპორტსმენების მისაღებად და მათ დასაბინავებლად, რჩებოდა მხოლოდ სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. გერმანელების იმედად ყოფნა ნებისმიერი ტურნირის ორგანიზებისას შეიძლება, ამიტომაც მიუნხენის განაცხადი პროცენტული მაჩვენებლით კონკურენტებზე მეტად ფასობდა. მაგრამ ხშირად პროგნოზი საბოლოო არჩევანს არ ემთხვევა.

პიონჩანგმა ათეულობით წელი დაკარგა და 2009 წელს ბიატლონის მსოფლიოს ჩემპიონატი ჩაატარა იმისთვის, რომ ის ალარასოდეს არეოდათ ჩრდილოეთ კორეის დედაქალაქში.

აქ დაახლოებით 40 ათასი ადამიანი ცხოვრობს (ანსიზე ნაკლები), არადა, პიონჩანგი უფრო დაბაა, ვიდრე ქალაქი და ეს ადგილი ჩაკარგულია კორეის ჩრდილოეთში, სეულისგან აღმოსავლეთით. შეგახსენებთ, პიონჩანგმა სოჭთან ფინალურ რაუნდში მხოლოდ ოთხი ხმა წააგო, უფრო ადრე ვანკუვერს კი არჩევნების პირველი რაუნდი მოუგო, მაგრამ მეორეში დამარცხდა. ასეთი მტკივნეული ორი მარცხის მიუხედავად, კორეელები არ დანებდნენ და შესაშური სიჯიუტით აშენებდნენ სპორტულ ობიექტებს, წესრიგში მოჰყავდათ ინფრასტრუქტურა. თუმცა ისიც ცხადია, რომ ის სპორტული შენობები, რომლებსაც ათი წლის წინ მომავლის ობიექტებს უწოდებდნენ, ჩვენს დღეებში და მით უმეტეს, 2018 წელს თანამედროვედ აღარ ჩაითვლება. მაგრამ კორეაში არ დანებდნენ და ახალი არგუმენტები მოამზადეს.

ტრადიციულად, არჩევნებს წინ უძღოდა პრეტენდენტი ქალაქების პრეზენტაცია. პირველები სცენაზე მიუნხენის წარმომადგენლები ავიდნენ ქვეყნის პრეზიდენტის **კრისტიან ვულფის** მეთაურობით. გერმანელთა განაცხადს ხელმძღვანელობდა ლეგენდარული **კატარინა ვიტი**. მეორენი იყვნენ ფრანგები - **ნიკოლა სარკოზის** გარეშე, სამაგიეროდ ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი მთავარი ჩინოვნიკით **ჟან-კლოდ კილითა** და ფრისტაილის ვარსკვლავით **კევინ როლანით**. დაბოლოს, საკუთარი პრეზენტაცია წარმოადგინეს კორეელებმა. მათ დელეგაციას ხელმძღვანელობდა ქვეყნის პრეზიდენტი **ლი მენ ბაკი**, პუბლიკის ყველაზე დიდი ინტერესი კი ფიგურულ სრიალში ვანკუვერის ოლიმპიადის ჩემპიონმა, მომხიბვლელმა **იუ ნა კიმმა** დაიმსახურა. საბოლოოდ, ახალგაზრდა კიმმა აჯობა გამოცდილ ვიტს.

შემდეგ კი იყო ხმის მიცემის პროცედურა. საკუთარი არჩევანის დაფიქსირების უფლება არ ჰქონდათ გერმანიის, საფრანგეთისა და კორეის წარმომადგენლებს, აგრეთვე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ **ჟაკ როგეს**.

მეორე ტურის ჩატარება საჭირო არ გახდა: ხმების აბსოლუტური უმრავლესობით პიონჩანგმა სასტიკად დაამარცხა კონკურენტები. ბოლოს მსგავსი რამ 1995 წელს მოხდა, როცა ბუდაპეშტში გამართულ სესიაზე პირველივე ტურში 2002 წლის ზამთრის თამაშების მასპინძელი გახდა სოლტ-ლეიკ-სიტი.

ჩოგბურთი

# მომავლის ჩოგბურთი

ბრიტანელი მეცნიერები პროგნოზირებენ, როგორი იქნება ჩოგბურთი 25 წლის შემდეგ. კვლევის ინიციატორი გახდა ბანკი HSBC - უიმბლდონის ერთ-ერთი სპონსორი. შედეგებმა კი 3D ფორმატამდე და ჰოლოგრაფიამდე მიგვიყვანა, აგრეთვე ტელემეტრიულ სისტემებამდე, რომელიც უფრო ნაცნობია ჩვენთვის ფანტასტიკური ჟანრის ფილმებიდან.

მეცნიერთა დასკვნების მიხედვით, 25 წლის ჩოგბურთელები ჩაიცვამენ ტანსაცმელს მასში ჩამონტაჟებული სენსორული გადამცემებით, რომლებიც ინფორმაციას მოგვცემენ სპორტსმენის ჯანმრთელობაზე - ტემპერატურაზე, გულისცემის სიხშირეზე, სისხლის წნევაზე, სისხლში ჰორმონების დონესა და ბევრ სხვაზე. ჩოგნები აღჭურვილი იქნება სპეციალური მაღალტექნოლოგიური სიმებით - ისინი დარტყმების წინ შეიკუმშებიან, შესაბამისად, არც ერთი ჩოგბურთელი არ დაზარალდება იმისგან, რომ გადამწყვეტ მომენტში ჩოგანს სიმი გაუწყდა.

მას შემდეგ, რაც წელს წარმატებით ჩატარდა ექსპერიმენტი 3D ტექნოლოგიებში (უიმბლდონის ნახევარფინალები და ფინალები ბრიტანეთის რამდენიმე კინოთეატრში 3D ფორმატში გადაიცემოდა), მომავალში მატჩების ტრანსლაციებისთვის გამოიყენებენ ჰოლოგრაფიულ პროექციებს. ასე რომ, 25 წლის შემდეგ თქვენ შეგეძლებათ თვალი მიადევნოთ ჩოგბურთელების ჰოლოგრაფიულ ასლებს, რომლებიც კაფეში მაგიდაზე თქვენ წინ ითამაშებენ.

კვლევა ჩაატარა ლოფბოროს უნივერსიტეტთან არსებულმა სპორტული ტექნოლოგიების ინსტიტუტმა. გამოკვლევის ხელმძღვანელის, დოქტორ **ჯოუნი რონკაინენის** თქმით - *„წამყვანი მსოფლიო მწარმოებლები მილიონობით დოლარს ხარჯავენ სპორტული ტექნოლოგიების კვლევისა და განვითარებისთვის. მომავალში, სადღაც 2036 წლისთვის მხოლოდ ადამიანის სხეულის შესაძლებლობები იქნება ბარიერი ჩოგბურთში ცვლილებებისთვის“.*

სპორტსმენის მდგომარეობის დაკვირვებისთვის ტელემეტრიის გამოყენება ფორმულა 1-დან მოვიდა, სადაც სპეციალური გადამცემები ავტომობილის მთელ კორპუსზეა მიმოფანტული და ის საშუალებას იძლევა განსაზღვროს, როდის სჭირდება პილოტს ბოქსებში შესვლა. დოქტორი რონკაინენი აცხადებს, რომ 2036 წლისთვის მსგავსი სენსორებით აღჭურვილი იქნება ჩოგნები და სპორტსმენების ტანსაცმელი. მართალია, ჩოგბურთში შეცვლები შეუძლებელია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მოთამაშეს ეცოდინება საკუთარ მდგომარეობაზე დაყრდნობით ღირს თუ არა საკუთარი ტაქტიკის შეცვლა. უფრო მეტიც, სპეციალური სპორტული ფორმა ჩოგბურთელს საშუალებას მისცემს არეგულიროს სხეულის ტემპერატურა.

გასული საუკუნის 70-იანი წლების ხის ჩოგნებთან შედარებით, თანამედროვე საჩოგბურთო ტექნოლოგიებმა კოლოსალური წინსვლა განიცადეს, ასე რომ, არაფერია განაკვირი იმაში, თუ სპორტის ეს სახეობა განვითარებას განაგრძობს. ბოლო ტექნოლოგიური სიახლეების მომავალში გამოყენება თამაშს უფრო დინამიკურს და მრავალფეროვანს გახდის. ეს კი უკვე საინტერესოა.



მომავლის ჩოგბურთელი

ფორმულა 1

# ბერნი და კორუფცია



ბერნი ექლსტოუნი გრიბკოვსკისთან ერთად

ფორმულა 1-ის აღმასრულებელი დირექტორი **ბერნი ექლსტოუნი**, შესაძლოა, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ. გერმანიის პროკურატურა ბრიტანელ მილიარდერს კორუფციაში ბრალდებას წაუყენებს.

ამჟამად გერმანიის პროკურატურა იძიებს ბერნი ექლსტოუნის მიერ ფონდ CVC Capital Partners-თვის ფორმულა 1-ის კომერციული უფლებების მიყიდვის საქმეს. სწორედ გამოძიების პროცესში სამართალდამცავებმა იპოვეს მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ჭაღარათმიანმა ბრიტანელმა 50 მილიონი დოლარის ოდენობის ქრთამი გადასცა ადვოკატ **გერჰარდ გრიბკოვსკის**. სწორედ ამის გამო აპირებენ გერმანელები ბერნისთვის კორუფციაში ბრალდების წაყენებას.

კომერციული უფლებების გადაცემა 2005 წელს შედგა, როცა გართულდა ურთიერთობა ფორმულა 1-ის გუნდებსა და ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციას შორის. ექლსტოუნი მაინც დარჩა სათავეში - ის ხელმძღვანელობს კომპანია Delta Topco-ს, რომელიც ფლობს ფორმულა 1-ს, ხოლო თავის მხრივ, ამ კომპანიის მფლობელია ფონდი CVC Capital Partners. პირადად ბერნის ეკუთვნის ფორმულა 1-ის აქციათა ხუთ პროცენტზე ოდნავ მეტი, ამასთან, სერიის აღმასრულებელი დირექტორია.

გერჰარდ გრიბკოვსკიმ, რომელიც კორუფციასა და გადასახადებისგან თავის არიდებაში იყო დადანაშაულებული, უკვე გარკვეული პერიოდი გაატარა ციხეში. მას ადანაშაულებენ ავსტრიის ბანკებში 50 მილიონის განთავსებაში და სწორედ ამ თანხიდან არ გადაიხადა მან გადასახადები. ახლა პროკურატურა ცდილობს ამ პროცესს დაუკავშიროს ექლსტოუნის პიროვნება. თავად ბერნი, რა თქმა უნდა, ყველაფერს უარყოფს და აცხადებს, რომ ამ საქმეში სრულიად უდანაშაულოა.

*„უკანონო საქციელი არ ჩამიდენია, ამიტომაც არ მესმის, რა ბრალდება შეიძლება წამომიყენოს პროკურატურამ, - ამბობს ექლსტოუნი. - გამოძიების დროს ვაკეთებდი იმას, რასაც ჩემგან ითხოვდნენ და მუდმივად ვთანამშრომლობდი გერმანიის პროკურატურასთან. ასე რომ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არანაირი პრობლემა არ არსებობს“.*

ბეისბოლი

# სანარმოო ტრავმა

სამმა გულშემატკივარმა მიიღო ტრავმა ინციდენტის დროს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბეისბოლის პროფესიული ლიგის კლუბებს - „სან დიეგოსა“ და „სან ფრანცისკოს“ მატჩისას. ფანებმა ჭრილობები მიიღეს ბეისბოლის ჯოხისგან, რომელიც „სან ფრანცისკოს“ მოთამაშეს **პაბლო სანდოვალს** შემთხვევით ხელიდან გაუვარდა.

პირველი ინინგის დროს ბიტერმა სანდოვალმა ჯოხი მოიქნია, მაგრამ კონტროლი დაკარგა. ჯოხი ტრიბუნებისკენ გაფრინდა. შედეგად, ერთ-ერთმა გულშემატკივარმა წარბის არეში მიიღო ჭრილობა, მეორემ ფეხი გაიზიანა, ერთი ქალი კი, რომელსაც ჯოხი თავში მოხვდა, საავადმყოფოში წაიყვანეს. დანარჩენ ორს სტადიონზევე აღმოუჩინეს დახმარება.

მატჩი „სან დიეგომ“ 5:3 მოიგო, თუმცა დასავლეთ კონფერენციაში, სადაც ეს გუნდები თამაშობენ, „სან ფრანცისკოა“ ლიდერი, რომელსაც 48 მოგება და 39 წაგება აქვს. „სან დიეგოს“ მონაცემები 40 მოგებასა და 47 წაგებას უდრის. ამ გუნდს დივიზიონში ბოლოსწინა ადგილი უკავია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



პაბლო სანდოვალი